ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით (№55 (1685)) 1-7 სექტემბერი. 1998წ. ● ფასი 50 თეთრი

## „საქართველოსთვის სხვა კუთხეების ჩამოშორებაც უნდათ“...





მეორე გვერდი

## კავშირგაბმულობის სისტემის ნგრევა დასრულებულია? ანუ თბილისის სატელეფონო ქსელიც გაიყიდებაო...

მე-2 გვერდი

## პასუხი აფხაზ სეპარატისტებს




მეორე გვერდი

## ინტერნეტი



დრ. ინალ ყაზანის სიტყვა აბხაზეთის პარლამენტში 1998 წლის ივლისში

მე-9 გვერდი

## როცა სხვას ორმოს უთხრიან...

მე-11 გვერდი

## საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პარტიებს, უკლებლივ ყველას

ჩვენო თანამემამულეებო! პოლიტიკოსებად და გამბედავ ადამიანებად ალიარებულო კაცებო და ქალებო!

საქართველოს დღევანდელო იმედნო!

არ გესწავლებათ, რომ საქართველო დღეს კატასტროფის პირზეა. არ გესწავლებათ, რომ საქართველოს მართავს ჯგუფი, რომელიც ფაქტობრივად თვითონ არის ჩვენი ქვეყნის მტრებისაგან მართული და რომლის საქმიანობის შედეგად საქართველო ეკონომიკურად, სტრატეგიულად, დემოგრაფიულად და ზნეობრივად ნადგურდება. ამ მმართველთაგან თავის დახსნის, მაშასადამე — საქართველოს გადარჩენის ერთადერთი მისაღები გზაა მათი გაძევება არჩევნების გზით და ამის პარალელურად — აუცილებლად — იმ რეალურად ქმედუნარიანი გუნდის შექმნა, ყველა საჭირო დასპეციალებით, რომელიც ხელში აიღებს საქართველოს სახელმწიფო საჭეს ანტიქართველი მარიონეტების წასვლისთანავე. ეს არის თქვენი მიზანიც და ყველა ჩვენგანის, საქართველოს ერთგული მოქალაქეების მიზანიც. მაგრამ თქვენ ამას ვერ შეძლებთ, თუ მტკიცედ შეკავშირებული ერთი ძალა არ იქნებით და ერთიანი ფრონტით არ გამოხვალთ სახელმწიფოს დასაცავად.

თქვენი ყველაზე უკეთ ხილული ამოცანა დღეს არის 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების მოგება და, როგორც საამისოდ მომზადება — 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი არჩევნების მოგება. ჩვენ კარგად ვიცით, რა გიშლით თქვენ ხელს ერთიანი ფრონტის შექმნაში და საქართველოს გადასარჩენად ერთობლივ გამოსვლაში. თქვენ გიშლით შემდეგი:

პირველი. გვაპატიეთ პირდაპირობა, ინერტულობა, არ გვინდა ვთქვათ — სიზარმაცე. ვიცით, რომ ზოგი თქვენგანი გულმოდგინედ შრომობს, რათა ჩვენი ერის ჯანსალი ნაწილი მზად იყოს სახელმწიფო საჭის მოპოვებისა და მყარად დაჭერისათვის. მაგრამ ყველა არ მუშაობს და, მაშასადამე, არც არის და ვერც იქნება მზად, თავისი წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში, რომელშიც ამოცანები და ფუნქციები მეტია, ვიდრე მონაწილეობის მოსურნეთა რიცხვი.

მეორე. პირადი ურთიერთგალიზიანება, წვრილმანი და არაწვრილმანი ანგარიშსწორება ერთმანეთს შორის, ზოგჯერ პრინციპული უთანხმოება წარსული და მომავალის არსებით საკითხებზე, მაგრამ უფრო ხშირად — უმნიშვნელო კონფლიქტი, რომელიც პირადულს არ სცილდება, მაგრამ ბევრი თქვენგანის თვალში საერთო-ეროვნული მასშტაბის ამოცანებს ფარავს.

მესამე. ვიწრო-პარტიული და, გვაპატიეთ, კარიერისტული ამბიცია, რომელიც არაერთ თქვენგანს აიძულებს უფრო იფიქროს იმაზე, თუ რა ადგილი ექნება მის პოლიტიკურ ჯგუფს (პარტიას) საქართველოში, ვიდრე იმაზე, თუ რა ადგილი ექნება საქართველოს მსოფლიოში. პრაქტიკულად-ეს იმ შედეგს იძლევა, რომ ბევრი თქვენგანი მეტს ზრუნავს იმაზე, რომ მისმა პარტიამ არჩევნებში ხმების 5% მოიპოვოს და მისი ლიდერები პარლამენტში იყონ, ვიდრე იმაზე, რომ ეროვნულმა ძალებმა ერთად მოიპოვონ საპარლამენტო უმრავლესობა და ქვეყნის კურსის შეცვლა შეძლონ.

ყველა ეს მოტივი, რომლებიც ჩამოვთვალეთ, არასაპატიოა. მათი დაძლევა თქვენი მოვალეობაა. თქვენ გაქვთ — და ჩვენ ყველას გვაქვს — საერთო მიზნები, რომლებიც კმარა, რათა საერთო ენა მოვნახოთ და სახელმწიფოს გადარჩენისათვის ბრძოლაში ერთმანეთს გვერდით დავუდგეთ. ეს მინიმალური ერთიანი პოზიცია შემდეგია:

1. საქართველო უნდა დაუყოვნებლივ გამოვიდეს „ესენგედან“.

2. საქართველოდან უნდა დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს რუსეთის სამხედრო ბაზები.

3. არ უნდა დაკანონდეს არავითარი „სამხრეთ ოსეთი“, მით უმეტეს — არვითარი „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“, რადგან ეს ნიშნავს საქართველოს ტერიტორიის დაკარგვას ორი-სამი თაობის შემდეგ.

4. არ უნდა მოხდეს არავითარი კაპიტულაცია აფხაზეთში. აფხაზეთი ქართველი ერის ეთნიკური და ისტორიული ტერიტორიაა, ხოლო იქ მიმდინარე კონფლიქტის „ინტერნაციონალური“ მხარე მხოლოდ ის არის, რომ ეს კონფლიქტი საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის გამოუცხადებელი ომია და არა ქართველების და აფსუების ომი.

5. 1991-1992 წლების გადატრიალება იყო დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ეს პოზიცია თქვენ ყველას საერთო გაქვთ. ამ პოზიციის მიხედვით საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკური კურსის წარმართვა საქართველოს გადარჩენის აუცილებელი პირობაა. ეს კურსი უნდა იყოს თქვენი საერთო პლატფორმა 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში, ხოლო 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივ არჩევნებში თქვენი საერთო პოზიცია უნდა იყოს ადგილობრივი ხელისუფლებიდან კორუმპირებული ადამიანების გაძევება და პატიოსანი ადამიანების მოყვანა, რაც დღევანდელ მმართველ ჯგუფს, გასაგები მიზეზების გამო, არ ძალუძს.

თქვენი გაერთიანება, ვიმეორებთ, თქვენი მოვალეობაა. თუ ამას ვერ შეძლებთ, ქართველი ერის ჯანსალი ძალები თვითონ ნახავენ გზას ჩვენი ქვეყნის გადარჩენისათვის საბრძოლველად, მაგრამ თქვენ მათ ნდობას ველარასოდეს მოიპოვებთ. თქვენი პასუხი ამ მომართვაზე გამოქვეყნებული იქნება პრესაში.

თქვენს პასუხს, თქვენს შენიშვნებსა და წინადადებებს ველით.

**შოთა ნადირაშვილი**
აკადემიკოსი, ფსიქოლოგი
**ნოდარ ნათაძე**
ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი
**გურამ ყორანაშვილი**
ისტორიის მეცნ. დოქტორი
**გელა გელაძე**
სამაჩაბლოს სამკვიდროს საბჭოს თავმჯდომარე
**მურმან ბერია**
აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი
**მუხრან მაჭავარიანი**
**გერონტი შუშანაშვილი**
ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი

ხელმოწერები გრძელდება

ინტერვიუ

# საქართველოსთვის სხვა კუთხეების ჩამოშორებაც უნდათ...



საქართველოში განვითარებულმა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა, დაწყებული წინასაარჩევნო ბატალიებით, დამთავრებული სხვადასხვა ტერორისტული აქტებით, აფხაზეთის საკითხი, შეიძლება ითქვას, უკანა პლანზე გადაწია. არადა, საქართველოს ამ ულამაზესი კუთხის დედასამშობლოსგან მოწყვეტა, ჩემის აზრით, იმათ ინტერესებში ძევს, ვისი ორგანიზებულიცაა საქართველოს წინააღმდეგ მიმართული აქტიური პოლიტიკური თუ დივერსიული კამპანია.

გთავაზობთ ინტერვიუს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან ბატონ **თამაზ ნადარეიშვილთან.**

— **ბ-ნო თამაზ, მოგეხსენებათ, თუ როგორი მძიმე მდგომარეობაა დღესდღეობით ზუგდიდის რაიონში. ჩვენ ვესაუბრეთ მხარის გუბერნატორს, დავუკავშირდით უშიშროების ოპერატიულ მორიგეს და გვითხრეს, რომ ზუგდიდში დღესდღეობით არ არის პანიკა, მაგრამ პრესაშიც და საზოგადოებაში გაიელვა იმის შესახებ აზრმა, რომ ზუგდიდის რაიონში მოსალოდნელია მორიგი ტერაქტი და შეიძლება ამან უფრო ფართო ხასიათი მიიღოს. თქვენი აზრით, ვინ უნდა იყოს ამის ორგანიზატორი და რას გვეტყვით ამ საკითხებთან დაკავშირებით?**

— უპირველეს ყოვლისა, მე მინდა მოგახსენოთ, რომ ზუგდიდი არის ფრონტისპირა ქალაქი. მდინარე ენგური არის ფრონტის ხაზი. ეს ბევრს დაავიწყდა, ბევრს გონია, რომ ჩვენ ომი დავამთავრეთ, აფხაზეთი დავკარგეთ და ვცხოვრობთ სხვა რიტმით. განსხვავებით იმისა, რა რიტმითაც უნდა ცხოვრობდეს ქვეყანა, რომელსაც ტერიტორიები აქვს დაკარგული და სადაც ომია. აქედან გამომდინარე, ალბათ ზუგდიდის არც დაცვა, არც გარკვეული ღონისძიებები, რომლებიც იქ უნდა ტარდებოდეს, იმ დონეზე არ არის, როგორც ამ პერიოდთან შესაბამისობაში უნდა იყოს. იქ ყველაფერი სამხედრო წესითა და სამხედრო კანონებით უნდა კეთდებოდეს და წყდებოდეს. ენგურს იქით არის მტერი, რომელიც ხან ყუმბარმტყორცნებს ისვრის, ხან ჯგუფები გადმოდის და ქართულ სოფლებს ანიოკებს (ხურჩა, აბასთუმანი). ბუნებრივია, როდესაც მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გარკვეული პარტიზანული მოძრაობაა, მტერი შეეცდება საპასუხო აქტები ჩვენს ტერიტორიაზე ჩაატაროს. ამის თაობაზე განცხადება გააკეთეს არძინბამ და ბაღაფშმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ საპასუხო რეაქციებს საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში განახორციელებდნენ. ეს ნათქვამი აქვს პასტუხოვს და სამშვიდობო ძალების სარდალს კორობკოს, რომლებმაც განაცხადეს, რომ საპასუხოდ ადეკ-

გაგრძელება მე-3 გვ.

# კავშირგაბმულობის სისტემის ნგრევა დაწყებულია?

## ანუ თბილისის სატელეფონო ქსელიც გაიყიდებაო...



ეკონომიკის განსახელმწიფოებრიობა ანუ ეკონომიკის საბაზრო მეთოდებით მართვა, ბუნებრივია, ბევრი სახელმწიფო ობიექტის პრივატიზებას, ანუ კერძო მფლობელის ხელში გადასვლას გულისხმობს და ეს, შეიძლება ითქვას, მთელ მსოფლიოში ასე მოხდა და ხდება. ჩვენშიც, როგორც კი განვთავისუფლდით კომუნისტური არტახებისაგან და სახელმწიფო მოწყობის მოდელად კაპიტალიზმი ვაღიარეთ, ეს პროცესი დაიწყო და სულ უფრო შეუქცევად ხასიათს იღებს, ოღონდ ეგ არის, რომ ქართველთათვის ჩვეული მაქსიმალიზმით ვუდგებით საქმეს და ისეთ ობიექტებსაც კი ვყიდით (თანაც, ძალზე ხშირად ჩალის ფასებში), რომელთა ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ ან ექნებათ მომავალში მაინც.

გაყიდულ საწარმო-ორგანიზაციათა სია რომ ჩამოვთვალოთ, შორს წაგვიყვანს. მაგალითისათვის ფოთის გემთსაშენებელი ქარხნის პრივატიზებაც იკმარებს და მომავალში თელასის და მთლიანად ენერგო სისტემის მკვებავი წყაროების, — მცირე ჰესების „პრივატიზება". მოსახლეობამ ამ ყიდვა-გაყიდვის ფაქტებზე ყველაფერი არა, მაგრამ ცოტა რაღაც მაინც იცის, თუმცა ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, ხალხმა ჯერ კიდევ არ იცის ის ამბავი, რომ შესაძლოა ახლო ხანში გაყიდულ ობიექტთა სიას ქალაქ თბილისის სატელეფონო ქსელიც მიემატოს და მისი მფლობელი ვინმე ამერიკელი, გერმანელი ან სულაც ბერძენი აღმოჩნდეს.

ეს ახალი ამბავი, კაცმა რომ თქვას, გახმაურებული არაა, მაგრამ საქართველოში და მის დედაქალაქში, ხომ იცით, არაფერი იმალება. ამ შემთხვევაშიც ამ „გასაიდუმლოებულმა" ინფორმაციამ, მართალია დაუ-

გაგრძელება მე-6 გვ.

პასუხი აფხაზ სეპარატისტებს

# ...ვინც შუშის სახლში ცხოვრობს, ის სხვებს ქვებს არ ესვრის

გაზეთ „საქართველოს" 1998 წლის 18-24 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა სტატია „ტექსტები აფხაზეთის შესახებ ინტერნეტში" (მთარგმნელი ნათელა ფოფხაძე).

ამ ტექსტებში იმდენად აღმაშფოთებელია აფხაზ სეპარატისტთა მოსაზრებანი, გამონათქვამები საქართველოსა და ქართველების შესახებ, იგი არ უნდა დარჩეს პასუხის გაუცემლად:

**ნათელა აკაბა:** ამ მანდილოსანს სახელი და გვარიც ქართული აქვს, მაგრამ აკეთებს ქართველთა საწინააღმდეგო საქმეს. ის წერს: „აფხაზეთში მცხოვრები მეგრელები ქართველებს კი არ ემხრობიან, არამედ ჩვენ, აფხაზებს. მათ ქართული ენა არც კი იციან. ისინი მეგრულად მეტყველებენ. თუმცა აფხაზური ენა დაავიწყდათ, მაგრამ ჯერ კიდევ შერჩათ აფხაზური გვარები". ამ სტრიქონებში რამდენი წინადადებაა, იმდენი შეცდომაა, გვაპატიოს აფხაზმა მანდილოსანმა, მაგრამ ჩვენ უფრო მეტ მეგრელს ვიცნობთ აფხაზეთში, ვინემ ქალბატონი აკაბა. არ შეგვხვედრია მეგრელი, რომელიც ქართველებზე ცუდს ამბობდა და აფხაზებს ემხრობოდა. არ გვინახავს მეგრელი, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა. აკაბა რომ წერს, მეგრელებს აფხაზური ენა დაავიწყდათო, როდის იცოდნენ მეგრელებმა აფხაზური ენა, „მაგრამ მათ ჯერ კიდევ შერჩათ აფხაზური გვარებიო". აკაბამ კი, როგორც ეთნოგრაფმა, უნდა იცოდეს, რომ აფხაზური გვარი არ არსებობს და მეგრელებს როგორ შერჩებოდათ. თანამედროვე აფხაზთა 80% ხომ ქართულ-მეგრული წარმოშობისაა.

აკაბა ცილს წამებს ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერს ნოე ჟორდანიას, მას არასოდეს არც დაუწერია და არც უთქვამს აფხაზები გავაქართველოთო.

ვინმე **ერმოლაი აჯინჯალი** (უფრო სწორი იქნება მას ერმილე ჯინჯოლია ვუწოდოთ) თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ აფხაზეთში კულტურა სავალალო მდგომარეობაშიაო. ვინ მოსპო უკანასკნელ წლებში აფხაზეთში კულტურის კერები, თვითონ აფხაზმა სეპარატისტულმა მთავრობამ, აფხაზმა ბოევიკებმა.

**ლეილა ტანია** თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ 1940 წლიდან ქართველებმა აფხაზური სკოლები დახურეს და მათ ნაცვლად ქართული სკოლები გახსნეს. ეს სიცრუეა. არა 1940 წელს, არამედ 1945 წელს რუსულ სკოლებში შემოიღეს ყველა საგნის ქართულად სწავლება, სკოლებში რუსული ენა დარჩა, როგორც საგანი. აფხაზური სკოლებისათვის არავის ხელი არ უხლია. ჩვენ ეს კარგად ვიცით, რადგან ამ დროს აფხაზეთის განათლების სამინისტროში ვმუშაობდით.

დროა, ნამდვილად დროა აფხაზმა სეპარატისტებმა, აფხაზმა ინტელიგენციამ და საერთოდ, აფხაზმა ხალხმა გაიგოს, რომ აფხაზები ქართული წარმოშობისაა. აკადემიკოს ნიკო მარის მიხედვით მოძინარეობენ ანტიკურ პერიოდში აფხაზეთში მცხოვრებ ქართველ ტომ მოსხებისაგან (მესხებისაგან), რომელთა არსებობა აფხაზეთის ისტორიის არც ერთ გამოცემაში, არც ერთი აფხაზი ისტორიკოსის შრომაში არ არის აღნიშნული. მესხები აფხაზეთში დასახლებული ჰყავთ ანტიკური დროის ბერძენ ავტორებს. მე-17 საუკუნემდე, სანამ ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჭრილი აფსუები თავს არ მოახვევდნენ აფხაზებს აბიზინურ ენას, რომელსაც ამჟამად აფხაზურ ენას უწოდებენ, აფხაზები მეგრულ ენაზე მეტყველებდნენ. აფხაზები მალავენ სხვის ენაზე რომ ლაპარაკობენ და წერენ; მაგრამ აფხაზეთში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსულნი არ მალავენ.

მომხსენებელმა ლეილა ტანიამ სავალალო სურათი დახატა აფხაზეთში ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, რომ საავადმყოფოები გაპარტახებულია. მერე ვინ გააპარტახა საავადმყოფოები — აფხაზმა ბოევიკებმა და არაქართველებმა.



პროფესორი გიორგი ანჩაბაძე, შვილი აფხაზ სეპარატისტთა იდეოლოგის, პროფესორ ზურაბ ანჩაბაძისა წერს, რომ „ქართველებიც და აფხაზებიც ორი უძველესი კავკასიური ერია. აფხაზეთის მეფეები ენით, კულტურით გაქართველებული აფხაზები იყვნენ. უპირველეს ყოვლისა, გ. ანჩაბაძეს უნდა მოვახსენოთ, რომ აფხაზები ერი არასოდეს არ ყოფილა და არც ამჟამად არის. თანამედროვე აფხაზური არის სხვის (აბიზინურზე) მოლაპარაკე, სხვადასხვა ეროვნების ნარევი ხალხი. ვინ მოახსენა გ. ანჩაბაძეს, რომ აფხაზეთის მეფეები აფხაზები იყვნენ. ჩვენ ვურჩევთ გ. ანჩაბაძეს წაიკითხოს აკად. მარიამ ლორთქიფანიძის წიგნი აფხაზებზე. აფხაზური სამეფო ქართული სახელმწიფო იყო და მეფეებიც ქართველები იყვნენ: გიორგი, ბაგრატი, ლეონი, კონსტანტინე და სხვა და არა გამსარათი, დაური ან ესნატი.

აშშ-ს და არც ერთ სხვა ქვეყანას აფხაზეთი არ უცვნია, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა და საიდანაა იაჰია ყაზანი აფხაზეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი აშშ-ში 1998 წელს. სანამ მის მოსაზრებებს გაეცნობოდეთ მკითხველო, მიაქციეთ ყურადღება მის სახელსა და გვარს: **იაჰია ყაზანი.** ეს ნამდვილი თურქია და არა აფხაზი. აი, რას ამბობს აფხაზეთის ელჩი: „აფხაზთა სამეფო" ქართული სახელმწიფო იყო. იაჰია ყაზანი აგრძელებს: „ქართველები აფხაზებს მუდამ ჩაგრავდნენო". ერთი მაგალითი მაინც დაესახელებინა ამ „ჩაგვრისა". „სტალინი ქართველი იყო და ქართველებს მიაკუთვნა დამოუკიდებელი აფხაზთა რესპუბლიკა 1931 წელს". აფხაზეთი ისტორიულად საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო და საქართველოში შევიდა, როგორც დამოუკიდებელი ერთეული ჯერ კიდევ 1918 წლიდან. „შევარდნაძე თავს დაესხა სუვერენულ რესპუბლიკად გამოცხადებულ აფხ-

გაგრძელება მე-5 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა განსხვავებაა ვან ბაიბურთიანსა და ედუარდ შევარდნაძეს შორის?

ქართველი მკითხველისათვის წერილის სათაური, ალბათ, მოულოდნელი იქნება, რადგან ის ვან ბაიბურთიანს არ იცნობს. შესაძლოა, მკითხველი ცნობისმოყვარეობამაც გააწამოს — ვინ არის ეს ბაიბურთიანი ამისთანა, რომ შევარდნაძეს ადარებენო. ვან ბაიბურთიანი (ბაიბურთი) არის თბილისში გამომავალი სომხური გაზეთის „ვრასტანის" („საქართველოს") რედაქტორი. ადრე ამ გაზეთს, ეპოქის ნაძალადევი სულისკვეთების კვალობაზე „სოვეტაკან ვრასტან" („საბჭოთა საქართველო") ერქვა. არ იფიქროთ, რომ სახელი ვან რუსული ვანიასგან ან რომელიმე სხვა უცხოური სახელისგან წარმოდგება. სომხეთში ფართოდ იყო გავრცელებული სახელი ვაჰან (რუსული ფორმით — ვაგან), აქედანაა მიღებული ვაან და ვან. ვან ბაიბურთიანმა კარგა ხანია გვარი შეიმოკლა, ბაიბურთი გახდა. ბაიბურთი ქალაქია სპერში, უძველეს ქართულ მხარეში. გავიხსენოთ, რომ ერთ დროს ქართველები შავ ზღვას სპერის ზღვას ეძახდნენ. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ქართველთა სახელწოდება იბერიც სპერისაგანაა წარმომდგარი. სპერი ბაგრატიონთა უძველეს საგვარეულო მამულსაც წარმოადგენდა. მაგრამ ვან ბაიბურთიანი და ძმანი მისნი სხვანაირად ფიქრობენ. მათი აზრით, სპერი ქართულს კი არა, სომხურ მხარეს წარმოადგენდა და ბაგრატიონებიც ქართველები კი არა, სომხები იყვნენო. ჩვენ [illegible]ყველიებთ სტრაბონის ცნობებს, რომ რომის იმპერიის მხარდაჭერით სომხებმა სპერი დროებით წაგვართვეს, მაგრამ არაფერი გვშველის. ბაიბურთიანისა და ძმათა მისთა არგუმენტი ქვას გახეთქავს — სპერი როგორ იქნებოდა ქართველისა, როცა ტაოკლარჯეთი, აჭარა, კოლა-არტაანი, სამცხე (ახალციხის მხარე), ჯავახეთი, ქვემო ქართლი თბილისითურთ, ქიზიყი და სხვაც სომხების იყოო. ამას ლაღადებენ ძველი სომეხი მემატიანეები, რომელთა მიხედვით, ქართული დამწერლობაც სომეხი მესროპ-მაშტოცის შექმნილიაო და სხვაც ბევრი რამ, თქვენ რომ ქართულს ეძახით, სინამდვილეში სომხურიაო. სომეხ ხალხში არსებობს გადმოცემაც იმის თაობაზე, რომ შოთა რუსთაველიც სომეხი იყოო. ჩვენ ჯერ კიდევ ვცდილობთ საკუთარი ღირსების დაცვას (თუმცა ღირსების ორდენი საქართველოს ხელისუფლებამ ვან ბაიბურთიანს უბოძა) და ვეუბნებით მოდავეებს, რა სინდისია, რომ საკუთარ კუდს იმოწმებთ და ამ გზით გვებრძვითო, რუსთაველი თუ სომეხი იყო, საიათნოვას მსგავსად ზოგჯერ სომხურადაც ხომ მოეგუნებებოდა წერაო. მაგრამ როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა, სომხები მთელი მსოფლიოს დასანახად ახერხებენ, თავიანთი შავი გაათეთრონ, ხოლო ჩვენი თეთრი გააშავონ.



ვან ბაიბურთიანმაც, როგორც ეტყობა, გვარი იმიტომაც შეიმოკლა, რომ გვითხრას, ბაიბურთი და სპერი ეს მე ვარ და ჩემი სახით სპერიც ისტორიული სომხეთის კუთვნილი მიწა-წყალიაო. ამის შემდეგ ბაიბურთიანს სასაცილოდაც არ ყოფნის საუკუნოვანი დავა ქართველებისა ბაგრატიონთა ეროვნული წარმომავლობის თაობაზე. რაკი სპერი სომხური მხარეა, ცხადია, ბაგრატიონებიც სომხებიაო.

უკვე ასე თუ ისე იცნობთ ვან ბაიბურთიანს. თუ წერილს ბოლომდე წაიკითხავთ, ზოგ რამეს კიდევ შეიტყობთ მის შესახებ. რაც შეეხება ბ-ნ ე. შევარდნაძეს, მას, ცხადია, ყველა იცნობთ. თქვენ კი არა, მთელი მსოფლიო იცნობს. ზიმბაბვეშიც კი იცნობენ. ისე, ეტყობა, ქართველების დაუდევრობის ბრალია, რომ ჯერ კიდევ 1992 წლის დასაწყისში ბევრი ქართველი ე. შევარდნაძესაც კარგად არ იცნობდა. მათ ეგონათ, რომ შევარდნაძე (ზოგნი მოფერებით შეოსაც ეძახდნენ) ორ-სამ წელიწადში ხალხს გააძღობდა (კომუნისტურ ეპოქაში ქართველთა უმრავლესობა მხოლოდ გაძღომაზე ფიქრობდა), შემოსავდა, ამასთანავე, სამაჩაბლოსა და აფხაზეთსაც უბრძოლველად დაუბრუნებდა საქართველოს, რომელსაც მსოფლიოს ერთ-ერთ მოწინავე ქვეყანადაც აქცევდა. ერთ სატელევიზიო გადაცემაში, როდესაც ე. შევარდნაძე ესაუბრებოდა აჭარელ მოხუცებს, ერთ-ერთმა მოხუცმა ასე მიმართა თავის მეგობრებს: „ბიჭებო, ეს იცოდეთ თქვენ, რომ შევარდნაძის მეთაურობით საქართველო მსოფლიოში პირველი იქნება"-ო. არ ვიცი, დღეს რას ფიქრობს ის აჭარელი მოხუცი, მაგრამ ბატონი ასლან აბაშიძე რომ არ იზიარებს ამ აზრს, ფაქტია. ზოგ-ზოგებმა მაშინ იმის მტკიცებაც კი დაიწყეს, რომ შევარდნაძე თავისი ნიჭით, მონაცემებით თითქმის გაუტოლდა სტალინს. განვლილმა დრომ დაამტკიცა, რომ ეს ასე არ ყოფილა. იმის დანახვაც არავის სურდა, რომ შევარდნაძეზე მაინც უფრო მაგარ სტალინსაც კი საქართველოსთვის ზიანის მეტი არაფერი მოუტანია, ყოველ შემთხვევაში, ვნება გაცილებით მეტი არგუნა ბელადმა თავის მრავალტანჯულ სამშობლოს, ვიდრე შვება. თუ დიდმა კომუნისტმა, დიდმა ბელადმა ეს გააკეთა, შედარებით პატარა კომუნისტი, პატარა ბელადი რაღას იზამდა? მაგრამ ჩვენ, რიგითი მოქალაქეები რომ მოვტყუებულიყავით, რა გასაკვირია, როცა ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიტოვანიც მოტყუვდნენ? ერთხელ კიტოვანს ჰკითხეს: რას უფრო ნანობ, ზვიადს რომ დაუდექი გვერდით თუ შევარდნაძესო, ზვიადისტობას თუ შევარდნაძისტობასო? ბ-ნ თენგიზს მწარედ ჩაეცინა, კარგი შეკითხვააო.

ამ წერილის სათაურში ბაიბურთიანი შევარდნაძეზე ადრე იმიტომ მოვიხსენიე, რომ თვით შევარდნაძეც ასე მოიქცეოდა, არა მარტო თავმდაბლობის გამო, არამედ იმიტომაც, რომ იგი განსაკუთრებული მოწიწებით ექცევა უცხოელებს, საქართველოში მცხოვრებ სხვა ერის შვილებსაც. ჩინ-მედლებსაც არ აკლებს მათ. შევარდნაძე უცხოელთა სიმპათიების მოპოვებას ცდილობს იმის გამოც, რომ თავის უმადურ ქვეშევრდომებს უთხრას, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს, თორემ ხომ ხედავთ, უცხოელები რა დიდ პატივს მცემენო.

ახლა კი დროა, ვილაპარაკოთ, რა მსგავსებას და განსხვავებას ვხედავთ ბაიბურთიანსა და შევარდნაძეს შორის. ერთი შეხედვით, განსხვავება ძალიან

გაგრძელება მე-6 გვ.

# ტერაქტებით შევარდნაძე ლტოლვილების პრობლემას «წყვეტს»

24 აგვისტოს ზუგდიდის სამხარეო ადმინისტრაციის შენობაში მოწყობილი ტერორისტული აქტი შევარდნაძის ულმობელი პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენს ლტოლვილების მიმართ, რომელიც დაიწყო1996 წლის 3 აპრილიდანთბილისში სასტუმრო „აფხაზეთში" ხანძრის გაჩენით, რის შედეგადაც დაიღუპა 5 და დასახიჩრდა 30-მდე სამაჩაბლოელი ლტოლვილი. დაღუპულთა შორის სამი ბავშვი და ორი ქალი იყო. იმავე წლის 23 აპრილს თბილისში აფეთქდა სასტუმრო „კოლხეთის" მიმდებარე შენობა, სადაც აგრეთვე ცხოვრობდნენ და ვაჭრობდნენ ლტოლვილები. აფეთქების დროს დაიღუპა და სახიჩრდა ორმოცამდე ადამიანი.

ნიშანდობლივია, რომ ორივე ტერორისტული აქტი დღემდე გამოუძიებელი და მივიწყებულია, იგივე შედეგები უნდა ვივარაუდოთ ზუგდიდის 24 აგვისტოს ტერორისტულ აქტზეც, ან — ჩვეულებისამებრ — გადააბრალონ იგი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეებს, თუმცა შეიძლება, შევარდნაძის ანტიეროვნულ ხელისუფლებას სურს ლტოლვილები აიძულოს აფხაზეთისა და ე.წ. სამხერთ ოსეთის მთავრობას (რომლებთანაც შევარდნაძე საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებს) დათანხმდნენ საკუთარ საცხოვრებელ სახლებში უპირობოდ დაბრუნებაზე, სადაც მათ თანდათანობითი განადუგურება, ასიმილირება და გადაგვარება ელით ეროვნებისა თუ სარწმუნოების იძულებითი შეცვლით.

გალის მოსაზღვრე ზუგდიდის სოფლებზე უკანასკნელ პერიოდში, ვითომცდა აფხაზების მიერ განხორციელებული საბრძოლო შეტევებიც შევარდნაძის ხელისუფლების ავანტიურაა სამეგრელოს ასაბუნტებლად ამ რეგიონის შემდგომი ჩამოცილების მიზნით. ყუმბარმტყორცნების სამიზნედ ქცეული ზუგდიდის ეს სოფლები, ხურჩა და ორსანტია, საამისოდ საგანგებოდაა დაუცველი შევარდნაძის ძალოვანი სამინისტროების მიერ.

დროა, ქართველმა ერმა გაისიგრძეგანოს შევარდნაძის ანტიეროვნულ-ანტისახელმწიფოებრივი, დამანგრეველი პოლიტიკა და დაირაზმოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გვერდით, რომლის ერთ-ერთ ბირთვს ჩვენი პარტიაც წარმოადგენს.

**ლეილა ცომაია**

*სრულიად საქართველოს ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის თავმჯდომარე*

*1998 წლის 25 აგვისტო*

მე-2 გვერდიდან

# საქართველოსთვის სხვა კუთხეების ჩამოშორებაც უნდათ...

ვატურ ზომებს მიიღებდნენ. აქედან გამომდინარე, კვალი ჩანს. როდესაც უშიშროების სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, დაზვერვა მოსალოდნელ დესტაბილიზაციაზე საუბრობს, ე.ი. რეალური საფრთხე ამისა არსებობს. დიდი ანალიზი იმასაც არ სჭირდება, რომ დესტაბილიზაციას მტერი ისეთ ადგილებში მოაწყობს, სადაც კომპაქტურად არის დასახლებული დევნილი მოსახლეობა, რომელიც უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. ეს არის სამეგრელო — 150000 დევნილი და თბილისი — 84000 დევნილი. დესტაბილიზაციას აწყობს არა მარტო აფხაზები, არამედ რუსეთის სპეცსამსახურები, რომლებიც ცდილობენ შექმნან პანიკა, არეულობა, დევნილების და ზუგდიდელების დაპირისპირება, დევნილების დაპირისპირება ხელისუფლებასთან, ექსპრეზიდენტის ფაქტორი, ყველაფერი ის, რაც ხდება ზუგდიდში.

დარწმუნებული ვარ, რომ დესტაბილიზაციისათვის სექტემბერ-ოქტომბერი იქნება გამოყენებული. სხვა ტერორისტული აქტები იქნება განხორციელებული არა მარტო ზუგდიდში, არამედ საქართველოს სიღრმეში. თუ არ იქნა სამხედრო საგანგებო ზომები მიღებული არა მარტო ზუგდიდში, არამედ მთლიანად საქართველოში, ალბათ ვითარება უფრო მძიმე იქნება, ვიდრე დღეს არის.

იმ მოვლენების ფონზე, რომელიც მიმდინარეობს სამეგრელოს რაიონებში და შეიძლება ითქვას, მთლიანად საქართველოში, უცხოეთის პრესაში გაიელვა, რომ საქართველო მეორე იჩქერიად იქცაო (ტერორისტული აქტები მაქვს მხედველობაში). რამდენად დამაკმაყოფილებელია უშიშროების სამინისტროს, შსს-სა და საერთოდ, ძალოვანი სტრუქტურების მუშაობა?

მე მინდა ისევ საქართველოში შექმნილ ვითარებას დავუბრუნდე. დღეს ბევრი ლაპარაკია დემოკრატიაზე, რომლის პრინციპებისაგან მე შორს ვდგავარ. კი ბატონო, კარგია დემოკრატია, ეს პრინციპები, მაგრამ როდესაც ქვეყანაში ომია, ომი და დემოკრატია ერთად არ შეიძლება იყოს. დავამთავროთ ომი, დავიბრუნოთ ტერიტორიები და მერე ვილაპარაკოთ თავისუფლებაზე და დემოკრატიაზე.

როდესაც არ სრულდება ბრძანება, არ არის პასუხისმგებლობა, არის არასერიოზული დამოკიდებულება ნებისმიერ ღონისძიებასთან დაკავშირებით, რომელიც ტარდება. ალბათ, აქედან გამომდინარე, არც უშიშროება, არც შსს, არც დაზვერვა და არც საერთოდ სახელმწიფო არ დგას თავის დონეზე. მე პირადად ჩემს საქმიანობაში ყოველთვის მკაცრი ზომების მიღებას ვცდილობ. საქართველოში არის ისეთი სინდრომი, რომ რადგან ნადარეიშვილი იძახის, რომ აფხაზეთი უნდა დავიბრუნოთ ძალით — ეს არის არაცივილიზებული მიდგომა, რომ ნადარეიშვილი არის ომის პროპაგანდისტი, სისხლისსმელი და ა.შ. როცა საკითხი ეხება ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, ეროვნულ ინტერესებს, მე მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში არ არის სირცხვილი ძალის გამოყენება, რადგან ეს ნებისმიერ ქვეყანაში ასეა. პირიქით, ლაპარაკი უნდა გა-



ძლიერდეს, ყველა ახალგაზრდა უნდა იყოს რეზერვისტი, ყველა ქართველმა უნდა ისწავლოს სროლა — აი, მხოლოდ ასეთმა დამოკიდებულებამ შეიძლება არ დაგვაჭირვოს ძალის გამოყენება, რადგან მტერი, რომელიც ძალიან პატარაა, ნახავს, რომ ქართველები სერიოზულად უყურებენ ამ საკითხს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ რაც ზუგდიდში ხდება, ეს არის ადგილობრივი ხელმძღვანელობის პრეროგატივა. იქ არის სამხარეო უწყებები, არის ხელმძღვანელობა და ჩვენ, განსაკუთრებით დევნილობაში მყოფი სტრუქტურები, თუ გნებავთ ძალისმიერი. ნებისმიერს შეუძლია, ისევ სტაბილიზაციის მისაღწევად გამოიყენოს.

**— ბ-ნო თამაზ, ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოვაქვეყნეთ ასეთი წერილი, „საქართველოს დროშები ინტერნეტში". ფაქტიურად, როგორც ჩვენი ოფიციალური ხელისუფლების მხრიდან, ასევე, ქართველი მეცნიერების მხრიდან, ინტერნეტში არის ურთიერთგამომრიცხავი ფაქტორები შეტანილი. და ინტერნეტში უცხოელ ავტორთა მიერ შეტანილია ინფორმაცია, თითქოსდა საქართველო არის რაღაც ფედერაციული სახელმწიფო, სადაც არის 3 სუბიექტი: აჭარა, აფხაზია და თვითონ საკუთრივ საქართველო. ასევე, თურმე ყოფილა მენგრელია და ეს მუსლიმანებით ყოფილა დასახლებული. საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარეობს, თქვენის აზრით, რა უნდა გააკეთოს ამ დროს ხელისუფლებამ. ასეთი უმოქმედობის პოზიცია უნდა გამოამჟღავნოს თუ უნდა მიეცეს გასაქანი საზოგადოებას, რომ ინტერნეტში შეიტანოს მასალები და ამით დაინტერესება ხელისუფლების მხრიდან უფრო უნდა იყოს?**

— ჩვენ, აფხაზეთის ხელისუფლებამ, როგორც იქნა შევძელით ინტერნეტში შესვლა და ძალიან სერიოზულად. მასალებს, რომლებიც ინტერნეტში შედის, მე თვითონ ვაკონტროლებ. ჩვენ ვცდილობთ მთელი მსოფლიო დავარწმუნოთ იმაში, რომ არავითარი ეთნოკონფლიქტი ქართველებსა და აფხაზებსა შორის არ ყოფილა. ეს უბედურება, რომელიც აფხაზეთში დატრიალდა, იყო სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტი, რომელიც იყო ინსპირირებული მესამე, გარეშე ძალით. უცხოელებს მართლაც ჰგონიათ, რომ საქართველომ აისხა იარაღი, წავიდა და დაიპყრო ეს პატარა ერი. მეორე ფორმულა, რომელიც უნდა გავრცელდეს, ეს არის ის, რომ რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ

გაგრძელება მე-5 გვ.

# პრეზიდენტის 24 აგვისტოს რადიოინტერვიუს გამო

## ამ ნომერში არ ვბეჭდავთ კომენტარს პრეზიდენტის რადიოინტერვიუზე. მის ნაცვლად ვაქვეყნებთ ნ. ნათაძის წინამდებარე წერილს

ჩემი პირველი საზრუნავი ამ წერილში ის არის, რომ მეცნიერულ ობიექტურობას არ გადავუხვიო და მკითხველს საფუძველი არ მივცე ეჭვისათვის, თითქოს რომელიმე ანალიზი ან პროგნოზი, რომელსაც ვთავაზობ, ტენდენციურობის შედეგი იყოს. პრეზიდენტი შევარდნაძე თავის 24 აგვისტოს რადიოინტერვიუში საქართველოს პოლიტიკის რამდენსამე ძირეულ თემას ეხება და ამით — პირდაპირ თუ არაპირდაპირ — იმას ავლენს, თუ რას აპირებს ან არ აპირებს ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანების გადასაჭრელად. მოვალეობად მიმაჩნია ამ სავარაუდო გეგმებსა და პერსპექტივებზე ყურადღების გამახვილება, რათა საზოგადოებამ ვიცოდეთ, რას ველით, რა გველის და რა შეგვიძლია ვილონოთ, რათა უარესი ავიცილოთ და უკეთესი მოვიმკათ.

**„სანიმუშო" კონსტიტუცია**

24 აგვისტო კონსტიტუციის მიღების დღეა და პრეზიდენტიც, პირველ ყოვლისა, კონსტიტუციაზე მსჯელობს. იგი კონსტიტუციის კმაყოფილია. უფრო მეტიც: მას კონსტიტუცია სანიმუშოდ მიაჩნია. იგი ამბობს: **„ყველაზე ძირძველი დემოკრატიული ტრადიციის მქონე სახელმწიფოთა სწავლულმა ექსპერტებმა სანიმუშოდ მიიჩნიეს იგი"**.

კონსტიტუცია არ არის არც პოლიტოლოგიური ტრაქტატი, არც უტოპია ანუ იმის აღწერა, თუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფო. იგი ან იმის აღწერა და დაფიქსირებაა, როგორი არის ესა თუ ის კონკრეტული სახელმწიფო (და მაშინ კონსტიტუციის ავტორს რეფორმატორობის პრეტენზია არა აქვს), ან იმისა, როგორი უნდა იყოს და როგორი შეიძლება გახდეს, რეალისტური ძალისხმევის გზით, ეს კონკრეტული სახელმწიფო (და მაშინ კონსტიტუციის ავტორი რეფორმატორია). თუ მისი კონსტიტუცია იმაზე მეტად არ განსხვავდება არსებული რეალობისაგან, ვიდრე ხელისუფლებას ამ რეალობის გარდაქმნის უნარი ავქს, მაშინ მისი ავტორი რეალისტი რეფორმატორია, თუ არა — მაშინ იგი ფანტაზიორი და ე. წ. „პროჟექტიორია" და მარცხისთვისაა განწირული. არანაირი „სანიმუშო" კონსტიტუცია ამ სქემაში არ ეტევა. ასეთი კონსტიტუცია შესაძლებელია მხოლოდ პოლიტოლოგიის სახელმძღვანელოში და არა რეალობაში. თუ მსოფლიოს ყველა ქვეყანა გარდა საქართველოსი დღეს მოკლებულია „სანიმუშო" კონსტიტუციას, ამის მიზეზი კვალიფიციურ იურისტთა დეფიციტი კი არაა, არამედ კონსტიტუციური ზოგადი პინციპების კონკრეტულ რეალობაზე „მიბმის" ამოცანა, ქვეყნის რეალური ინდივიდუალური პრობლემებისადმი მათი მისადაგების ამოცანა. თუ საქართველოს კონსტიტუცია „სანიმუშოა", ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მასში საქართველოს რეალური პრობლემები არ აისახა. მართლაც, არ აისახა. და აი, როგორ.

საქართველოს კონსტიტუციას, ანუ დოკუმენტს, რომლის დაცვა საქართველოს დაცვას უდრის და რომლისთვისაც, მაშასადამე, საჭიროების შემთხვევაში სისხლის დაღვრა გვმართებს, აკლია საქართველოს შინაგანი მთლიანობის ანუ სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის თემა. აქ ნათქვამია, რომ საქართველოს საზღვრებია ესა და ეს და რომ ეს საზღვრები ხელშეუხებელია. ამ გარემოების წყალობით კონსტიტუცია დღეს მართლაც არის **„უმტკიცესი საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც ვიბრძვით ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად"**.

სხვა სიტყვით: ვინმემ თუ მოგვთხოვა საქართველოს საზღვრების გადმოტანა ბორჯომამდე, ენგურამდე ან თელავამდე, ჩვენ შეგვიძლია უარი ვუთხრათ და ჩვენი კონსტიტუციის შესაბამისი მუხლები დავიმოწმოთ. მაგრამ თუ მტერმოყვარემ დღეს მოგვთხოვა ან „გვირჩია" აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს მიმართება „კონფედერაციის" სახით განსაზღვრეთო, ცხინვალში „სამხრეთ ოსეთი" შექმენით, ახალქალაქში — „ჩრდილოეთ სომხეთი", მარნეულში — „დასავლეთ აზერბაიჯანი", წალკაში — „ჩრდილო-აღმოსავლეთ საბერძნეთი" და ქანდაში — „ახალი ასურეთი", კონსტიტუციის რომელ მუხლთან მოვა წინააღმდეგობაში ეს „რჩევა" და მოთხოვნა, რომელიც ორ-სამ თაობაში ტერიტორიას დაგვაკარგვინებს? არც ერთთან. მაშასადამე, არსებული კონსტიტუციის მიერ საქართველოს საზღვრების დაცვა მხოლოდ სადღეისო დაცვაა და არა სახვალიო ან სამარადისო. პრეზიდენტს ეს კონსტიტუცია მოსწონს. მაშასადამე, პრეზიდენტს არ აქვს აზრად და გეგმად საქართველოს კონსტიტუციის იარაღად გამოყენება საქართველოს ტერიტორიის ხვალინდელ, მით უმეტეს — სამარადისო დაცვაში. მის არსენალში ასეთი იარაღი არ არსებობს. საქართველოს ეროვნული თავდაცვის ამ ფრონტს იგი ღიად ტოვებს.

შევნიშნოთ ფრჩხილებში, რომ ერთგული მმართველი უსათუოდ შეიტანდა კონსტიტუციაში ფორმულირებას, რომელიც ზემოთ მოყვანილ პერსპექტივას გამორიცხავს. აღარავს ვამბობ ერთგულსა და ამავე დროს ბრძენ მმართველზე, რომელიც კონსტიტუციაში აფხაზეთისა და ცხინვალის ზონის იურიდიული დარეგულირების მზა ფორმულირებას შეიტანდა, ომის წაგების მიუხედავად, და ამ ფორმულირებას შეუვალ პრინციპულ საფუძვლად დაუდებდა ყოველგვარ შემდგომ მოლაპარაკებას, რის შემდეგაც საერთაშორისო კრიტიკისა თუ დისკუსიის საგნად ამ ფორმულირების აკადემიური მხარეღა დარჩებოდა (და ამ დისკუსიებში ჩვენი ქვეყანა მუდამ გამარჯვებული გამოვიდოდა, ვინაიდან საქართველოს არაქართველი მოსახლეობის ეროვნული უზრუნველყოფის უკლებლივ ყველა ვარიანტი, რომელიც კი საზოგადოებრივ აზრში ტრიალებს, ამ მოსახლეობას შეუდარებლად მეტ უფლებებსა და შესაძლებლობებს ანიჭებს, ვიდრე საერთაშორისოდ მიღებული უფლებადაცვითი დოკუმენტებითაა გათვალისწინებული).

**„უმცირესობათა უფლებების უზენაესობა"**

ახლა ვნახოთ, რით აპირებს პრეზიდენტი კონსტიტუციური იარაღის არქონის შევსებას სეპარატისტებთან და სხვა ძირგამომთხრელ ძალებთან ურთიერთობაში, თურმე მას განსაზღვრული აქვს: **„გავაერთიანოთ ქვეყანა დილოგის, თანაცხოვრების საერთო ფორმულის გამომუშავების, კომპრომისის, კონსენსუსის და არა ახალი სისხლისღვრისა და ომების გზით"**.

ვისთან დიალოგით? ცხადია, ხროვებთან, რომლებსაც ზურგს უკან რუსეთი უდგათ, მაგრამ ისეთი დიალოგით, რომელშიც ამ მთავარი დამნაშავის სახელი ნახსენები არ იქნება. კონსენსუსით თუ კომპრომისით? (ეს რომ ორი სხვადასხვა რამ გახლავთ, მტკიცება არ სჭირდება). თუ კონსენსუსით, მაშინ ეს ბლეფია, ვინაიდან უკვე ცნობილია, რომ მხარეებს შორის კონსენსუსი არ არსებობს. თუ კომპრომისით, მაშინაც ეს არანაკლებ ბლეფია, რადგან დიალოგი იარაღთან, და არა იმასთან, ვინც ამ ხროვებს იარაღს ხმარობს (რუსეთთან) შედეგის მომცემი ვერ იქნება. ეს თვალთმაქცობა, რომელსაც პრეზიდენტის მოყვანილი ციტატა შეიცავს, ძველია და, ამდენად, ყურადღებას არ იმსახურებს. მაგრამ მას ერთვის სიახლეც, რომელიც იმდენად მრავლის მთქმელია, რომ მასზე შეჩერება ღირს. თურმე ჩვენს კონსტიტუციას მიზნად ჰქონია (და ეს მიზანი მიღწეულიცაა), რომ: **„შეექმნა საზოგადოებაში ადამიანის უფლებების, ისევე როგორც ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზენაესობის ურყევი იურიდიული პირობა"**.

რას ნიშნავს ამ სიტყვებში ტერმინი „უზენაესობა"? „უზენაესობა" ფუჭი სიტყვა არ გახლავთ, იგი გამოხატავს იმას, რომ ვილაცის ან რაღაცის უფლება და ძალმოსილება აბსოლუტურია, დაუყვანადია, დაუხურდავებადია. კანონის უზენაესობა იმას ნიშნავს, რომ იგი ვერავის მიერ და ვერანაირი მოტივებით ვერ დაირღვევა. ადამიანის უფლებათა უზენაესობა იმას ნიშნავს, რომ დაუშვებელია, ძველი ეგვიპტელებივით, ნილოსში ქალიშვილი გადააგდოთ, რათა კარგი მოსავალი მიიღოთ; რომ დაუშვებელია თუნდაც ერთ კაცს უსამართლო განაჩენი გამოუტანოთ, რათა ქვეყანამ ომი მოგიგოს და ა. შ. და ა. შ. უმცირესობათა უფლებების ამგვარი „უზენაესობა" არც ბუნებაში, არც ეთიკურსა და პოლიტიკურ აზროვნებაში არ არსებობს. უმცირესობათა უფლება მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ადამიანი არ შეიძლება მისი ზემოხსენებული ადამიანური უფლებების რეალიზაციაში დისკრიმინირებულ იქნას იმის გამო, რომ იგი უმცირესობას ეკუთვნის, და არ შეიძლება უმცირესობა აიძულოთ, რომ იგი უმრავლესობასთან ასიმილირებულ იქნას. უმცირესობათა უფლებები დღევანდელი პოლიტიკური და იურიდიული აზროვნების პრაქტიკაში სხვა არა არის რა თუ არ ადამიანის ზოგადადამიანური უფლების (მაშასადამე — აბსოლუტური უფლების) პრაგმატული გადაანგარიშება და გადათვლა ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაზე იმისდა მიხედვით, თუ რა კონკრეტული დაბრკოლებები ელობება მის რეალიზაციას ამ სიტუაციაში (სადაც უმცირესო-უმრავლესობის დაპირისპირება ან ამ დაპირისპირების საშიშროება არსებობს, ე. შევარდნაძის კომკავშირულად განაფულმა გონებამ დაუფიქრებლად აიტაცა ეს ყოველი ქართველი კომკავშირლისათვის სანუკვარი იდეა „უმცირესობათა" გამოყენებით ქართული „ნაციონალიზმის" ჩაქოლვისა და ასევე დაუფიქრებლად შეაწყვილა იგი „უზენაესობის" ყურმოკრულ ცნებასთან, რათა ზემოხსენებული კომკავშირული მიდრეკილება თანამედროვე უფლებადაცვითი მოძრაობის შარავანდით შეემოსა. მაგრამ ახალი ღვინო, როგორც ცნობილია, ძველ ტიკებს ვერ იგუებს. თუ საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური თაობები ჯერ იმდენად გაუწაფავნი არიან, რომ ამ ორჯონიკიძისებური მენტალიტეტის დიაგნოსტირება არ შეუძლიათ, ცხადია, რომ მომავალ თაობებს, რომლებიც უფრო განათლებულნი იქნებიან, ეს „თეორიული" აბსურდი შეუმჩნეველი არ დარჩებათ.

**„დიალოგი" სეპარატისტებთან**

როგორი „დიალოგის" „კონსენსუსისა", „კომპრომისის" და საქართველოში „თანაცხოვრების" საერთო ფორმულის მონახვის ოსტატია საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი, ეს ვიცით მისი მოღვაწეობიდან აფხაზეთში და ცხინვალის ზონაში „მოგვარების" ასპარეზზე. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს საერთაშორისოდ მიღებული არც ერთი ზოგადი ნორმა, რომელიც მოითხოვდეს ეროვნული უმცირესობისათვის ტერიტორიული ავტონომიის მიცემას მის მიერ ამა თუ იმ გეოგრაფიულ არეალში უმრავლესობის მიღწევის შემთხვევაში, შევარდნაძე მზადაა ასეთი ავტონომია „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის" სახელით დაუკანონოს ცხინვალელ ოსებს, რომელთა წინაპრები ქართლში, ძირითადად, ბატონყმობის გაუქმების (1864) შემდეგ მოვიდნენ. იგი მზადაა მოსკოვის ნაბრძანები ეს ნაბიჯი გადადგას მიუხედავად იმისა, რომ იცის, რას წერენ რუსული გაზეთები ცხინვალიდან ახალქალაქამდე მათი ჯარებისთვის დარჩენილი ერთი პატარა „ნახტომის" შესახებ, რომლითაც ამიერკავკასია შუაზე გაიჭრება და რუსეთს თავის მოკავშირე სომხეთთან პირდაპირი გზა გაეხსნება. ამომწურავი არგუმენტაცია ამ დისკრიმინაციული გეგმის იურიდიული უმართებულობისა წინა პარლამენტის 49 დეპუტატის, აკადემიკოს შ. ნადირაშვილისა და აკ. ბაქრაძის ხელმოწერით მას ხელთ აქვს (ეს არგუმენტაცია გამოქვეყნებულია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). პრეზიდენტის ამ პოზიციის გარეგანი ფაქტორები ნათელია: ესაა რუსეთის ინტერესი, ერთის მხრივ, და საქართველოს ხარჯზე აღმოსავლეთ ევროპის ერთი-ორი მძიმე პრობლემის მოგვარებისათვის პრეცედენტის შექმნის სურვილი, მეორე მხრივ. ნათელია, როგორც ვთქვით, ამ პოზიციის ფსიქოლოგიური ეტიოლოგიაც: ანტიქართველობის კომუნისტური კომპლექსი, რომელიც დღეს — ცნობიერად თუ არაცნობიერად — ახალ „სახურავს" ეძებს გამარჯვებული დემოკრატიის მსოფლიო სისტემაში.

**ფედერალიზმის გეგმა**

თუმცა კონსტიტუციაში გამოტოვებულია საქართველოს ტერიტორიული მოწყობის თემა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ პრეზიდენტი საქართველოს სრულ ფედერალიზაციის ანუ მისი მთელი ტერიტორიის ფედერაციის სუბიექტებად გაყოფის განხორციელებას გეგმავს. რუსეთისგან ნაკარნახევი ეს პრინციპი რომ მართვის გაუმჯობესებას არ ისახავს მიზნად, ცნობილია (ამიტომაც მას არანაირი გათვლა არ ახლავს), ხოლო დანვრილერთეულება რომ სახელმწიფოს დასუსტების მეთოდია, ესეც დავას არ იწვევს. დამარცხებულ გერმანიას მოკავშირეებმა ფედერალობა იმისთვის დაუდგინეს სავალდებულო წესით, რომ ამით ამ ქვეყანაში „ძალოვანი სახელმწიფო" (Machtstaat ) შექმნა აღეკვეთათ. ხოლო გერმანელმა ხალხმა, რომელსაც ფედერაციულ წყობაზე უარის თქმა კონსტიტუციით აქვს აღკვეთილი ან და მარადის, ამ შეზღუდვას იმით უპასუხა, რომ ე. წ. კონკურენტულ. ანუ „ერთად მარბენალი", ცენტრისა და ფედერალური ერთეულების ერთობლივი მიზნისკენ წარმმართველი ფედერალიზმის სისტემა შეიმუშავა და ამით სავალდებულო წყობა თავის რეალური ზოგადეროვნული ინტერესებისთვის გამოსაყენებლად მოირგო. გერმანელი ხალხი დღეს წარმატებით იბრძვის მეცნიერული და ტექნიკური პირველობისათვის მსოფლიოში და ეს ზოგადეროვნული ამოცანაა ის გადამწყვეტი ძალაა, რომელიც მას პოლიტიკური დაშლისაგან და ეროვნული თვითცნობიერების დაშლისაგან იცავს მაგრამ რომელმა ძალამ უნდა გადაწონოს კუთხური შეზღუდულობა ან, მით უმეტეს, კუთხურ განცალკევებაზე დამყარებული დამატებითი კორუფციის ცდუნება საქართველოში, რომელიც წინ, წლების მანძილზე, ხაზინის ქურდობისა და განუკითხავი მექრთამეობის აყვავების გარდა სხვა პერსპექტიკას ვერ ხედავს? რა ძალა დანიშნავს კახელ პოლიციის უფროსს ქუთაისში ან იმერელს გორში? რა აიძულებს ონში ან სენაკში მოკალათებულ ბიუროკრატებს თავის თბილ „მეურნეობაში" ჩაახედონ ახალციხელი ან თელაველი რევიზორები? ამ კითხვათა პასუხი არც პრეზიდენტს, არც მის გუნდს, ცხადია, არა აქვთ, მაგრამ მათდა საბედნიეროდ და ქვეყნის საუბედუროდ მათ ეს კითხვა არც უჩნდებათ.

პრეზიდენტი ყოველ ნაბიჯზე არღვევს კონსტიტუციას და სხვა კანონებს. დეტალებს არ ვაზუსტებ, რადგან ისინი ყველასათვის ცნობილია, ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ პრეზიდენტს კონსტიტუციური პოლიტიკის სფეროში საქართველოს მხარე არ უჭირავს და არც აპირებს, რომ დაიჭიროს. მისი ეს პოლიტიკა საქართველოს დაკნინების და არა მისი გაძლიერების პოლიტიკაა.

**პოლიტიკა აფხაზეთის საკითხში**

ამავე ინტერვიუში არის მონაკვეთი, რომელიც პრეზიდენტის პრაქტიკის ასეთსავე მიმართულებაზე მიუთითებს. ანალიზს არ ვაგრძელებ ციტატაც კმარა, სადაც ლაპარაკია გალელ ლტოლვილთა დაბრუნებაზე არძინბას ხროვის იურისდიქციის ქვეშ, ანუ მათ გამეტებაზე, რომ არძინბას დიქტატს დაექვემდებარონ და საქართველოს ზურგი აქციონ. აი ეს ნაწყვეტიც:

**„რაც შეეხება თვით კონფლიქტს, ამჟამად უმთავრესი ამოცანაა ლტოლვილთა ბოლო ტალღის დაბრუნება გალის რაიონში. ამით უნდა დავიწყოთ ნდობის ატმოსფეროს დამკვიდრება ჩვენს შორის. კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზთა ხელმძღვანელები, პირადად ვლადისლავ არძინბა, გალის აფხაზური ადმინისტრაცია ლტოლვილთა დაბრუნების არათუ წინააღმდეგია, არამედ ხელს უწყობს**

გაგრძელება მე-8 გვ.

მე-3 გვერდიდან

ინტერვიუ

# საქართველოსთვის სხვა კუთხეების ჩამოშორებაც უნდათ...

შეიძლება იყოს კონფლიქტის შუამავალი, რადგან რუსეთი არის კონფლიქტის მონაწილე მხარე. უნდა დარწმუნდნენ ისინი, რომ ეს იყო რუსეთ-საქართველოს ომი, მათ დაიპყრეს აფხაზეთი და თვითონვე არიან შუამავალნი და, რა თქმა უნდა, ამ პუნქტით ვერ მოაწერს ხელს.

რაც შეეხება სამშვიდობო ძალებს, მე მიმაჩნია, რომ ჩვენი იდეოლოგიური წაგება ქვეყნისათვის დამღუპველია. ჩვენ ვერ დავანახეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, თანამედროვე მსოფლიოს, რომ ჩვენ აფხაზეთში საქმე გვქონდა არა ეთნოკონფლიქტთან, არამედ ეს იყო ომი. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩვენ შევეგუოთ ყველაფერ იმას, რაც აფხაზეთში მოხდა. შევარდნაძე-არძინბას შეხვედრები და საუბარი ამ ეტაპზე აფხაზთა და ქართველთა შერიგებაზე არაფრის მომცემია.

აფხაზეთის საკითხის დარეგულირება უნდა მოხდეს მთელი რიგი საერთაშორისო სამართლის აქტებით გათვალისწინებული იძულებითი ღონისძიებებით.

**— ამ ბოლო დროს დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ქართველი ბავშვების თურქეთში დაკავების ფაქტმა.**

— მე მინდა გითხრათ, რომ ჩვენი ბავშვები დამნაშავენი არ არიან. მე შეძლებისდაგვარად შევისწავლე ეს მასალები. ყოველდღიური საუბრები მაქვს ჩვენს საელჩოსთან თურქეთში. ვნახოთ, თუ როგორ განვითარდება მოვლენები. 10-15 სექტემბრისათვის იქნება სასამართლო. მე ვიმედოვნებ, რომ ჩვენს ბავშვებს პროცესიდანვე გაათავისუფლებენ.

**— ბ-ნო თამაზ, ე.ი. უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ ე.წ. მესამე და მეოთხე ძალის მოქმედება გამორიცხულია და მოვლენები სტიქიურად განვითარდა?**

— მე არ გამოვრიცხავ იმას, რომ გარკვეული აგენტურული მუშაობა მიმდინარეობდეს ამ კუთხით, მაგრამ მე მაინც ვიმედოვნებ, ეს მოვლენები სტიქიურადაა განვითარებული. მაგრამ, თუკი ეს საკითხი უარყოფითად გადაწყდა, მაშინ სავარაუდოა,რომ ეს შეგნებულად იყოს დაშვებული.

**— ბ-ნო თამაზ, თქვენ თავიდანვე არ ეთანხმებოდით ხელისუფლების კურსს აფხაზეთის დაბრუნებაზე...**

— ჩემი პოზიცია, რა თქმა უნდა, არ შეცვლილა. მე ისევ მიმაჩნია, რომ აფხაზეთის დაბრუნება შეიძლება მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებით. რა თქმა უნდა, საჭირო არ არის საერთო მობილიზაცია, დიდი სისხლისმღვრელი ომი. არამედ მსოფლიოში არსებობს ცივილიზებული ტერმინი, რომელიც გაეროს მეშვიდე პარაგრაფშია მოცემული. იგი იძულებით მშვიდობის დამყარებას ითვალისწინებს. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ჩვენ დროს ვკარგავთ.

ჩვენ და აფხაზები იმდენად ვიმყოფებით საწინააღმდეგო პოლუსებზე, წარმოუდგენლად მიმაჩნია, რალაც შერიგება-შემორიგებაზე ლაპარაკიც კი.

**— ბ-ნო თამაზ, სინამდვილეს შეესაბამება ის განცხადებები, რომელიც სამეგრელოს რეგიონს ეხება?**

Photo News



— სანამ თქვენ მობრძანდებობით, მე ვკითხულობდი ძალიან საინტერესო ამონაწერს, რომელსაც რამდენიმე წელია ვინახავ. ის გახლავთ 1996 წელს გამოცემული ერთ-ერთი რუსული გაზეთი, რომელშიც წინასწარ ასახულია ის მოვლენები, რომლებიც კავკასიაში მიმდინარე პროცესებს ეხება. საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ავანტურა ძალიან საინტერესო სცენარითაა გადმოცემული. მაშინდელიც და დღევანდელიც. შეიძლება ითქვას, სცენარის ის ნაწილი, რომელიც 1998 წლის სექტემბერ-ოქტომბერს ეძღვნება, განსაკუთრებულად მწვავედაა გადმოცემული. ეს ნავთობსადენის მშენებლობის დასრულებასთანაა დაკავშირებული. იგივე სცენარის პირველი ნაწილით, აღწერილია სამაჩაბლოსა და აფხაზეთის საქართველოსაგან მოწყვეტა. შემდეგი ეტაპი სიტუაციის დაძაბვაა სამეგრელოში, აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში. ზუსტად ასე დავკარგეთ სამაჩაბლო და აფხაზეთი. ფეთქებადსაშიში მდგომარეობაა საქართველოს სხვა კუთხეებში, კახეთში უკვე გამოჩნდა შეიარაღებული ხალხი, მოკლედ, ყველაფერი ისე მიდის, როგორც დაწერილია. შემდეგ სამეგრელო უნდა ჩამოშორდეს ცენტრს ფოთთან ერთად. იგივე მდგომარეობა იქნება აჭარაშიც, რადგანაც სასაზღვრო ჯარს და სხვა სამხედრო შენაერთებს არ აქვთ შესვლის უფლება. თბილისი რჩება ზღვის გარეშე, ე.ი. ჩვენს მტრებს უნდათ დააფიქსირონ, რომ საქართველო არის ქვეყანა, სადაც მუდმივი დესტაბილიზაციაა. ხელისუფლება ვერ ფლობს სიტუაციას, არის კუთხეებს შორის დაპირისპირება და ბოლოს გაიჟღერებს ასეთი მოწოდება, რომ როგორ შეიძლება ასეთ ქვეყანაში ნავთობსადენზე, აბრეშუმის გზასა და სხვა მნიშვნელოვან პროექტებზე საუბარი.

ამიტომაა, რომ ქართველებმა ყურადღება არ უნდა მოვადუნოთ, მაგრამ სამწუხაროდ, საკუთარი მეს გულისათვის ხშირად ეშმაკსაც შევეკვრებით.

რაც შეეხება ზუგდიდის აფეთქებას, ჩვენი ინფორმაციით ის მოაწყო ორმა, გვარით ქართველმა. მოემზადნენ ჭუბურხინჯში, შემოვიდნენ აფხაზეთის ტერიტორიიდან და შეასრულეს აფხაზებისა და რუსების დაკვეთა. არ არის გამორიცხული მსგავსი ტერორისტული აქტები თბილისშიც მოხდეს.

ესაუბრნენ
**ნათია ჟანტურია**
**კობა კაპანაძე**

**P.S.** გურიაში მოარულმა ხმებმა გვამცნო, რომ საქართველოსთვის აფხაზეთისა თუ სხვა კუთხეების ჩამოშორება ცენტრს ზღვაზე გასასვლელს უკარგავს. ამიტომაც ბატონმა ედუარდმა პორტის აშენება გურიაში, კერძოდ, სუფსაში გადაწყვიტა, ხუმრობით იმასაც ამბობენ, მთავრობის სასახლის გადმოტანას მამათში აპირებსო. რას იზამ, მამათელი ბიჭის ისტორია სწორედ იმ მწვერვალიდან დაიწყო, საიდანაც ნათლად მოჩანს აჭარა — გურიის მთიანეთიდან გამომავალი ვერცხლისფერი სუფსა და დასავლეთისაკენ შორს უსასრულ სივრცეს ზავ ზღვას უერთდება. ვინ იცის, იქნებ ჩვენი პრეზიდენტის კაპიტულანტური პოლიტიკაც ასევე მამათში დაიწყო და შეიძლება სადღაც შორს, დასავლეთში უერთდებოდეს უსასრულობას.

მე-2 გვერდიდან

პასუხი აფხაზ სეპარატისტებს

# ...ვინც შუშის სახლში ცხოვრობს, ის სხვებს ქვებს არ ესვრის

აზეთს“. საინტერესოა, რა დროიდან იყო აფხაზეთი სუვერენული რესპუბლიკა! — ასეთი რამ არ ახსოვს ისტორიას.

„საისტორიო ძველი ცნობა არაბმა მოგზაურმა მასადიმ — მეათე საუკუნეში დაწერა — აფხაზები ქრისტიანები არიან და მეფე ჰყავთო“. ამის შემდეგ საქართველოს უსინდისო ისტორიკოსებს, როგორ არ რცხვენიათ, როდესაც წერენ „აფხაზებს მეფე არასოდეს არ ჰყოლიათ“. აღნიშნული გვაქვს, რომ აფხაზეთის სამეფო ქართული სახელმწიფო იყო. მეფეები ქართველები იყვნენ. ვინ მისცა უფლება იაჰია ყაზანს შეურაცჰხყოს ქართველი ისტორიკოსები. თვითონაა ამის დამწერი უსინდისო. ის აგრძელებს: „სტალინმა 1913 წელს აფხაზეთის რესპუბლიკა საქართველოს სსრ-ში შეათრია ძალით. ავტონომიის გარსით, ნიღბით... რა ლამაზი ფრაზაა! არც ენით, არც ისტორიული ბედით, არც კულტურით, არც ტოპონიმებით, არც ფოლკლორით, ან სხვა რაიმე ნიშნით აფხაზები არ ჰგვანან ქართველებს. აფხაზების ფსიქოლოგია სავსებით განსხვავდება ქართველების ფსიქოლოგიისაგან, რადგან მათ სავსებით სხვადასხვა ცნობიერება აქვთ. იმ აქტივისტებმა, რომლებიც დღეს საქართველოს საზღვრების მთლიანობაზე ზრუნავენ, ძალიან კარგად იციან, რომ აფხაზეთის ტერიტორია საუკუნეების მილმა, უძველეს დროშიც საქართველოს ეთნოადმინისტრაციული რაიონი კი არ იყო, არამედ მსოფლიოს ატლასებზე აფხაზეთი დამოკიდებელი, განსხვავებული ცალკე სამეფოა. თუ უძველეს გამოჩენილ თურქ მოგზაურს ევლია ჩელების (XVII ს) დავიმოწმებთ, ასევე ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს — ყველანი დაგვიმოწმებენ, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე დღევანდელი აფხაზების წინაპრები (აბასგები, აპსილები, სანიგები) ცხოვრობდნენ. საქართველოსათვის ტერიტორიული მთლიანობა ნიშნავს ჰქონდეს მას აფხაზეთი უაფხაზეთოდ. მას სურს წაგვართვას ერთადერთი სამშობლო“. აი, ელჩის იაჰია ყაზანის სიტყვები. ამ სტრიქონებიდან ჩანს, რომ მისმა ავტორმა არ იცის აფხაზეთის ისტორიული წარსული, არც კულტურის ძეგლები, ტოპონიმები, არც ფოლკლორი, რომ ქართველების და აფხაზების ფსიქოლოგია ძლიერ ახლოსაა, რომ ანთროპოლოგიურად ქართველები და აფხაზები ასევე ძლიერ ახლოს არიან ერთმანეთთან; რომ არავის არ უთქვამს ჩვენ აფხაზეთის მიწა გვსურს უაფხაზეთოთ. გაიხსენეთ ედუარდ შევარდნაძის სიტყვები, თუ რას ჰპირდება აფხაზებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ. პატივცემულმა ელჩმა არ იცის, რომ სანიგები აფხაზთა წინაპრები კი არაა, მეგრელებისაა, რომ თავისი მოსაზრებების დასამტკიცებლად მას არ გამოადგება არც ევლია ჩელები და არც დიუბუა დე მონპერე. ევლია ჩელები წერს: რომ ჩაჩის ქვეყანაში — თანამედროვე გუდაუთის რაიონში (1641 წელი) მეგრულად ლაპარაკობდნენ, უფრო ადრე, 1559 წელს შედგენილ შავი ზღვისპირეთის რუკაზე აფხაზეთის რუკას აწერია „მინგრელია“. კელასურთან ნავსადგურს პორტო-მინგრელო ეწოდებოდა. ჩვენ შევისწავლეთ XVII-XIX საუკუნეებში აფხაზეთის მცხოვრებთა გვარები, საიდანაც ჩანს, რომ ამ საუკუნეებში აფხაზეთის მოსახლეობა ძირითადად მეგრული იყო.



რა უნდა თქვა „ისტორიკოს“ ვიაჩესლავ ჩირიკბაზე რომელმაც 1977 წელს დაბეჭდა წიგნი „აფხაზეთის ისტორია“ და მეფეები, კულტურა, ძეგლები აფხაზეთის კუთვნილებად აღიარა, სადაც აფხაზების რაოდენობა გაზვიადებულია, ქართული კულტურის ძეგლებს აფხაზურს უწოდებს, ქართველ მეფეებს აფხაზებად მიიჩნევს.

ტექსტში ხელმოუწერელი და უთარიღო ცნობაა „სიცრუეში ვარჯიშობანი“, რომელიც ასე მთავრდება: „მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან აფხაზებს ყველაზე დიდი საფრთხე ეროვნულად გაქრობის მხრივ საქართველოსაგან მოელის, და ვის, თუ არა რუსეთს მიეკედლოს აფხაზეთი!“

პასუხი ერთია: ანტიკური დროიდან დღემდე აფხაზებმა მოაღწიეს, იმიტომ, რომ ჭირში თუ ლხინში ქართველებთან, თვისტომთან იყვნენ. ისტორიას ახსოვს დიდი რუსეთის მიერ პატარა ერების ასიმილაციის მრავალი ფაქტი. აფხაზებსაც ეს მოუვათ. რამოდენიმე ათეული წელიც არაა საჭირო, რომ რუსების ხელში აფხაზების სახელი გაქრეს დედამიწის ზურგიდან. მიეკედლეთ, ბატონებო!

მიმართვაში დსთ-ს ქვეყნების მეთაურებს, ე. სტროევს. 1977 წ. 24 იანვარი, აღნიშნულია, რომ „ქართველები ჩაგრავენ აფხაზებს, რადგან მოითხოვენ აფხაზეთის ბლოკადის გაძლიერებასო“. მოვითხოვთ: „შეწყდეს საქართველოს ფაშისტურ მთავრობასთან მოლაპარაკება, რადგან შეუძლებელია მასთან სახელმწიფოთაშორის დონეზე მოლაპარაკება“. ეს პირიქით უნდა გავიგოთ: შეუძლებელია აფხაზეთის სეპარატისტულ მთავრობასთან მოლაპარაკება.

საქართველოში უძველესი დროიდან გავრცელებული ლეგენდა, ღმერთმა ქართველებს რომ მიაკუთვნა საქართველოს ლამაზი მიწა, სეპარატისტებს აფხაზებზე გადმოუტანიათ. იგი აფხაზ-სეპარატისტების მიხედვით საქართველოს კი არა, აფხაზეთს ეხება. აფხაზო სეპარატისტებო! ეცადეთ ლამაზი ქართული ლეგენდები აფხაზებს მიაწეროთ. ეს მასალა გააფხაზებულ თურქ ოზგანს 1998 წელს დანიაში გამოუქვეყნებია.

ქართველებისაგან მითვისების კიდევ ერთ ფაქტს დავასახელებ: კონფლიქტის წინ რუსულ ენაზე დაიბეჭდა აფხაზის ვინმე კოპეშავიძის (და არა კობეშავიძის) წიგნი „აფხაზური სამზარეულო“, სადაც ისეთი ქართული კერძები, როგორიცაა ხაში, საცივი, ბაჟი და სხვა აფხაზურ კერძებადაა ალიარებული. ჩვენ მრავალჯერ ვყოფილვართ აფხაზურ ოჯახ-

გაგრძელება მე-8 გვ.

მე-2 გვერდიდან

# კავშირგაბმულობის სისტემის ნგრევა დაწყებულია?

## ანუ თბილისის სატელეფონო ქსელიც გაიყიდებაო...




ზუსტებლად, მაგრამ მაინც გაჟონა და სავარაუდოდ, მისი წარმოშობის საფუძველი კავშირგაბმულობის ახალი მინისტრის, ბ-ნ სერგო ესაკიას და მის თანმხლებ პირთა ვოიაჟი უნდა იყოს მეზობელი ქვეყნის დედაქალაქში, კერძოდ, ერევანში. რატომ აირჩიეს მაინცდამაინც ეს ქალაქი კავშირგაბმულობის ახალმა ხელმძღვანელებმა? ინფორმაციის წყაროც სწორედ ამ კითხვაზე აკეთებს აქცენტს და სავარაუდო პასუხსაც თვითონვე სცემს. სომხეთის ხელმძღვანელობამ თავის დროზე (ტერ-პეტროსიანის დროს) ბერძნებს მიყიდა ერევნის სატელეფონო ქსელი და ამჟამად მისი მფლობელები ბერძნები არიანო. მავანნი და მავანნი იმასაც დასძენენ, რომ ტერ-პეტროსიანის იძულებაში დაეტოვებინა პრეზიდენტის პოსტი არცთუ მცირე როლი ითამაშა ერევნის სატელეფონო ქსელის გაყიდვამაცო. სად პრეზიდენტის მიერ პოსტის დატოვება და სად სატელეფონო ქსელიო, იკითხავთ ალბათ და მართალიც იქნებით, მაგრამ საქმე ისაა, რომ რაც ერევნის კავშირგაბმულობას ბერძნები დაეპატრონენ, ყოველდღიურმა სააბონენტო გადასახადმა, ჩვენს ფულზე თუ ვიანგარიშებთ, 27 ლარს მიაღწიაო. ეს კი, მოგეხსენებათ, უბრალო ხალხისათვის მძიმე დარტყმაა და რიგითმა მოკვდავებმაც საკუთარი პრეზიდენტის მიერ ლახვარჩაცემულებმა, სრულიად შესაძლოა, ზურგი შეაქციეს მას და მისი გადაყენება მოითხოვეს.

რაც შეეხება ბ-ნ ესაკიას და მის ამალას, ალბათ, ერევანს იმიტომ სტუმრობდნენ, რომ თბილისური სატელეფონო ქსელის გაყიდვისათვის ნიადაგს ამზადებენ და იქაური კოლეგებისაგან რჩევას ღებულობენ, ან სულაც არაა გამორიცხული, კლიენტის გამოძებნაც სთხოვეს.

რას მოგვიტანს ჩვენ, უბრალო ხალხს სატელეფონო ქსელის გასხვისება და რას მისცემს ეს ნაბიჯი სახელმწიფოს? ჩვენ, როგორც რიგით მოქალაქეებს, იმას მოგვცემს, რომ ყოველთვიურად ალბათ 27 თუ 30 ლარით შეგვიმსუბუქებს ისედაც ცარიელ ჯიბეებს, ხოლო სახელმწიფოს კი იმას მისცემს, რომ მის ხაზინაში ერთჯერადი, რაღაც სერიოზული თანხა შევა, რომელიც სავარაუდოდ, მალევე შეიჭმევა-დაიხარჯება და საბოლოო ჯამში, სატელეფონო ქსელი სხვის კუთვნილებად იქცევა.

ადრეც ვწერდით და ამჟამადაც გავიმეორებთ: კავშირგაბმულობის "სისტემის ხელში მოგდება „მოქალაქეთა კავშირს" ჯერ კიდევ მანამდე ჰქონდა განზრახული, სანამ ლეკიშვილი გადადგებოდა პოსტიდან და სანამ მთავრობა მთლიანად შეიცვლებოდა. ეს აშკარად ჩანდა იმ „შეტევებიდან" სამინისტროს წინა ხელმძღვანელების წინააღმდეგ რომ ახორციელებდა სააკაშვილი, ცქიტიშვილი და სხვა კომკავშირულად შემართული მოქავშირელები. იმასაც ვწერდით, რომ ყველაფერ ამას მოყვებოდა კავშირგაბმულობის სისტემის ნგრევა და ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც ჩვენი ეს პროგნოზი ახდა: თუ მართალია ის ინფორმაცია, რომ ქალაქის სატელეფონო ქსელის გაყიდვას აპირებენ, ჩათვალეთ, რომ კავშირგაბმულობის სისტემის ნგრევა დაწყებულია, მავანთა და მავანთა ჯიბეების გასქელება კი — ალბათ მოსალოდნელი.

ეს რაც შეეხება თბილისის ტელეფონებს. ახლა ვნახოთ, რა დღეში აღმოჩნდება რაიონების, სოფლების კავშირგაბმულობა? დედაქალაქის სატელეფონო კვანძის სავარაუდო უცხო მფლობელმა, შესაძლოა, მიხედოს ამ ქსელს, მაგრამ რაიონებისაკენ და სოფლებისაკენ ის საერთოდ არ გაიხედავს. არადა, როგორც სპეციალისტები ამბობენ, სწორედ ქალაქის სატელეფონო ქსელიდან შემოსული მოგების ხარჯზე ხდებოდა თურმე რაიონებისა და სოფლების კავშირგაბმულობის სისტემათა აღდგენა, განახლება, შეკეთება და ა.შ. შესაძლოა, სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ სხვა გზები გამონახოს რეგიონების კავშირგაბმულობის მისახედად, მაგრამ ის სხვა გზები მაინც გარკვეულ ხარჯს გულისხმობს და ვის და რას დააწვება ეგ ხარჯი, ესეც საკითხავია.

**სერგო ჯანაშია**

## სამშობლოს

# სამშობლოს!

ზურგის ქარივით მომაწვა
აგორებული დარდი,
დადუმდა, აღარ ხმიანობს.,
სიმჩაწყვეტილი ჩანგი.
ქარი უტიფრად გრიალებს,
ქოჩორს უსერავს მდელოს,
უჭირს სქელ ნისლის
გარღვევა,
ჩემს დაჭრილ საქართველოს.
დავითის ხმალი დაჟანგდა,
ალარც ერეკლეს ბზინავს,
ოდითგან გაუტეხავი,
ერი ნიადაგ გმინავს.
თავს ციხე-გოჯი გვენგრევა,
სიონს გაუჩნდა ბზარი,
დროა ქართლოსის შვილებო,
ჩამოვკრავთ გლოვის ზარი!
წინაპრებივით ვიგლოვოთ,
ცრემლით ავივსოთ გუგა,
არ ვაპატიოთ ვერაგ მტერს,
მამულის გადაბუგვა!
ერი და ბერი შევიკრათ.
დუშმანს ვატეხოთ მეხი,
ღვთისმშობლის წმინდა
მიწიდან
ამოვუკვეთოთ ფეხი!

**მ. ტაბანელი**

მე-3 გვერდიდან

# რა განსხვავებაა ვან ბაიბურთიანსა და ედუარდ შევარდნაძეს შორის?

დიდია. ბაიბურთიანი თბილისში გამომავალი გაზეთის, „ვრასტანის" რედაქტორია, ხოლო შევარდნაძე, როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს, იგივე ვრასტანის პრეზიდენტია. მაგრამ ბ-ნი ვანი მსხვერპლად სწირავს თავს სამშობლოს კეთილდღეობისთვის. მისი ყოფნა სომხებს თბილისში უფრო სჭირდებათ, თორემ ამდენ ხანს ვინ დაგვიტოვებდა, წაიყვანდნენ და დააწინაურებდნენ. თუმცა ვინ იცის, მას ჯერ კიდევ წინა აქვს მომავალი, დამსახურებას არ დაუკარგავენ. ბ-ნი ვანი ომახიანად აცხადებს, მე საქართველოზე ვარ შეყვარებული და სომხეთში ვერ ვიცხოვრებო. მე კი ასე მგონია, რომ ბ-ნ ვანს სომხეთში საცხოვრებლად და სამუშაოდ გადასვლა არ უნდა მანამდე, სანამ ჯავახეთი და ნახევარი საქართველო სომხეთის ნაწილი არ გახდება (არაა გამორიცხული, რომ შევარდნაძე სომხეთის ვასალურ საქართველოს, ვრასტანის პრეზიდენტადაც დარჩეს, სომხებისთვის მისი კანდიდატურა მისაღები იქნება). ჩვენდა სავალალოდ, საქართველოს მეორე ნაწილსაც გამოუჩნდება პატრონი. ხოლო თუ სომხებმა თბილისის დაპყრობაც შეძლეს, რაზეც დიდი ხანია ოცნებობენ, მაშინ ვ. ბაიბურთიანს არსად წასვლა აღარ დასჭირდება, მას გრიგორ არწრუნიზე უფრო დიდ მოღვაწედ გამოაცხადებენ სომხები, შეიძლება ყველას არ ახსოვს, რომ გრ. არწრუნი თავის დროზე წარმატებით ებრძოდა ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს და სხვა ქართველ ერისკაცებს. მან დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ XIX-XX სს-ის მიჯნაზე, რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შედეგად, თბილისში ქართველზე მეტი სომეხი ცხოვრობდა და ხშირად თბილისი სომხების თუ უცხოელების მიერ ქართულ კი არა, სომხურ ქალაქად, სომხების დედაქალაქად ცხადდებოდა.



კარგა ხანია, ბაიბურთიანიც და შევარდნაძეც ამტკიცებენ, რომ ჯავახეთში, შოთა რუსთაველის მშობლიურ მხარეში, თუ რაიმე გაუგებრობები ხდება, ამისი მიზეზები სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში უნდა ვეძებოთო. ქართული ჯარის ხუთას კაციანი რაზმი შეიარაღებულმა სომხებმა ჯავახეთში რომ არ შეუშვეს აბულის მთაზე რუსებთან ერთად სამხედრო ვარჯიშების ჩასატარებლად, განა ეს კიდევ ერთი (ვინ იცის მერამდენე!) საბუთი არაა იმისა, რომ სომხებს ჯავახეთის საქართველოდან მოგლეჯა და სომხეთთან მიერთება (1921 წელს, ბოლშევიკური რუსეთის წყალობით, სომხებმა მიიტაცეს ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილი და მაშინვე დაიწყეს გეგმაზომიერი მოქმედება ჯავახეთის მისატაცებლადაც, დიდ წარმატებასაც მიაღწიეს, მეტადრე ბოლო წლებში) აქვთ დაგეგმილი? შეიძლება, გარკვეული მიზეზების გამო, სომხეთის ხელისუფლებამ ჯერჯერობით თავიც შეიკავოს აშკარა, გადამწყვეტი მოქმედებისაგან, მაგრამ ჩვენთვის განა დიდი შელავათია, ჯავახეთს დღეს წაგვართმევენ, თუ ორი წლის შემდეგ? მთავარია, ქართველი ხალხი ისე გაძლიერდეს, ქართული სული ისე აღზევდეს, რომ ეს ჩვეულებრივ ამბად აღარ აღიქმებოდეს. საუბედუროდ, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება არაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ქართველებმა მდულარებაი სულისაი, მამა-პაპური შემართება დაიბრუნონ.

ერთხელ ვან ბაიბურთიანს ვთხოვე, სომხური ჟურნალ-გაზეთები მათხოვე, მაინტერესებს, რას წერენ საქართველოს შესახებ-თქო. მე შენ სომხური ჟურნალ-გაზეთები უნდა გათხოვო იმისათვის, რომ ქართულ პრესაში ახალ-ახალი წერილები გამოაცხოვო? არაფერი შეგეშალოსო! ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებსაც, ვისთანაც ხელი მიმიწვდა, არაერთხელ ვთხოვე, დამეხმარეთ სომხური პრესის შოვნაში-თქო. თქვენც არ მომიკვდეთ, აქედან არაფერი გამოვიდა. ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზეც არაერთხელ დავბეჭდე, ჩვენთვის საჭირო სომხურ ლიტერატურას, სომხურ ჟურნალ-გაზეთებს (კერძოდ, ახალქალაქში გამომავალ სომხურ გაზეთ „ჯავახქ"-საც) ვერ ვშოულობთ სპეციალისტები და არ ივარგებს ასე-თქო. ყველა ეს მონწოდება დღემდე რჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა.

ბაიბურთიანი, როგორც ეტყობა, ჩემს ჯანმრთელობას უფრთხილდება და ჩემს კეთილდღეობაზეც ზრუნავს. მან დაახლოებით ორი წლის წინ შემომთავაზა — შეეშვი პრესაში წერილების ბეჭდვას საქართველო-სომხეთის ურთიერთობაზე და ჩვენ, სომხები გადაგიხდით თვეში ათას დოლარსო, თუ გეყოფა ათასი დოლარიო. როგორც ვხედავთ, ბაიბურთიანი გამდიდრებას მიპირებდა, თუ მის და ძმათა მისთა, სომხეთის სამსახურში ჩავდგებოდი. კიდევ უფრო მეტს გადამიხდიდნენ, თუ ცდუნებას ავყვებოდი და ვიტყოდი, რომ სანამ ურიცხვი დამპყრობლები სომხეთში სომხურ სახელმწიფოებრიობას მოსპობდნენ, სომხეთს უპირატესობა გააჩნდა საქართველოსთან შედარებით (რაც, თითქოს აისახა კიდეც „ქართლის ცხოვრებაში"), საქართველოს გაძლიერება, თითქოს, სომხეთის დაცემამ გამოიწვია და ა.შ.; ქართველებმა ჯავახეთიც ნებაყოფლობით მივატოვეთო და რაღას ვემართლებით მშრომელ სომეხ ხალხს, რომელთაც გააცოცხლეს ეს მხარეო. მაგრამ როგორ დავივიწყოთ ქართველი კაცის, ჩვენი წინაპრების ნათქვამი: ჯავახეთი 80-ჯერ წახდენილა და 90-ჯერ აღშენებულაო. თუ მტერი ყოველი ღონით არ ეცდება, ქართველ ხალხს სული ამოხადოს, იგი კიდევ ერთხელ შეძლებს ჯავახეთის, ისევე, როგორც სამაჩაბლოსა და აფხაზეთის აღშენებას, საქართველოს მკვდრეთით აღდგომას.

შევარდნაძეც ამდიდრებს, ვინც მის სამსახურში ჩადგება. თუმცა, სამსახურსაც გააჩნია. მისი მნიშვნელობისდა მიხედვით, ზოგს მსხვილი ლუკმა ხვდება, ზოგს წვრილი, ზოგს მხოლოდ ნამცეცები. თქვენ გგონიათ, ეს მსხვილი ლუკმა, ნასუფრალი ყელზე ადგებათ? ნურას უკაცრავად, მშვენივრად ყლაპავენ. მით უფრო არ უძნელდებათ ნამცეცების გადაყლაპვა, ოღონდ დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება რჩებათ და არის გამართული მარულა მსხვილი ლუკმების მოსაპოვებლად. ნუთუ ბოლოს და ბოლოს არ შეგვაწუხებს სინდისის ქენჯნა სალაფავის უკადრისი საშუალებებით მოპოვების გამო? ნუთუ ზნეობის სავსებით გაქრობა ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს არ გააუბედურებს? საქართველოს არ გადააგვარებს?

ვინაიდან ათასი დოლარით ვერ გადამიბირეს, ბაიბურთიანმა და ძმათა მისთა სხვა გზით სცადეს ჩემი დასამარება. მიმდინარე წლის დასაწყისში ფაქტობრივად გამაძევეს მეცნიერებიდან, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტიდან (არადა, დარწმუნებული ვარ, რომ ამჟამად მეტის გაკეთება შემიძლია მეცნიერებაში, კერძოდ, საქართველო-სომხეთის ურთიერთობების კვლევის საქმეში, ასევე მეცნიერულ-პოპულარული ნაშრომების შექმნაში, ვიდრე აქამდე შემეძლო). ჩემი ღრმა რწმენით, ამაში, ჩვენებურ კაენებთან ერთად, ბაიბურთიანისა და ძმათა მისთა ხელიც ურევია. მათ არ ანდოდათ, რომ მე მემუშავა თემაზე — „ჯავახეთი ძვ. წ. II საუკუნიდან დღემდე". თურმე ამ თემაზე მარტო სომხეთში უნდა იმუშაონ. ეჯმიაწინის (ეჩმიაძინის) საპატრიარქოს ინიციატივით უკვე გამოიცა სქელტანიანი წიგნი — „სომხური და შერეულ სომხური დასახლებები საქართველოში", რომელშიც ჯავახეთს დიდი ადგილი უჭირავს და ეს მხარე ისტორიული სომხეთის ნაწილადაა გამოცხადებული. ასევე გასული წლის ოქტომბერში, როცა ერევანში გახლდით, დიდის ამბით მახარეს, ერევნის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, მელქონიანი წერსო წიგნს ჯავახეთის შესახებ. იქნებ, ვინმემ ის მაინც გვითხრას, ეს წიგნი უკვე თუ გამოიცა ან როდის გამოქვეყნდება. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის დირექტორს და მის მოადგილეს არც თვითონ უნდათ თავის შეწუხება ჯავახეთის შესახებ წიგნის დაწერაზე და არც სხვას აძლევენ ამის საშუალებას, პირიქით, ხელს უშლიან.

მეცნიერებიდან ჩემი გაძევების გამო განცხადებით მივმართე პარლამენტის თავმჯდომარეს, ზ. ჟვანიას. აქედან რომ არაფერი გამოვიდა, ღია წერილი დავბეჭდე შევარდნაძის სახელზე, მაგრამ მის შემდეგ დიდი დრო გავიდა და დღემდე პასუხსაც ვერ ვეღირსე. ჩვენებური კაენები რომ ვახსენე, მათი ერთ-ერთი თავკაცია, თუ თავი ქალია გ.ალასანია, რომელიც უფალ მ.სააკაშვილის დედა გახლავთ. სააკაშვილს კი ხათრი არ გაუტეხეს და მეცნიერებიდან ჩემი მოკვეთა მე თვითონ დამაბრალეს — დაიკარგე შენც და შენი ჯავახეთიცო. მერე რა, რომ კანონიერების ნასომხარმა შეფმაც დღევანდელ, ახალ საქართველოში უკანონობა იკისროს, როცა დაჭირდება. მას არც ჯავახეთის ტრაგედია მოუკლავს გულს.

ამრიგად, პირადად ჩემთვის ვან ბაიბურთიანსა და ედუარდ შევარდნაძეს (მასთან ერთად ნაგულისხმევი მყავს მისი გუნდიც, რამდენადაც ისინი ერთმანეთისაგან განუყოფელია) შორის განსხვავება არ არსებობს. ვფიქრობ, ამ აზრს მრავალი ქართველიც გაიაზრებს.

**გულაბერ კლარჯი**

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველო" №53,54

# ივანე ჯავახიშვილი აბხაზების შესახებ

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს მესამე შეხედულებაც გამოუქვეყნებია აბხაზებზე, რომლის მიხედვით I-VI საუკუნეების ბერძენი და ბიზანტიელი მოგზაურებისა და მეცნიერების მიერ დღევანდელი ცხუმის, გაგრის, ბიჭვინთის მიდამოებში დასახელებული არიან აფხაზები ანუ ქართველები, მაგრამ მათს ჩრდილოეთით მცირე მონაკვეთზე შავი ზღვის პირას ნახსენები „აპსიაი". მას სავარაუდოდ მე-19-20 საუკუნეების აბსუების (აფსუების) წინაპრებად მიაჩნია. მათს შესახებ მცირე, ხუთსტრიქონიანი, ხუთხაზიანი ტექსტია მისი „ქართველი ერის ისტორიის" პირველ ტომში (1918 წ. გ.), რომელიც VI ს-ში გუბაზის აჯანყებას ეხება. ამ პატარა ტექსტს ქვესათაური აქვს, „აფსუების აჯანყება".

სწორედ ეს მესამე ვარაუდი მოიწონა აკდადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ და ავტორის, ივანე ჯავახიშვილის მოუხსენიებლად გამოაქვეყნა თბილისში ორჯერ მოხსენების სახით (თსუში და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში) და ორჯერ სტატიის სახით (ერთ-ერთ გაზეთში, ამასთან სამეცნიერო ჟურნალშიც „მოამბე").

ამ შეხედულებამ თამაზ გამყრელიძეს ცხუმში ჩარჩენილი ვითომ აფხაზი ისტორიკოსების სახით კრიტიკოსები შესძინა, ხოლო ლონდონელმა პროფესორმა ჯორჯ ჰიუტმა ამ სტატიების კრიტიკა ინტერნეტშიც [illegible]ტავსა, სტატიის სახითაც გამოაქვეყნა და მოხსენებაც წაიკითხა ლონდონში. პროფესორი ჯ. ჰიუტი აფხაზეთის რესპუბლიკის საპატიო კონსულია დიდ ბრიტანეთში (ინტერნეტის მიხედვით).

ახლა შევაჯამოთ ზემოთ თქმული: აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით აფხაზები ქართულად მეტყველი ქართველებია. ძალდატანების გამო მეორე შეხედულებით აფხაზები ქართველებია, მარამ VI ს-ის აპსილები აფსუები იყვნენ. მისი მესამე შეხედულებით აფხაზები და აპსილები სავარაუდოდ აფსუებია.

მესამე შეხედულება ერთხელ გამოაქვეყნა 1937 წელს ქართულად, იგივე მეორედ — რუსულად ჟურნალში „ვესტნიკ დრევნეი ისტორიი", 1939 წ. №4. 1940 წელს გული გაუსკდა მოხსენების კითხვისას და გარდაიცვალა. იმ ტექსტებში მას ქართველები ჩერქეზების, ჩეჩნების, ლეკების, სარმატების და სხვათა მონათესავედ მიაჩნია, მაგრამ იქვე გულისტკივილით აკვალიანებს მკითხველს თავისი ნამდვილი შეხედულების შესახებ, რომ ჩერქეზები, ჩეჩნები, ლეკები და სხვები არამცთუ ქართველების მოძმეები, არამედ საერთოდ კავკასიელები არ არიან და მათ „ეგრეთწოდებულ კავკასიელებს" უწოდებენ. როგორ აიძულეს ი. ჯავახიშვილი ისეთი ვარაუდის დასაბუთება დაეწერა, რომელიც მცდარად და „მეტად სახიფათოდ" მიაჩნდა? — ამის მიზეზი იკვეთება 1936 წლის 28-29 მარტს თბილისის უნივერსიტეტში მოწყობილი კამათის ორტომიანი ტექსტის გაცნობისას.

დისკუსია საისტორიო ფრონტზე მდგომარეობის შესახებ (ივანე ჯავახიშვილის შესახებ) რექტორის, კარლო ორაგველიძის სიტყვა:

„...ქართული ბურჟუაზიულ იდეალისტური ისტორიოგრაფიის მამამთავრის, ივანე ჯავახიშვილის შრომების ღრმა ბოლშევიკურ-აკადემიური კრიტიკით მომხსენებელმა ფარდა ახადა ივანე ჯავახიშვილის ყველა მიმდევარს და მეცნიერულ-აკადემიური მახვილი ჩასცა მათ აშკარა ყალბსა და ფალსიფიკატორულ შეხედულებებს.

გ. 557 წერენ, რომ საქართველოში ფეოდალური მონარქა ბაგრატ მესამის დროს ჩნდება. ეს შეხედულება ყალბია. დავით აღმაშენებლის დროს შეიქმნა ფეოდალური მონარქა. (ასპირანტი აბელ კიკვიძე).

გ. 91. ივანე ჯავახიშვილი წერდა 1905 წელს წიგნში „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია (გვ. 3): მეფობა ქართველ ტომებში ძველი ამბავია, ის მეექვსე საუკუნეში სპარსელებს მოუსპიათ, შემდეგ მომხდარა მეფობის აღდგენა. მართლაც, რომ „თავისებური აზრებია. ამ შემთხვევაში ის ნოვატორადაც შეიძლება ჩაითვლოს. განა ვისმე შეუძლია



საქართველო ერთა ლიგის მიერ ცნობილ საზღვრებში.
პოლ გენტიზონის წიგნიდან „საქართველი", პარიზი, 1921 წ.

მსგავსი აზრის დაჯერება? ცხადია, არა.

გ. 94. დროა, ერთხელ კიდევ გამოვამზეუროთ ჯავახიშვილის შეხედულების რეაქციული შინაარსი და შესაფერი ადგილი მივუჩინოთ ისტორიულ მეცნიერებაში...

გ. 97. ამხანაგებო, უეჭველია ამ ჩვენს დისპუტს თავისი პრაქტიკული შედეგები უნდა მოჰყვეს. უნივერსიტეტის მეცნიერულმა ძალებმა, ისტორიკოსებმა უნდა მოკიდონ ხელი ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის საქმეს, რათა მივაწოდოთ ჩვენს ახალგაზრდობას ჩვენი ქვეყნის ნამდვილი, მარქსისტულ-ლენინურად გამართლებული ისტორია. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით, რომელსაც მეთაურობს საუკეთესო ლენინელ-სტალინელი ამხ. ლავრენტი ბერია ჩვენ ამას შევძლებთ. (ტაში).

გ. 270. სიმონ ჯანაშიას ჰკითხეს, როგორი მსოფლმხედველობა აქვს პროფესორ ივანე ჯავახიშვილსო, მან არაფერი უპასუხა.

ადგილიდან: როგორ არა, მან უპასუხა, რომ ჯავახიშვილის მსოფლმხედველობა ნაციონალისტური არისო!

ჯავახიშვილი წერდა: „თუ ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობა გვსურს, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უნდა ვებრძოლოთ სომხის ერს, რომელიც ამ დამოუკიდებლობას უდიდეს საფრთხეს უმზადებს. საქართველოს არასოდეს გასჭირვებია სომხეთთან ომი და არც ახლა გაუჭირდება." გაზ. „საქართველო" 20.IX.1918. (1918 წელს სომხეთი მოულოდნელად თავს დაესხა საქართველოს. მოხდა ომი, ქართველებმა ერევნამდე მისდიეს მათ და აიღეს ერევანიც ნ. ფ.) აქ ბიოლოგიური შოვინიზმი არის განვითარებული (გ. 122).

ბერძნების აღწერით საქართველოში ბასილევსი იყო. ის მეფე არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ბასილევსი ვთარგმნოთ, როგორც სამხედრო ხელმძღვანელი (გ. 132).

გ. 4. 149-ბ, გ. ჯანელიძე: საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სახკომსაბჭოს დადგენილება სამოქალაქო ისტორიის შესახებ — რომელზედაც აქ ამხ. კარლო ორაგველიძის საფუძვლიანი მოხსენება მოვისმინეთ, უდიდესი ისტორიული დოკუმენტია. ის ნათლად გვიჩვენებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენში, გამარჯვებული პროლეტარიატის ქვეყანაში, ისტორიის შესწავლას. იმ ამოცანების გადაჭრისათვის, რომლებიც კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლის გზაზე გვხვდება. მისი დიდი მნიშვნელობა ნათლად ჩანს იქიდან, რომ ამ საქმეს ხელი მოჰკიდა კომუნისტურმა პარტიამ და თავის უშუალო მონაწილეობით დიდმა სტალინმა (ტაში).

საბჭოთა კავშირის ხალხთა და მათ შორის საქართველოს ნამდვილი მარქსისტულ-ლენინური ისტორიის დაწერა ეს ჯერ კიდევ ასაღები ციხე-სიმაგრეა. ამ ციხესიმაგრის ასაღებად ჩვენს საბჭოთა მეცნიერებს ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, ამხ. სტალინის მეთაურობით და განა შეიძლება არსებობდეს ისეთი ციხე-სიმაგრე, რომელიც მან ვერ აიღოს. რა თქმა უნდა, არა; ისეთი ციხე-სიმაგრე არ არსებობს, რომელიც ბოლშევიკებმა ვერ აიღონ (სტალინი). ისტორია სახალხო საქმეა, მის შესწავლაში მონაწილეობა უნდა მიიღოს არა მარტო პროფესიონალმა ისტორიკოსებმა, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, არამედ ყველა უაღრესად კვალიფიციურმა საზოგადოებრივ მეცნიერების მუშაკებმა. ისტორიკოსების მუშაობაში ამ დახმარების გარეშე მოსალოდნელია შეცდომები და ზოგიერთ შემთხვევაში ჩავარდნებიც კი...

პროფ. ი. ჯავახიშვილის მუშაობამ ვერ მოგვცა ნამდვილი „საქართველოს ისტორია"... ის გაბატონებული კლასის ინტერესების გამომხატველი გახდა, მართალია, გაბატონებულმა კლასმა არა ერთი და ორი გამოჩენილი რევოლუციონერი ისტორიკოსი მისცა პროლეტარიატს, მაგრამ მათ რიცხვში არ არის პროფ. ი. ჯავახიშვილი. ის პირიქით, ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი კლასის.

...ამხ. ს. ჯანაშია არ უნდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ივ. ჯავახიშვილის ისტორია იდეალისტურია, მიუღებელია, მას კონკრეტულ მაგალითებზე შეეძლო ეჩვენებინა ჩვენთვის ი. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობისა და მეთოდის მიუღებლობა, მისი არამეცნიერული ხასიათი, მისი იდეალისტური და ნაციონალისტური ხასიათი. მან მოკლედ აღნიშნა, რომ პროფ. ი. ჯავახიშვილი ნაციონალისტია. მე არა ვარ წინააღმდეგი ამხ. სოსელიას შეცდომების კრიტიკის, ეს საჭიროა და აუცილებელიც, მაგრამ მთავარი დღეს ჩვენთვის პროფ. ი. ჯავახიშვილის და მისი სკოლის კრიტიკაა. ამ რგოლის ამოწევა მთელი ჯაჭვის ადგილიდან დაძვრას ნიშნავს: ამხ. ჯანაშიას, რომელიც ი. ჯავახიშვილის სკოლას უსათუოდ სცილდება, სურს იყოს მარქსისტ-ლენინელი, ის არ არის თავისუფალი ი. ჯავახიშვილის გავლენისაგან და არც შეცდომებისაგან, ამიტომ საჭირო იყო მას თავის გამოსვლაში მეტი ყურადღება არა სოსელიას მიმართ, არამედ პროფ. ჯავახიშვილისაკენ მიემართა... ი. ჯავახიშვილი ისევე მოიქცა, როგორც სხვა ქვეყნებში მოიქცნენ თავად-აზნაურობის ინტერესების დამცველნი. ამას მოვითხოვთ ამხ. ს. ჯანაშიასგან, იმიტომ, რომ ის მსურველია ჩვენთან მოვიდეს და მოდის კიდეც. ის სამუდამოდ უნდა დადგეს მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე.

...პროფ. გ. ნათაძე ამახინჯებს მარქსიზმს, გამოდის ჯავახიშვილთან შემარიგებლობის როლში. აქედან ცხადია, მისი შრომის შედეგიც უარყოფითია. გ. ნათაძე წერს, რომ არასოდეს ყოფილა ისეთი პერიოდი, რომ სოციალური დიფერენციაცია არ ყოფილიყოს. ეს აზრი ანტიმარქსისტულია. პირველყოფილი კომუნიზმი სოციალურ დიფერენციაციას, კლასებად დაყოფას შეიცავდა. ეს აზრი ჩვენთვის მიუღებელია... საქართველოს ისტორიის საკითხების გარკვევის დროს ის მთლად მოექცა ჯავახიშვილის ბრჭყალებში. მართალია, პროფ. ნათაძე ცდილობს დადგეს მარქსისტული მსოფლმხედველობის თვალსაზრისზე, მაგრამ ეს მისთვის მიუღწეველი იქნება მანამდე, სანამ ის შემარიგებლობას თავს არ დაანებებს და ბურჟუაზიულ შეხედულებას, მათ შორის ივ. ჯავახიშვილისაც, შეუპოვარ ბრძოლას არ გამოუცხადებს. პროფ. ივ. ჯავახიშვილის მეთოდის და მარქს-ლენინის მეთოდის შეზავება-შეგუება არ შეიძლება. მარქსიზმ-ლენინიზმთან ის ვერ მივა, ვინც პირველი არ ააფეთქებს. პროფ. გ. ნათაძემ კი ეს ვერ შეძლო."

სიტყვა: პროფ. ჯანაშია

გ. 41. ლეკები თავს ესხმოდნენ, მაგრამ რატომ არ გინდათ თქვათ, რომ იმათ ვილაცა რაზმავდა, რომელიმე მდიდარი ფენის წარმომადგენლები, სხვანაირად გამოდის, რომ ლეკები ბუნებრივად მტაცებლები ყოფილან.

ი. ჯავახიშვილის საპასუხო განმარტება:

ეხლა მე გადავალ ზოგიერთ შენიშვნებზე, რომლებიც ვგონებ საკამათო არ უნდა ყოფილიყო. მაგალითად, სახელმძღვანელოში არის აღნიშნული, რომ ქართველებს წარმართობის ხანაში დამწერლობა და მწერლობა ჰქონდათ. თითქოს ეს ეროვნული თავმომწონეობის, ან მწვანე კიტრის მკვეხარის ნაყოფი უნდა ყოფილიყოს. მაგრამ ასე არ არის საქმე. ჩვენ ამის შესახებ გარკვეული ისტორიული ცნობა მოგვეპოვება — უცხოეთის, რომელიც, ქართველი არ არის. მეორეს მხრით მარტო ეს ცნობა რომ ყოფილიყო, იქნება ეჭვი შეგვეტანა. მაგრამ სხვა ცნობებიც არსებობს და ამას გარდა თვით ფაქტები ცხადჰყოფენ, რომ მეხუთე საუკუნეში არ ყოფილა ქართული ანბანი გამოგონილი. ჩვენ მეხუთე საუკუნის თხზულება გვაქვს შენახული, მშვენიერი ქართულით დაწერილი, ნამდვილი მხატვრული ნაწარმოებია და როგორ შეიძლება, რომ ასეთი თხზულება ერთბაშად გაჩენილიყო, მწერლობა რომ არ ყოფილიყო, სრულებით დაუჯერებელი ამბავია. ამის შესახებ ცნობილი სპეციალისტი ბელგიელი მეცნიერი პეტერსი მეკამათებოდა და ამტკიცებდა, რომ ეს უფრო ეროვნული გრძნობით ნაკარნახევი აზრია, ვიდრე სინამდვილე და შუშანიკის მარტვილობის შესახებ, განაცხადა მან, რომ ეს თხზულება მეთორმეტე საუკუნის ნაწარმოებიაო. ის ამტკიცებდა, იმასაც, რომ ვითომ ჯავახიშვილის ავტორიტეტმა პროფ. აკაკი შანიძეც კი შეაცდინა ბოლნისის წარწერის საკითხში. ეს წარწერა მე მეექვსე საუკუნის დამდეგისად დავათარიღე და ბოლნისის გათხრის დროს აღმოჩნდა თარიღიანი წარწერა ამ ძეგლის წესახებ და მაშინ გამოირკვა, რომ შეცდომა მხოლოდ რამდენიმე წლით მომსვლია... შემცდარი არიან ყველა სხვა პირი, რომელნიც ჯერ კიდევ იმეორებენ ძველ სომეხი მწერლის კორიანის ზღაპრებს, ვითომ მესროპმა შეთხზა სომხების, ქართველების და ალბანელებისათვის ანბანი.

ეს ზღაპარია მით უმეტეს, რომ კორიუნზე უძველესი ანბანი, სომხური ძეგლში ამის მსგავსი ცნობა არ მოიპოვება. ამაზე მეტის თქმაც შეიძლება, ქართული ანბანის თვით მოხაზულობა ისეთია, რომ ის არ შეიძლება წარმართობის ხანის არ იყოს.

**ს. ჯანაშია:** უეჭველია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველებამდე სხვა მოსახლეობა იყო. ეს პირადად მე მიმაჩნია უდაო დებულებად...

**ნათელა ფოფხაძე**
მთარგმნელი

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-5 გვერდიდან

პასუხი აფხაზ სეპარატისტებს

# ...ვინც შუშის სახლში ცხოვრობს, ის სხვებს ქვებს არ ესვრის

ებში სუფრაზე, მაგრამ კერძები არსად არ გვინახავს. სამაგიეროდ გვინახავს აყუდ და აბსტა-ლობიო და ღომი, ყველის ნაჭერით. (თუ დავალებით, შესამოწმებლად ჩადიხარ სოფელში, ქათამს დაგიკლავენ).

ცალკე თავია „ისტორიული ცნობები". იგი ასე იწყება: „როდესაც საქართველო შემოგვესია, აფხაზეთის მოსახლეობა ნახევარი მილიონი იყო". საქართველო არასოდეს შემოსევია აფხაზეთს, რატომ უნდა შემოსეოდა, აფხაზეთი ხომ მისი შემადგენელი ნაწილი იყო, მისი ავტონომიური ერთეული. აფხაზეთი არასოდეს არ ყოფილა ნახევარი მილიონი. უკანასკნელი ცნობა 93 ათასიც გაზვიადებულია". „აფხაზეთში ცხოვრობდნენ აფხაზთა ტომები — წერია —„ისტორიულ ცნობებში": აპსილები (აფშილები ვ. ზ.), აბაზები, სანიგები, მისიმიანები. ხედავთ მკითხველო — სანიგებს — მეგრელთა წინაპრებს და მისიმიანებს — სვანების წინაპრებს — აფხაზი სეპარატისტები აფხაზებად თვლიან.

„საუკუნეების მანძილზე — ვკითხულობთ „ისტორიულ ცნობებში" — აფხაზეთი და საქართველო, აფხაზები და ქართველები, რომლებიც სრულიად არა მონათესავე ორი ხალხია, ცალ-ცალკე სახელმწიფოებში ცხოვრობდნენ, ერთი იყო საქართველო, მეორე იყო აფხაზეთი. აფხაზეთის სახელმწიფომ თორმეტი საუკუნე იარსება. ზოგჯერ აფხაზეთი და საქართველო ერთ ქვეყნად ერთიანდებოდა, თუმცა მაშინაც არ გახლდათ აფხაზეთი საქართველოს ხელქვეითი ქვეყანა. პირიქით, აფხაზეთის მეფეებმა აფხაზეთის სამეფოში მოაქციეს დასავლეთი და შუა ამიერ-კავკასიის დიდი ნაწილი და ახალი დიდი სახელმწიფო შექმნეს".

აქაც იგივე უნდა გავიმეოროთ: რამდენი სტრიქონია, იმდენი სიყალბეა: აფხაზეთი ხომ ქართველ ტომ მოსხებიდან მომდინარეობს. ისე რომ აფხაზები და ქართველები სრულიად არ არის არამონათესავე ხალხი. შორს ნუ წავალთ: ამჟამად აფხაზების 80 პროცენტი მეგრელ-ქართული წარმოშობისაა, ამას უნდა მიემატოს ბა ბოლოკიდურიანი აფხაზურად მიჩნეული გვარები, რომელნიც ქართული (მეგრული) წარმოშობისაა. ბა აფხაზურად არაფერს არ ნიშნავს, მეგრულად (ბასკურადაც) მემკვიდრის აღმნიშვნელია. ლაზური წარმოშობის აფხაზებიც ხომ ქართული წარმოშობისაა. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჭრილ აფსუებს ისინი არიან აბიზინები, ადიღეები, ყაბარდოელები და სხვა და არა აფხაზები.

რაც შეეხება აფხაზთა სახელმწიფოს, ისტორიიდან ცნობილია, რომ აფხაზთა სახელმწიფო არასოდეს არ არსებობდა (იხ. ვ. ზუხბაია, არსებობდა თუ არა აფხაზთა სახელმწიფო, ჟურნალი „სილაში ვარდი" 1994. № 1) არა თუ თორმეტ საუკუნეს, საერთოდ არასოდეს.

დროა ერთხელ და სამუდამოდ გაიგონ აფხაზმა სეპარატისტება, აფხაზმა ისტორიკოსება, რომ „აფხაზთა სამეფო" ქართული სახელმწიფო იყო. „ისტორიული ცნობების" თანახმად აფხაზეთს დამოუკიდებლობა შეუნარჩუნებია თურქეთის ბატონობის დროს და 1810 წლიდან, როდესაც რუსეთმა დაიპყრო აფხაზეთი. ვისატყუებენ აფხაზი სეპარატისტები!

„მხოლოდ 1918-21 წლებში აფხაზეთი დაუპყრია საქართველოს". „ცეცხლითა და მახვილით გადაუთელია აფხაზეთი და დაუმყარებია ქართველი ნაციონალისტების დიქტატურა. გადაათვალიერეთ 1918-21 წლების თბილისისა და სოხუმის ქართული და რუსული გაზეთები, ნახავთ რა სიხარულით, აღფრთოვანებით შეხვდა აფხაზი ხალხი, მთელი აფხაზეთი საქართველოს დამოუკიდებლობას. არ ყოფილა შემთხვევა თბილისელ ახალგაზრდებს აფხაზებისათვის ეთქვა: „აფხაზებო! თქვენს ქვეყანაში წაეთრიეთ". ეს ცილისწამებაა და ცილისმწამებლები კანონით ისჯებიან.

რაც შეეხება აფხაზთა ლიხნის ყრილობას, მის გადაწყვეტილებებს, სეპარატისტებისათვის უმჯობესია გაჩუმდნენ. მათ სასარგებლოთ ლიხნის ყრილობა არაფერს ლაპარაკობს. რაც შეეხება სეპარატისტთა განცხადებას, „ლიხნში, სადაც ჩვენი ძველი ეკლესია დგას", ლიხნის ტაძარი აფხაზების კი არა ქართველების აშენებულია. ეს დასტურდება ისტორიული წყაროებით და ტაძრის შიგნით კედლებზე არსებული ქართული წარწერებით, სადაც 1066 წელს კომეტის გამოჩენაა აღნიშნული. ქართული წარწერები კი აფხაზმა სეპარატისტება მოსპეს.

დადგება დრო, როდესაც უფრო საფუძვლიან პასუხს გასცემენ აფხაზეთის შესახებ ინტერნეტში დასმულ საკითხებს.

აფხაზმა სეპარატისტებმა უნდა შეიგნონ, რომ ვინც შუშის სახლში ცხოვრობს, ის სხვებს ქვებს არ ესვრის.

ვალერიან ზუხბაია
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.

მე-4 გვერდიდან

# პრეზიდენტის 24 აგვისტოს რადიოინტერვიუს გამო

**კიდეც ამ პროცესს. ეს ამ ბოლო დღეებისა და ბოლო კვირების ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა".**

### პრობლემა და მისი შესაძლო გადაჭრა

თვალში საცემი ისაა, რომ ამ ანტიქართული ანუ ანტისახელმწიფოებრივი რეალური და კონსტიტუციური პოლიტიკის ფონზე პრეზიდენტი მომატებული სიუხვით მიმართავს პატრიოტულ ფრაზეოლოგიას და საქართველოს დამოუკიდებლობასა და დემოკრატიისათვის. მებრძოლი პოლიტიკოსის შთაბეჭდილებას ქმნის. ამ წინააღმდეგობას უფრო ღრმა ახსნა სჭირდება, ვიდრე მხოლოდ ლამაზი „იმიჯის" შექმნაა. ამ ახსნისთვის კი შემდეგი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ.

როცა შევარდნაძე გადატრიალების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა, მას, საფიქრებელია თავისი უკმარისი ზოგადისტორიული ინფორმირებულობის გამო იმის იმედი ჰქონდა, რომ ამიერკავკასიაში რუსეთისა და დასავლეთის ინტერესთა მორიგება, მაშასადამე, რუსეთის სამსახურისა და დასავლეთთან ლოიალობის ურთიერთშეთავსება შეიძლება. დღეს აშკარაა, რომ ეს შეუძლებელია — თუნდაც იმის გამო, რომ დასავლეთისკენ ნავთის დენა და ამავე ზონაში რუსეთის ბაზების ყოფნა — მაშასადამე, რუსეთის მრავალათასიანი სპეცსამსახურების დაუბრკოლებელი საქმიანობაც ურთიერთშეუთავსებადია. ეს იმას ნიშნავს, რომ შევარდნაძისთვის ამ რეგიონში — და, მაშასადამე, პოლიტიკაშიც საერთოდ — ადგილი არ რჩება. კითხვა დგება: ხომ არ ნიშნავს ეს, რომ შევარდნაძე ამ ასპარეზიდან გასვლის ყველაზე „ლამაზ" ვარიანტს ეძებს, რომელშიც იგი რუსეთის წინაშეც „პირნათლად" იქნება და თავის „იმიჯსაც" შეინახავთ: ხომ არ უწყობს იგი ჩუმად ხელს პრორუსული კომუნისტური გადატრიალების წარმატებას, რომლის შემდეგაც იგი კომუნისტების მიერ დამხობილი დემოკრატის სახელით გავა სამშვიდობოს და არა გარედან ბრძანებით თავისი ქვეყნის დამაქცეველი ხელმოცარული ფსევდოპოლიტიკოსის სახელით?

### დამატებითი ჰიპოთეზა

სანამ თქმულიდან პრაქტიკულ დასკვნებს გამოვიტანდეთ. გასათვალისწინებელია მეორე გარემოებაც. უკვე აშკარად გამოკვეთილია შევარდნაძის პოლიტიკის ზოგადი სტრატეგია: საქართველოში მორიგი ფაქტობრივი კატასტროფის შექმნა, ხოლო შემდეგ მის ფონზე და მისი საბაბად გამოყენებით მორიგი იურიდიული დათმობის განხორციელება საქართველოს ფუნდამენტური სახელმწიფოებრივი ინტერესების საზარალოდ. დღეს ამ დათმობას, როგორც ეტყობა, ცხინვალთან ან სოხუმთან მორიგი კაპიტულანტური დოკუმენტის გაფორმება შეადგენს, მის მოსამზადებელ რეალურ კატასტროფას კი — გალის ტრაგედია, ზუგდიდის აფეთქება, ახალქალაქში ქართული არმიის დაუსჯელი დამცირება და კიდევ, ალბათ, რამდენიმე სხვა ანალოგიური ეპიზოდი მომავალში.

დასკვნები ნათელია. საქართველოს ეროვნული ძალები მზად უნდა იყონ შეხვდნენ მოვლენათა განვითარების ზემოხსენებულ სცენარს. საჭიროა არა მხოლოდ ერთიანობა, არამედ ერთობლივი ძალით მზა სახელისუფლებო სტრუქტურების შექმნა იმ შემთხვევისათვის, თუ ხელისუფლების ვაკუუმი შეიქმნა და საქართველოს დაუფლება რუსული აგენტურის ახალმა ეშელონმა მოინდომა. საქართველოს წინაშე ე. წ. წინააღმდეგობის მოძრაობის ანუ ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროების რეალური პერსპექტივა დგას.

შევარდნაძის წასვლა ხელისუფლებიდან საქართველოს გადარჩენის მხოლოდ ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა ერთადერთი და საკმარისი.

ნ. ნათაძე.

ინტერვიუ

# ჩემთვის ხელოვნება სულის მკურნალია

**ამ წერილის მეშვეობით ერთი მეტად საინტერესო პიროვნება, მშვენიერი ქალბატონი გვინდა გავაცნოთ ჩვენი გაზეთის მკითხველებს. ქალბატონი, რომელსაც ორი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული პროფესია აქვს.**



**ზაირა სვიმონიშვილი, — მხატვარი და ფიტოთერაპევტი.**

**17 აგვისტოს სამხატვრო გალერეაში საქართველოს მხატვართა ასოციაციის თავმჯდომარის ბატონ ნოდარ რურუას ინიციატივით ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. სწორედ ამ გამოფენაზე გავიცანით ქალბატონი ზაირა და გავესაუბრეთ.**

**— ქ-ნო ზაირა, რა არის თქვენთვის მხატვრობა?**

— მხატვრობა ჩემთვის შემოქმედების დიდი ტრიუმფია. ჩემი ფიქრების, იდეების, სილამაზის ხორცშესხმაა. ეს ჩემთვის თითქმის აზარტიცაა. მონაწილეობა მაქვს მიღებული სხვადასხვა გამოფენებში. ვარ მხატვართა კავშირის წევრი. მიმდინარე წლის ივნისის თვეში მხატვართა კავშირმა წლის საუკეთესო ნამუშევრებისათვის გობელენის დარგში სიგელით და ფულადი პრემიით დამაჯილდოვა. ეს ჯილდო ბევრს მავალებს და ვცდილობ კიდეც გავამართლო.

ვასწავლი მ.თოიძის სახელობის სამხატვრო ლიცეუმში გობელენის ხელით ქსოვის სპეციალობას, ბავშვები ამ დარგისადმი დიდ დაინტერესებას იჩენენ, რასაც დიდი გულისყურით ეკიდებიან ჩვენი სასწავლებლის დირექცია, თითოეული ბავშვი მათგან დიდ ყურადღებას და მზრუნველობას გრძნობს.

**— ქ-ნო ზაირა, თქვენ ასევე დაეუფლეთ ფიტოთერაპიას. როგორ ართმევთ თავს ორ სხვადასხვა სპეციალობას?**

— ერთი შეხედვით ერთმანეთისაგან განსხვავებული პროფესიებია, ჩემთვის ხელოვნება სულის მკურნალია, ხოლო ჯანმრთელობა არანაკლებს ნიშნავს ადამიანებისათვის. მე ვცდილობ ამაში დავეხმარო ჩემს პაციენტებს.

**— თუ შეიძლება დაგვიკონკრეტოთ რას მკურნალობთ და რომელ საავადმყოფოში მუშაობთ?**

— ვმკურნალობ ღვიძლისა და სანაღვლე გზების დაავადებებს: ქოლეცისტიტს, ბრონქიტებს, კოლიტს, გემაროეს, თირკმელების დაავადებას, ღრძილების დაავადებას, როგორიც არის სტომატიტი და ა.შ. ვმუშაობ ბავშვთა პირველ საავადმყოფოში.

**— რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც ეს საავადმყოფო?**

— არ დაგიმალავთ. ძალიან მომწონს აქაური კოლექტივი.

ყველა იქ მომუშავე ყურადღებით და თბილად ექცევა ავადმყოფებს, და მინდა აღვნიშნო, რომ საავადმყოფოში ყველგან სისუფთავეა.

**— რომ გითხრან ერთი სპეციალობა დათმეო, რომელს დათმობდით?**

— ჩემი ძირითადი სპეციალობა მხატვრობაა. მაგრამ არანაკლებ მიყვარს და მაინტერესებს ფიტოთერაპია. დროს ორივე სპეციალობას ერთნაირად ვუნაწილებ. ასე რომ, ვერცერთს. ჩემს სულში ორივე ერთნაირადზის.

**— პოლიტიკასთან თუ გაქვთ რაიმე შეხება?**

— კი. გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წევრი ვარ.

**— თუ საიდუმლო არ არის, რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც ეს პარტია?**

— არა, ნამდვილად არ არის საიდუმლო. უბრალოდ, ამ პარტიის წესდებას გავეცანი, მომეწონა და გადავწყვიტე ამ პარტიაში შევსულიყავი. ამ პარტიის ყველა წევრში ხალხის ინტერესების დაცვა (და არა პირადი ინტერესებისა) იგრძნობა. განსაკუთრებით პარტიის თავდადება. უშუალობა და პირდაპირობა მომწონს.

ყველა პარტიას ვუსურვებ-



დი გაერთიანებას ჩვენი მრავალჭირნახული საქართველოს გასაძლიერებლად.

**ღმერთმა გვიმრავლოს საქართველოზე და თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული მამულიშვილები, როგორიც ქ-ნი ზაირა სვიმონიშვილი გახლავთ. წარმატებებს გისურვებთ ქ-ნო ზაირა.**

ესაუბრა ნათია ჭანტურია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერნეტი

# დრ. ინალ ყაზანის სიტყვა აბხაზეთის პარლამენტში 1998 წლის ივლისში

ქალბატონებო და ბატონებო, აბხაზეთის პარლამენტის წევრებო, ბატონო პრეზიდენტო, ჩემთვის დიდი პატივია, პარლამენტის ამ სხდომაში მონაწილეობა. სამი წელია, რაც საშუალება მომეცა ჩემი მოსაზრებები და სურვილები გამომეთქვა ამ ქვეყნის (აბხაზეთის) მომავალზე.

მე აბხაზეთში იმ უთვალავი წინააღმდეგობის და ამოცანის პირისპირ დასადგომად ჩამოვედი, რომელიც გადაშლილია აბხაზეთის წინაშე როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო სარბიელზე. რას გვიქადის მომავალი? ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ თავად ჩვენ რას მოველით მომავლისაგან და აქ კი მე შევეცდები გითხრათ არა ის, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, არამედ უმჯობესია გითხრათ, თუ რა უნდა ვაკეთოთ. ყველამ ვიცით, თუ რა დიდი ჯაფა და ბრძოლა გველის. ამის მიუხედავად, ერთადაც და ცალ-ცალკეც აბხაზია გაიმარჯვებს. პოლიტიკის სფეროს შევეხოთ. საქართველოს რესპუბლიკის ამასწინანდელი სამხედრო ავანტიურა გალის რაიონში, რომელიც ჩვენმა თავდაცვის ძალებმა გმირულად მოიგერიეს და ჩაფუშეს, ააშკარავებს ბატონ შევარდნაძის მზაკვრულ მიზნებს აბხაზეთში მშვიდობის თაობაზე. მაგრამ, ჩვენ მოვლენების კუდში კი არ უნდა მივჩანჩალებდეთ, არამედ წინ უნდა ვუსწრებდეთ მათ ქართულ კონფლიქტთან მიმართებაში. წინასწარ განჭვრეტილი პროგრამა აგრესიულია და მიზანმიმართულია იმისკენ, რომ პოლიტიკური გეგმა ყოველთვის წინ უსწრებდეს ამა თუ იმ მოვლენას და სხვისი გეგმის საპასუხოდ არ შევიმუშავოთ ხოლმე. ამ თვალსაზრისით, მოდით, განვიხილოთ [illegible] მთავარი საკითხი, რომელიც აბხაზეთს გადასაჭრელი ექნება საქართველოს რესპუბლიკასთან.

**პირველი** — თავად აბხაზია გადაწყვეტს თავის მომავალს და საქართველოს არა აქვს აბხაზეთზე თავისი შეხედულების გამოხატვის და ამ პროცესში ჩარევის უფლება.

**მეორე** — აბხაზეთმა ამ ხუთ წელიწადში უკვე მეორედ გაანადგურა და შეარცხვინა საქართველოს სამხედრო ძალები და ამის შედეგად მოიპოვა და მეორედ განიმტკიცა ის ორი თვის წინ, ამიტომ ჩვენ არ უნდა დავუშვათ საქართველოს მოსვლა მოლაპარაკების მაგიდასთან და სამშვიდობო პროცესთან თავისი ფანტაზიებით, თავისი გეგმებით. ჩვენ ჩვენი გეგმების მიღება უნდა მოვითხოვოთ. ჩვენი გეგმა, ჩემის აზრით უნდა შეიცავდეს საქართველოსგან ჯარიმის ანუ გადასახადის მოთხოვნას საქართველოს ძალების მიერ აბხაზისთვის მიყენებული ზარალის გამო ხუთი წლის წინ ბრძოლის დაწყებიდან. ზარალის ანაზღაურება სამშვიდობო პროცესის დაწყების წინაპირობა უნდა იყოს.

**მესამე** — ჩვენი დიასპორის (უცხოელი აბხაზების) ხმა უნდა გამოვიყენოთ სამშვიდობო პროცესის პოლიტიკურ საშუალებად. ეს გააძლიერებს აბხაზეთის პოზიციას საქართველოსთან მიმართებაში და ძირს გამოუთხრის მის მცდელობებს ლტოლვილების დაბრუნების თაობაზე. მეცხრამეტე საუკუნეში აბხაზეთის დიასპორა გაეცალა რუსეთის ოკუპაციას კავკასიის ომების დროს და იძულებული იყო თურქეთში და შუა აღმოსავლეთში დასახლებულიყო. დღემდე ასიათასობით ჩვენი და-ძმა ცხოვრობს გადასახლებაში, მაგრამ აბხაზობას ინარჩუნებს. რა მოვიმოქმედეთ დღემდე ჩვენი და-ძმების სამშობლოში, სახლში, ჩვენთან დასაბრუნებლად? ვალდებულნი ვართ ვუზრუნველვყოთ მათი დედასამშობლოში მშვიდობიანი დაბრუნება.

დღეისათვის ჩვენს მეგობრებს რუსეთის ფედერაციაში თავიანთ მიტოვებულ სამშობლოში ჩამოჰყავთ და ასახლებენ 140 წლის წინ გასახლებული ადიღე ლტოლვილებს კოსოვოდან. მეტიც, რუსეთის ფედერაციას ფულს ახდევინებენ მათს მშვიდობიანად დასაბრუნებლად. აფხაზთა დიასპორის უბედურების საპირისპიროდ ჩვენ მუდამ გვაიძულებენ ვუსმინოთ ბატონ შევარდნაძის პროპაგანდას ქართველი ლტოლვილების უბედურებაზე, რომლებიც ხელოვნურად იყვნენ ჩასახლებულნი აფხაზეთში იოსებ სტალინის ვერშემდგარი პოლიტიკის წყალობით, ის ხომ საქართველოს ღვიძლი შვილი იყო. ქართველ ლტოლვილებს ჩვენს ლტოლვილებზე უფრო მაღალი სტატუსი არ უნდა ჰქონდეთ. ეს ორივე საკითხი ერთდროულად უნდა დაისვას და აბხაზი ლტოლვილების სტატუსი უფრო ადრე უნდა გადაწყდეს, ვიდრე ქართველებისა.



მომთაბარე თათარი კავკასიაში

ქართველი ლტოლვილები თავიანთ ქვეყანაში მაინც ცხოვრობენ და თავიანთ ენაზე მეტყველებენ ლტოლვილობის ადგილებში, ჩვენი ლტოლვილები კი უცხო ქვეყნებში არიან გადასახლებულნი.

**მეოთხე** — აბხაზიამ უნდა შეამციროს ეს უსამართლობა იმით, რომ მოქალაქეობა მიანიჭოს თავის და-ძმებს, რომლებიც უცხო ქვეყნებში ცხოვრობენ. ამით ჩვენ გავიძლიერებთ და გავიმყარებთ მათთან კულტურულ კავშირსაც და პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობასაც კავკასიაში. მეტიც, სწორედ ამ საკითხს უნდა მივუსადაგოთ საქართველოსთან ყოველგვარი მოლაპარაკება. ჩვენი ხალხის, როგორც აბხაზეთის სახელმწიფოს მოქალაქეების კოლექტიური, ერთიანი ბედის გადაწყვეტის უფლება სწორედ ჩვენ გვაქვს. აბხაზიაში დიასპორის დაბრუნება აბხაზის მომავლის გადარჩენის გარანტი იქნება.

**მეხუთე** — ეგრეთწოდებული ქართველი ლტოლვილების რაიმე დაბრუნება ყოველთვის უნდა დავუკავშიროთ აბხაზი ხალხისადმი დამსჯელი ღონისძიებების გაუქმებას და ჩვენი საზღვრების გახსნას, ეს უნდა მოვითხოვოთ საქართველოსთან მოლაპარაკების მაგიდასთანვე. ორივე ეს საკითხი ჰუმანიტარულია და ერთი ვითომც და უსამართლობის გამოსწორება მეორე უსამართლობის გამოსწორებასთან ერთად უნდა მოხდეს. გადადებული სამართლიანობა სიმართლის უარყოფას ნიშნავს.

ეკონომიკურ სარბიელზე მსურს განვიხილო რამდენიმე საკითხი, რომელთაც ვიმედოვნებ, გაითვალისწინებთ. ქალბატონებო და ბატონებო, ეს პოლიტიკური საკითხების მოუგვარებლად შეუძლებელია, ზემოთგანხილული პარლამენტის წევრებს და აბხაზ ბიზნესის მეთაურებს მე ამას წინათ მივმართე შესაძლო სამომავლო ეკონომიკური პროგრამების და მიმართულებების თაობაზე, რაც წაადგებოდა აბხაზეთის ქვეყანას. იმისათვის, რომ აბხაზია დამოუკიდებელი ქვეყანა იყოს, ჩვენ უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც ეს დამოუკიდებელ ქვეყანას შეჰფერის. შესაბამისად, ვიმედოვნებ და მჯერა, რომ ეს პარლამენტი აგრესიულად ყოჩაღია პრივატიზაციის, საგადასახადო, ვაჭრობის და სატარიფო, სასაზღვრო დაცვის, საბაჟო, საიმიგრაციო პოლიტიკის, იმპორტის და ექსპორტის, სატელეკომუნიკაციო და საფოსტო სამსახურის კანონმდებლობათა მისაღებად. მრავალი თქვენგანი დაეჭვდება ამ კანონმდებლობათა მიღების მიზანშეწონილობაში ახლა, ჩვენს მდგომარეობაში. მაგრამ მჯერა, რომ პარლამენტი და ჩვენი მთავრობა ვერ დაუცდის საგარეო პოლიტიკის საკითხის მოგვარებას, უმჯობესია ქვეყნის შიგნით შევქმნათ ამგვარი პირობები აბხაზეთის მომავლისათვის და ნუ დავაყოვნებთ მათს განხორციელებას. აბხაზი ერი ამაზე ნაკლებს არ იმსახურებს.

ახლახან დიდი ბჭობა იყო, განსაკუთრებით ბატონ შევარდნაძის გაკოტრებული მთავრობის და მისი თურქი და აზერბაიჯანელი მხარდამჭერების მხრიდან ნავთობის მილსადენის გაყვანის თაობაზე, რაც საქართველოს რესპუბლიკას დიდ მოგებას მოუპოვებს. ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ მილსადენმა ჩვენი პოლიტიკური ბედი გადაწყვიტოს ჩვენს საწინააღმდეგოდ, თუნდ მთელი საერთაშორისო საზოგადოება თავიანთი ეკონომიური მიზნების მისაღწევად საქართველოს მხარდასაჭერად დაირაზმოს. საქართველოს ტირანიისაგან აბხაზეთის დახსნაზე უფრო მნიშვნელოვანი ჩვენთვის არაფერი არ უნდა იყოს. თუ საჭირო გახდება, უნდა დავანგრიოთ საქართველოს ნავთობსადენი, რადგან ის სტრატეგიულ საფრთხეს უქმნის აბხაზეთის დამოუკიდებლობას. ჩემო თანამემამულენო, აბხაზებო, ნუთუ მისტერ შევარდნაძეს მართლა ჰგონია, რომ შეუძლია ექვსასი კილომეტრი ნავთობსადენის დაცვა, რომელიც მის ქვეყანაში გაივლის დასავლეთის ქვეყნების ინვესტორების გასამდიდრებლად? ის თავის თავსაც კი ვერ იცავს.

საქართველოს რესპუბლიკასთან და მის მთავრობასთან მიმართებით ჩემს შეხედულებას მოგახსენებთ. მისტერ შევარდნაძე, დროა, გადადგეთ და წახვიდეთ. თქვენ უიმედოთ ხართ გამოკიდებული საბჭოთა სისტემის უღლბლო მეთოდებს. თქვენ არ შეგიძლიათ, როგორც ხელმძღვანელს, შეუფარდოთ მოქმედება დღევანდელი დღის და სამომავლო ვითარებას აბხაზეთთან მშვიდობიანი ურთიერთობის საკითხში, ამის საბუთია თქვენი უუნარობა ჩასწვდეთ ჩვენი მხარის განსხვავებულ მიდგომას. მოკლედ რომ მოვჭრათ, ძალთა წონასწორობა მუდმივად აბხაზეთის დამოუკიდებლობის კანონიერი მოთხოვნების სასარგებლოდ იცვლება. თქვენს მოძველებულ, ჩაყანგებულ, ცივი ომის დროინდელ აზროვნებას არ შეიძლება ჰქონდეს გასაქანი აბხაზეთის მომავლისათვის. ქალბატონებო და ბატონებო პარლამენტიდან, რა აქცევს კაცს სახელმწიფო მოღვაწედ და რას წარმოადგენს სახელმწიფო მოღვაწე? ის აუცილებლად უნდა იყოს ჭკვიანი, პატიოსანი და ლიდერი. გარდა ამისა, სახელმწიფო მოღვაწე მზად უნდა იყოს მოიქცეს, არა ისე, როგორც ეს პოლიტიკურად სწორი იქნებოდა, არამედ სამართლიანად. სახელმწიფო მოღვაწეს ძალაუფლება აქვს, მაგრამ ამას გარდა, მან პასუხი უნდა აგოს თავის ქმედებებზე. სახელმწიფო მოღვაწემ უნდა შეცვალოს ხალხი უკეთესობისაკენ — იმ ვითარებიდან, როგორიც ის არის, უნდა აქციოს ისეთად, როგორიც უნდა იყოს. მისტერ შევარდნაძე, თქვენ არც ერთი ეს თვისება არ გაგაჩნიათ. თქვენ საერთაშორისო დონის გაიძვერა ბრძანდებით, თქვენ პერესტროიკის დროინდელი გლასნოსტის და სსრკ-ს საგარეო მინისტრის თანამდებობაზე ყოფნის გარდასულ და ჩამქრალ დიდებას იყენებთ დღესაც.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დარბაზებში აბხაზეთის კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციის თქვენი უდღეური მცდელობები არაფერს შესძენს, პირიქით, გადაავადებს ამ კონფლიქტის გადაჭრას.

ჭეშმარიტი ლიდერი შეეცდებოდა მოწინააღმდეგე მხარეს პირდაპირ პატიოსნად მოლაპარაკებოდა კონფლიქტის გადაწყვეტის თაობაზე. თქვენ კი როგორ მოიქეცით? ჩვენს პრეზიდენტს ხელი მოუწერეთ სამშვიდობო ხელშეკრულებაზე და შეპირდით ძალის გამოუყენებლობას, მაგრამ მალე წინასწარდაგეგმილად მოგვატყუეთ და კიდევ ერთ ახალ თავდასხმას უმეთაურეთ გალის რაიონში. თქვენ და ადოლფ ჰიტლერი ერთნაირად მოიქეცით — მან დიდ ბრიტანეთთან ხელმოწერილი სამშვიდობო ხელშეკრულება შეურაცხჰყო და ამით მეორე მსოფლიო ომი გააჩაღა. გაიძვერები ლიდერები ვერ გახდებიან. გაიძვერები სახელმწიფო მოღვაწეები არ არიან. თქვენ არა ხართ სახელმწიფო მოღვაწე.

ქართველი ცრუპენტელას საწინააღმდეგოდ, ჩვენი პრეზიდენტი ჭეშმარიტი სახელმწიფო მოღვაწეა, ლიდერია, მას გააჩნია ზნეობრივი და პოლიტიკური ვაჟკაცობა მოიქცეს სამართლიანად და არა ისე, როგორც პოლიტიკურად სწორი, მომგებიანი იქნებოდა. პრეზიდენტ არძინბას მოლაპარაკების მაგიდის მეორე მხარეს სჭირდება სახელმწიფო მოღვაწე, რათა მშვიდობიანად მოგვარდეს კონფლიქტი. ეს საქართველოს საფიქრალია და არა ჩვენი, ეს საქართველოს მეგობარი ქვეყნების საფიქრალია და არა ჩვენი. ეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საფიქრალია და არა ჩვენი. ეს ბატონ შევარდნაძის საფიქრალიცაა, რადგან შევარდნაძე ის კაცი არ არის, ვინც მოლაპარაკების მაგიდის მეორე მხარეს უნდა დაჯდეს. ბატონო შევარდნაძევ, თქვენ არ გაგაჩნიათ ახალი აზრი მშვიდობიანი გზით კონფლიქტის მოსაგვარებლად, რადგან თქვენ მშვიდობა კი არ გსურდათ, არამედ — აბხაზეთის დამონება, რათა აბხაზეთი ყოფილიყო მხოლოდ ადგილი რუკაზე და აბხაზები მეორე დონის, არასრულფასოვან მცხოვრებლებად გექციათ ფედერაციულ საქართველოში. ბატონო შევარდნაძევ, თქვენი



ჩერქეზი

თხუთმეტწუთიანი დიდება მიილია, ხოლო აბხაზეთი მომავალშიც იარსებებს აქ.

საბედნიეროდ, დღეს ისეთ საუკუნეში ვცხოვრობთ, როდესაც კომპიუტერების და ტელეკომუნიკაციების საშუალებით ინტერნეტით დიდძალი ინფორმაციის მიწოდება შეგვიძლია. ინტერნეტი მძლავრი იარაღია იდეების ბაზარზე. საქართველოს მიერ გავრცელებული ცრუინფორმაციის ალსაკვეთად ინტერნეტით მასალა პირდაპირ მიეწოდება და არ განიცდის ცვლილებას სამთავრობო ან სხვა პოლიტიკური ძალების პროპაგანდით. ის ჭეშმარიტად არის აზრის თავისუფლად გავრცელების გზა და ყოველდღიურად მილიონობით ადამიანი იყენებს მას. ჩვენ ყოჩაღი გზები გამოვნახეთ საქართველოს ცრუინფორმაციის მუდმივად გასაბათილებლად — საზოგადოების მიერ ცრუ შეხედულების ჩამოყალიბების წინააღმდეგ. ყოველდღიურად ასობით ადამიანი ეცნობა აბხაზეთის ინტერნეტით გავრცელებულ სწორ ცნობებს, საქართველოს პროპაგანდის საწინააღმდეგოდ.

ქალბატონებო და ბატონებო, აბხაზეთის პარლამენტარებს საქართველოს ეკონომიკური ალმავლობის შესახებ ბატონ შევარდნაძის მიერ გავრცელებული ცრუინფორმაციის მიუხედავად, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ საქართველოს ეკონომიკა სავსებით დაქცეული და მოშლილია. ის ყოველ კვირა მოუთხრობს ხალხს მრავალმილიარდიანი მრავალმხრივი ხელშეკრულებებით და დასავლეთის ბანკების მიერ გამოყოფილი ფინანსების გროვის შესახებ, მაგრამ სინამდვილეში თითქმის არაფერი გაკეთებულა და ვერც გაკეთდება, ვიდრე აფხაზეთთან კონფლიქტი არ მოგვარდება. თვით შევარდნაძის საყვარელი ნავთობსადენი სათუოა, რადგან ნავთობსადენი მშვიდობას ვერ უზრუნველყოფს, ხოლო მშვიდობა აბხაზეთში საქართველოს და აფხაზეთის კეთილდღეობის საფუძველი გახდება.

ბატონო შევარდნაძე, მხოლოდ პირადად თქვენ ხართ დამნაშავე საქართველოს მხრიდან გალის რაიონზე განხორციელებულ ამასწინანდელ მარცხიან თავდასხმაში. თუ აფხაზეთსა და საქართველოს შორის ბრძოლა განახლდება, ეს მოხდება საქართველოს (და არა აბხაზეთის) მიწაზე ან წყლებში და დაბოლოვდება თბილისის აღებით. ჩვენ დავაქცევთ თქვენს საქართველოს ბოროტების იმპერიას, და შევქმნით ამიერკავკასიის ახალ სახელმწიფოს, რომელიც აფხაზეთთან მშვიდობიანად ითანამშრომლებს.

სხვასაც გეტყვით, თქვენი ეგრეთწოდებული დევნილი აბხაზეთის პარლამენტი, ეს მარიონეტული და უსახო რეჟიმი, მოღალატეებია და ისინი ვერასოდეს დაბრუნდებიან აფხაზეთში. ამ მოღალატეებს თავიანთი ღალატის სიმძიმის შესაფერი სასჯელი არ ასცილდებათ.

დაბოლოს, სავსებით ნათელია, რომ თქვენი სამხედრო ძალა უუნაროა დაგიცვათ თქვენ და საქართველო. საქართველოს რესპუბლიკა ველარ გაუძლებს კიდევ ერთ სამარცხვინო დამარცხებას ბრძოლაში. მთელი მსოფლიო ამის მოწმეა და იმისიც, რომ აბხაზეთს შეუძლია თავდაცვა. მისტერ შევარდნაძე, აბხაზია მზადაა თქვენს საწინააღმდეგოდ და საქართველოს ტირანიისგან თავდასაღწევად იბრძოლოს ბოლომდე, განუსაზღვრელი ვადით, აბხაზი ერის გათავისუფლებამდე. თქვენ ვერასოდეს ვერ მოგვიგებთ, რადგან ჩვენ არასოდეს მოგცემთ მოგების საშუალებას. თქვენ მხოლოდ ის დაგრჩენიათ, რომ გადადგეთ და ჩამოგვშორდეთ, რადგან თქვენი ადგილი წარსულშია სამუდამოდ ჩაკირული და ის არ შეიძლება იყოს აბხაზეთის მომავალში.

ჩემო თანამემამულე აბხაზებო, მე ისე ძლიერ მიყვარს ქვეყანა აბხაზეთი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მას ყველაფერს შევწირავ და ვანაცვალებ, ოღონდ აბხაზეთი თავისუფალი ვიხილო. მე მივუსამძიმრებ აბხაზეთის დედებს და ბავშვებს, რომელთაც აბხაზეთის ომის უბედურება დაატყდათ თავს. გულს მიკლავს ჩვენი ხალხის ტანჯვა, მაგრამ ამ მსხვერპლის სანაცვლოდ ჩვენ უფრო გაალმასებული ვიბრძოლებთ გამარჯვებისათვის.

დიდებულია იმ საქმის დაწყება, რომელიც სამუდამოდ დარჩება, ჩვენი ერის თავისუფლება საქართველოს საქმე არ არის, არც შევარდნაძის ან გაეროს გადასაწყვეტია. დღეს მივემგზავრები თქვენგან და მსურს შეგახსენოთ პრეზიდენტ აბრაამ ლინკოლნის სიტყვები ამერიკის სამოქალაქო ომის დამთავრებისთანავე: ისინი, ვინც სხვას არ აძლევენ თავისუფლებას, თავადაც არ არიან თავისუფლების ღირსნი და ღვთის სამართალი ამას არ მოითმენს. საქართველოს არ ძალუძს და ვერც შეძლებს თავისუფლების ჩვენი უფლება შეზღუდოს და უარყოს. ღმერთმა დალოცოს ეს პარლამენტი, ჩვენი პრეზიდენტი და ამ დიდი აბხაზი ერის ხალხი. გმადლობთ.

**დრ. ინალ ყაზან**
აბხაზეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მასალა მოგვაწოდა
ნათელა ფოფხაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლემიკა

# ზოგიერთი განმარტება ლეონტი მროველთან დაკავშირებით

ბოლო დროს ჩვენს პრესაში რამდენიმე ვრცელი წერილი დაიბეჭდა შუასაუკუნეების ქართველი ისტორიკოსის, „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ციკლის ავტორისა და შემდგენელ-რედაქტორის და ამდენად, საფუძვლის ჩამყრელის ლეონტი მროველის პიროვნებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებით. ფაქტიურად გაშლილმა „პაექრობამ“ ლეონტი მროველის განქიქების კამპანიის და ჩვენი საზოგადოებრიობის დეზინფორმაციის სახე მიიღო.

ამისი საბაბი ის გახდა, რომ პროფ. ზ.ალექსიძემ სცადა კავკასიის ხალხთა ჩამომავლობისა და ნათესაობის თაობაზე ლეონტი მროველის ბიბლიაზე დამყარებული კონცეფციის ახსნა, იმის ჩვენება, თუ რას ეფუძნებოდა შუასაუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიაში საერთო კავკასიური მენტალიტეტის ესა თუ ის გამოვლინება(გაზ. „საქ. რესპუბლიკა“).

ამითი კი დაიწყო, მაგრამ „პაექრობამ“ იქამდე მიგვიყვანა, რომ ლეონტი მროველი, რუისის ეპისკოპოსი, „ქართლის ცხოვრების“ კრებულის ფუძემდებელი, მოკამათეთა მხრივ ლამის სომხად არის გამოცხადებული, რომლის „არმენოფილური მატიანე“, „ქართლის ცხოვრებაში“ XI ს. „საგანგებო ვითარებაში შეიტანეს“, თითქოს სომხების გულის მოგების მიზნით, რაც შესაძლოა „იმდროინდელი ცნობილი დედოფლის, ბაგრატ IV დედის, მარიამის, სახელსაც უკავშირდება, რომელიც სომხთა მეფის ასული იყო“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 18.III.1998წ. №63-66). სხვა ვერსიით, ლეონტი მროველი სომეხი თუ არ იყო, ყოველ შემთხვევაში იმის მტკიცებაში კი ედება ბრალი, რომ „საქართველო სომხეთის ნაწილია და არა მარტო საქართველო, მთელი კავკასია“, რომ „კავკასიის ყველა ერი და მათ შორის ქართველებიც სომხური წარმოშობისაა“, რომ „ქართველთა მეფეები ქართლოსით დაწყებული მირიანამდე, სულ 23 მეფე ყველანი სომხები ყოფილან“. ცხადია, აქ თავისთავად ისიც არის აღნიშნული, რომ ლეონტი სომეხთა ეთნარქს-ჰაოსს უფროსობის უპირატესობას ანიჭებს და სომხურ ენასაც ქართულის წინამორბედად განიხილავს. იქვე წმ. ნინოს საქართველოში მოსვლის ამბის გადმოცემისას ლეონტი მროველის თხრობა ისეა წარმოდგენილი, თითქოს აქაც „სომხური ტენდენცია ბატონობს“, რაც კერძოდ იმაში მდგომარეობდა, რომ „ნინომ ქართული არ იცოდა, მაგრამ სომხურს ფლობდა, თანაც თავფარავნის ტბაზე ქართველები კი არ შეხვდნენ, არამედ მცხეთელი სომხები, რომლებმაც მცხეთის გზა ასწავლეს და ისიც უთხრეს, რომ ქართველები ნათესავის მოძულე და არაადამიანები არიან“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 5.IV.1998წ. №82).

სურათი მეტად მძიმედ არის დახატული და ბუნებრივია, იბადება კითხვა: თუ ყველაფერი მართლაც ასეა, როგორ მოხდა, რომ „ქართლის ცხოვრება“, რომლის ორგანული ნაწილია ლეონტისეული „მეფეთა ცხოვრება“, ქართველმა ხალხმა აღიარა თავის „წმინდათა წმინდა წიგნად“ და თაობიდან თაობას გადმოსცა ადრიდან და განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის დროიდან, როდესაც შეიკრა ძეგლის ერთ-ერთი, მეტ-ნაკლებად სრული კრებული (ამ მეფის ისტორიის ჩათვლით) და მთელ მომდევნო პერიოდში, ქვეყნის აღმავლობისა და დაქვეითების დროსაც. განსაკუთრებით არის აღსანიშნავი ის, რომ „ქართლის ცხოვრებამ“ გაიარა პირადად ვახტანგ VI-ის და მისი სწავლულ კაცთა კომისიის ბრძმედში, რომლის ამოცანაც იყო ძეგლის შევსება-გაგრძელება. როგორც ცნობილია, ძეგლმა, კერძოდ, ლეონტი მროველის ნაწილმაც, გაუძლო ამ გამოცდას და დატოვებულ იქნა ხელუხლებლად, ხოლო თუ ჰქონდა ადგილი „ქართლის ცხოვრების“ ამ ნაწილის რევიზიას, ეს ხდება უფრო მოგვიანებით, XVIII ს. მეორე ნახევრის ზოგიერთ ნუსხაში და ჩვენ დროსაც, როდესაც რამდენჯერმე გაისმა მოთხოვნა „ქართლის ცხოვრებიდან“ შესაბამისი ადგილების ამოღების ან სწორების თაობაზე.

მაგრამ, საქმეც ისაა, რომ სინამდვილეში ლეონტი მროველთან სულაც არ არის სურათი ისე ნეგატიურად წარმოდგენილი, როგორც ეს ზემოთ იქნა დახატული. სინამდვილეში ლეონტი მროველისადმი წაყენებული ზემოაღნიშნული ბრალდებების დიდი ნაწილი ხელოვნურად არის შექმნილი და სავსებით უსაფუძვლოა, კერძოდ: 1. არავითარი საფუძველი არ არსებობს თუნდაც ეჭვის შესატანად იმაში, რომ ლეონტი მროველი იყო სომეხი. იგი წარმოგვიდგება სავსებით რეალურ ისტორიულ პიროვნებად (თრეხვის გამოქვაბულის 1066 წლის წარწერის მიხედვით) და სათავეში ედგა ქართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საეპისკოპოსო ცენტრს-რუისს, სადაც დავით აღმაშენებელმა მოიწვია ცნობილი საეკლესიო კრება. არავითარი, არც ობიექტური და არც სუბიექტური პირობები არ იყო იმ დროს, რომ რუისის ეპისკოპოსად სომეხი (თუნდაც დიოფიზიტი) დაესვათ.

2. სრულ გაუგებრობაზეა აგებული მტკიცება იმისა, რომ თითქოს ლეონტის თანახმად საქართველო სომხეთის ნაწილად არის წარმოდგენილი, ან მითუმეტეს მთელი კავკასია. ლეონტით საქართველო საქართველოა და სომხეთი სომხეთი, მათი საზღვრების საკმაოდ ზუსტად აღნიშვნით.

3. არსაიდან არ ჩანს, რომ ლეონტით ქართველები ან სხვა რომელიმე კავკასიელი ერი სომხური წარმოშობისაა. ის, რომ კავკასიის ხალხებს ლეონტით საერთო წინაპარი ჰყავდათ სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი სომხებად აღვიქვით. ლეონტით, ქართველები ქართლოსიდან, ხოლო სომხები ჰაოსიდან მომდინარეობდნენ, ისევე როგორც სხვა ხალხები თავიანთი ეთნარქებიდან.

4. არ არსებობს არავითარი საფუძველი იმის მტკიცებისა, რომ ყველა 23 წარმართი მეფე ქართლოსით დაწყებული და მირიანით დამთავრებული ლეონტის მიხედვით, სომხური წარმოშობისა იყო. ჯერ ერთი, ლეონტით ქართლის პირველი მეფე ფარნავაზი არა სომხური წარმოშობისა, არამედ მცხეთელი მამასახლისის სამარას ძმისწულია, ხოლო წარმართ მეფეთაგან უკანასკნელი მირიანი სპარსთა მეფის ძე იყო. მართალია, დროდადრო ქართლში სამეფო ტახტზე გვხვდებიან სომხური სამეფო სახლის წარმომადგენლებიც, მაგრამ ეს არ იყო ყველა მეფე და თუკი „ქართლის ცხოვრების“ 1955 წ. გამოცემაში ბევრი მათგანი „არსაკუნიანად“ არის წოდებული, ეს ძეგლის გვიანდელი, XVIII ს. მეორე ნახევრის ნუსხებიდან მომდინარეობს და ამაში ლეონტის ვერ დავადანაშაულებთ. ამასთან, არშაკიდები სომხები კი არ იყვნენ, არამედ სპარსული დინასტიის წარმომადგენლები, რომელთაც სომხეთშიც ვხვდებით.

რაც შეეხება ეპიზოდს წმ. ნინოს ჯავახეთში მწყემსებთან შეხვედრის შესახებ და თხრობას მის მიერ სომხური ენის ცოდნის შესახებ („ნინო მეცნიერ იყო მცირედ ენასა სომხურსა“), ესეც არ უნდა იყოს გასაკვირი, რადგან გარემო, საიდანაც ნინო გამოვიდა და ის გზა, რომელიც მან გამოვლო (სომხეთზე) ამას (ე.ი. სომხურის მცირედ ცოდნას) სრულიად შესაძლებლად წარმოგვიდგენს. არც ის უნდა იყოს წარმოუდგენელი, რომ ნინომ „ჰპოვა მწყემსთა მათ შორის სომხურად მზრახველი“, რაც სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მწყემსები სომხები იყვნენ, თუნდაც ის, რომელიც სომხურადაც ლაპარაკობდა. ხოლო ის, რომ თითქოს მწყემსებმა ნინოს უთხრეს — „ქართველები ნათესავის მოძულე და არაადამიანები არიანო“, ფანტაზიის არაჩვეულებრივი ნაყოფია და თავისთავად საკვლევია, თუ საიდან და როგორ შეიძლებოდა გასჩენოდა ბრალმდებელს ასეთი ვერსია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს რაღაც გამოძახილია „მეფეთა ცხოვრებაში“ ქართველთა წარმართული ყოფის დამუქებისა ქრისტიანობის პროგრესული როლის მეტად ხაზგასმის მიზნით, ნინოსთან დაკავშირებულ მოცემულ კონტექსტში ამის მოტანა ყურმოკრულის მიხედვით ლეონტი მროველის წინააღმდეგ მიმართულ მსჯელობის ხასიათს ატარებს, „მეფეთა ცხოვრებაში“ ასევე სიუჟეტები, „მოქცევად ქართლისადან“ მომდინარეობს, ისევე, როგორც სხვა მრავალი დეტალი, თუნდაც სარა ნიაფორის მოთხრობაში მცხეთის დახასიათებისას ქართლთან ერთად სომხითის ხსენებაც, მხოლოდ არა იმ გაგებით, თითქოს ქალაქ მცხეთა იყო „ქვეყანა ქართლისა და სომხითისა“, როგორც ამას წარმოგვიდგენენ ლეონტისადმი წაყენებულ ბრალდებებში, არამედ როგორც ჩამონათვალი მახასიათებლებისა „ჩრდილოისა ქუეყნისა“, სადაც ქრისტეს კვართი იყო წამოღებული: „ჰქვია ჩრდილოი ქუეყანაი სომხითისა და მთიულეთისაი...“ („მოქცევად ქართლისად-ჭელიშური ნუსხა“).

შესაძლოა ეს ადგილი რამდენადმე ნაკლული და ბუნდოვანია, მაგრამ ამაში ლეონტის არ მიუძღვის ბრალი, არამედ მისი წყაროს „ცოდვაა“. ლეონტის „დანაშაული“ კი აქ ის არის, რომ მან „მიქცევასეულ“ ტექსტს ქართლიც დაუმატა.

ერთადერთი, რაც ზემოაღნიშნულ ბრალდებათაგან რჩება ძალაში, ეს არის სომხთა ეთნარქს-ჰაოსის უფროს ძმად აღიარება და სომხურის ენისათვის გარკვეული გაგებით და გარკვეულ დროს უპირატესობის მინიჭება. ეს პრობლემა დიდი ხანია დგას ქართულ ისტორიოგრაფიაში და მასზე პასუხის გაცემის ცდებიც არსებობს. ეს არის როგორც ხალხთა წარმოშობის ბიბლიური კონცეფციის გამოყენება კავკასიელ ხალხთა წარმომავლობის და ნათესაობის ახსნისას, შუა საუკუნეების სამართლებრივი ნორმების უცილობლობის აღიარება მემკვიდრეობის და უფროს-უმცროსობის უფლებრივი საკითხების გარკვევისას, ასევე ლეონტის სომხური წყაროების გავლენა ჩვენ მემატიანეზე და ბოლოს კავკასიაში ადრეულ ხანაში გავრცელებული ენის (კერძოდ ურარტულის) სომხურ ენად აღქმის ტრადიციაში შემონახულობა...

ერთი სიტყვით, საკითხის სირთულის გამო ამ დარგში ვარაუდების წამოყენება უჩვეულო რამე არ უნდა იყოს, მაგრამ მაინცდამაინც ლეონტი მროველის საბრალდებო სკამზე დასმა მისი ე.წ. „არმენოფილური განწყობის“ გამო, არამართებულია, მითუმეტეს თუ „არმენოფილობაში“ მაინცდამაინც ბოროტ განზრახვას ვიგულისხმებთ.

უეჭველია, რომ ლეონტი მროველთან დღეს ბევრი რამ არ არის გასაზიარებელი, მაგრამ მისი თხზულების, როგორც საისტორიო წყაროს ღირებულების საკითხი მეცნიერული კვლევის და განსჯის საგანია, რასაც ივანე ჯავახიშვილმა ჩაუყარა საფუძველი და რაიმე ემოციურ ვნებათა ღელვის საგნად ამის ქცევა და ძეგლის მნიშვნელობის სრული უგულებელყოფა დაუშვებელია. მითუმეტეს, რომ არა ერთი დეტალი მისი მონათხრობიდან საგანგებო წყაროთმცოდნეობითი დაკვირვებისა და არქეოლოგიური კვლევათა შედეგებთან შეჯერების გზით დადასტურდა კიდეც. იყო დრო, როდესაც „ქართლის ცხოვრების“ დაცვა არაკეთილმოსურნეთა მხრივ (სენკოვსკი, პატკანოვი) ხელყოფისაგან (იგულისხმება სწორედ ნიჰილისტური დამოკიდებულება) მარი ბროსესა და დიმიტრი ბაქრაძეს მოუხდათ.

მაგრამ, ქართულმა წყაროთმცოდნეობამ დიდი ხანია გამოაცალა საფუძველი ასეთ ნიჰილიზმს სწორედ ძეგლისადმი კრიტიკული მიდგომით. ივ. ჯავახიშვილი თავის ფუნდამენტური ნაშრომის „ძველი ქართული საისტორიო მწერლობის“ ლეონტი მროველისადმი საგანგებოდ მიძღვნილ ნაკვეთის ბოლოს, „ქართლის ცხოვრების“ ნუსხების მდგომარეობაზე საუბრის შემდეგ სწორედ ლეონტი მროველის ნაწილის შესახებ ასკვნიდა: „სასურველია, რომ ც-ა ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“-ს აღდგენილი დედანი ცალკე წიგნად გამოვიდეს“. ასე რომ კრიტიკული შესწავლა სრულიადაც არ ნიშნავს მასზე უარის თქმას.

მეტად საყურადღებოა ამ თვალსაზრისით აკად. ნ. ბერძენიშვილის შემდეგი სიტყვები: „აკად. კ. კეკელიძე სარწმუნოა ლ.მროველის ისტორიულ-ლიტერატურულ განხილვა-შეფასებაში, რომ ლეონტი რუისის ეპისკოპოსია, რომ ის XI საუკუნის შუა ხანის მოღვაწეა, რომ მას განუზრახავს დაეწერა ქართველთა თავგადასავალი დასაბამისადან და რომ მან ეს მოთხრობა ქართლში მეფობის გაუქმებამდე მოიყვანა. ლეონტის ლიტერატურული წყაროების მიკვლევაშიც აკად. კ. კეკელიძე სარწმუნოა (ძირითადად).

ჩვენი ისტორიკოსების ამოცანა ამდენადვე გაადვილებულია. მიუხედავად ამისა ლეონტის ისტორიოგრაფიული განხილვა-შეფასება დიდი სიძნელის საკითხების გაშუქებას მოითხოვს, მაგრამ ლეონტის საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ასეთი სამუშაო უნდა გაწეული იქნას. ქართული ისტორიოგრაფია დღეს იმ სიმაღლეს არის მიღწეული, რომ ლეონტის „კრიტიკული ათვისება“ ყოვლად გადაუდებელია.. ლეონტიმ ხომ ქართველთა ცივილიზების საკითხები ამოცანად დაისახა და თავისი დროის შესაფერისად გადაჭრა. ამ საკითხების მეცნიერული შესწავლა ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა... (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 549).

სწორედ ასეთი პრინციპით ხელმძღვანელობს დღეს ჩვენი ისტორიგრაფია „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის და ახალი, კრიტიკულად დადგენილი ტექსტის პუბლიკაციის მომზადებისას, რასაც ითვალისწინებს სააკადემიო საგანგებო პროგრამა. არაკომპეტენტური ან ტენდენციურად განწყობილ პირთა ჩარევა კი ამ საქმეში მხოლოდ საქმეს ვნებს.

მაგალითად, ლაპარაკს იმის შესახებ, რომ თითქოს ან ლეონტი მროველი იძლევა საფუძველს მტკიცებისათვის ქართველების სომხებისაგან წარმოშობის შესახებ, ან ვინმე ამტკიცებდეს ამას, ეს სრული გაუგებრობაა, თუ სულაც პროვოკაცია არ არის.

კერძოდ, ლეონტი მროველის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟთან დაკავშირებით, რომელიც კი არ ცხრება, არამედ სულ უფრო და უფრო ღვივდება და ეხლა სხვა გაზეთებშიც მათ შორის გაზეთ „საქართველოში“, „ლიტერატურო გაზეთში“ გადაინაცვლა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიოგრაფიის სფეროში მოხალისეთა ვარჯიშს, სამწუხაროდ, ჩვენ უკვე დიდი ხანია შეჩვეული ვართ, რაც აგრესიული დილეტანტიზმის თუ ხშირად უვიცობის დემონსტრაციის სახეს იღებს, მაგრამ მაღალტიტულოვან მეცნიერთ რაღა გვემართება, როდესაც ასე ადვილად ლაფში ვსვრით ყოველივე იმას, რაც ჩვენი წინაპრებისათვის წმინდათა-წმინდა, ძვირფასი და საამაყო იყო, მითუმეტეს თუ ასეთ შემთხვევაში, ვღალატობთ პროფესიონალიზმსა და ვიჩენთ სრულ არაკომპეტენტურობას? ერთი სიტყვით, დროა გავჩერდეთ და წმინდა აკადემიურ ინტერესებთან ერთად, მეტი ანგარიში გავუწიოთ იმას, თუ რა არის ჩვენი ხალხისათვის და ქვეყნისათვის დღევანდელობისა თუ მომავლის თვალსაზრისით საზიანო ან სასარგებლო. ისე არ გამოგვივიდეს, რომ ჩვენვე არ ვუშვებთ ხელიდან შემთხვევას, რათა ვავნოთ ჩვენსავე თავს, ოღონდ კი თავი გამოვიჩინოთ, ვფიქრობ, სწორედ ასეა ამჟამად საქმე.

და ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ გამართული „პაექრობის“ შედეგად საქმეში ჩაუხედავი მკითხველი უთუოდ დაბნეულია იმის განსაზღვრაში, თუ რაში მდგომარეობს სინამდვილე. ამის ჩვენება საგაზეთო სტატიებში უთუოდ ძნელია და გამოსავალი იმაში მესახება, რომ აქვე გაზეთის რედაქციამ მკითხველს მიაწოდოს დასმულ კითხვაზე ცნობილი მეცნიერის, ისტორიკოსის და წყაროთმცოდნის კოტე გრიგოლიას პასუხი, დაბეჭდილი მის მიერ ჯერ კიდევ 1954 წელს გამოქვეყნებულ წიგნში: „ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიადნ“, I, „ახალი ქართლის ცხოვრება“. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ წიგნის რედაქტორია აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი, რომელიც ზემოთ უკვე იყო ციტირებული და რომლის მეტად გონებამახვილი ხატოვანი გამოთქმით: „იდეურ-პოლიტიკურად ფეოდალური საქართველოს ცივილიზაცია სამ სვეტს ემყარებოდა: სახარება, „ვეფხისტყაოსანი“ და „ქართლის ცხოვრება“ იყო გამარჯვებული ფეოდალური ურთიერთობის სამი „წმინდა წიგნი“. ამათგან უკანასკნელი, ნ. ბერძენიშვილისავე თქმით, „ფეოდალური საქართველოს მეცნიერულ-ისტორიულ დასაფუძვლებას ემსახურებოდა (ქართლის წარმოშობა, ზრდა-განვითარება, საქართველოს ეროვნული დადგინება, აყვავება)“.

**პროფ. ე. ხოშტარია-ბროსე**

P.S. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია წაიკითხოს კ. გრიგოლიას ნაშრომი„ქართველი ხალხის წარმოშობისა და კავკასიის ხალხებთან ნათესაობის საკითხები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კოზა ნოსტრა! - მეორე მთავრობა

# შემოსავალი: რამდენიმე მილიარდი დოლარი!

# მიზანი ამართლებს საშუალებას!

„დანაშაულებათა და კრიმინოლოგიის საერთაშორისო ენციკლოპედიის" მრავალტომეულიდან ჩვენი შერჩევით გთავაზობთ დიდიე გულ-არის სტატიას „მაფიის ისტორია" რომელიც შედგენილია 36 ქვეთავისაგან. ჩვენ კი, ძირითადად თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ მაფიის წარმოშობის ისტორიაზე.

სრულიად შესაძლებელია, რომ პური, რითაც ჩვენ ყოველდღე ვიკვებებით, ბენზინი, რითაც ჩვენს მანქანას ვატარებთ, სულაც ჩვენი საცხოვრებელი ბინაც კი, იმ შავი ფულითაა შექმნილი, რომელსაც ზოგიერთი დამნაშავე იღებს მილიონობით ახალგაზრდის მიერ ნარკოტიკების მიღების მიჩვევისათვის.

ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველა ჩვენთაგანს შეეხება...

ერთი საუკუნეა, რაც მაფია ფართო ლიტერატურის გამორჩეული თემაა. ურიცხვია მაფიისადმი მიძღვნილი ისტორიკოსთა შრომები, ჟურნალისტთა რეპორტაჟები, კერძო თუ ოფიციალურ გამოძიებათა თაობაზე მომზადებული მოხსენებები და საპოლიციო არქივები. ერთი მხრივ, რადიო ტელევიზია და კინო ამ თემაზე ქმნიან სენსაციურ გადაცემებს, ფილმებს, რომლებიც დიდი წარმატებით სარგებლობენ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მაფიაზე მიმართულია „პროჟექტორები" იგი მაინც ინარჩუნებს უცნაურ საიდუმლოებას.

### მაფიის წარმოშობა

მაფია სიცილიის პიმშოა - თითქმის ასე ფიქრობს ყველა ჩვენთაგანი. სინამდვილეში კი მისი წარმოშობა კვლავ საიდუმლოებითაა მოცული. ზოგი ამტკიცებს, რომ მაფია იშვა X ან XII საუკუნეში, სარაცინის ოკუპაციის დროს. სიცილიელებს ახალი მბრძანებლები მოევლინენ, მათ თან მოჰყვათ სრულიად სხვა რელიგია, ენა და ცივილიზაცია, ამიტომაც სიცილიელებს საკუთარი თავის გადასარჩენად სხვა ალტერნატივა?ერი დარჩენოდათ, თუ არა თავისებური „კონტრსაზოგადოების" შექმნა. თავისი ფორმით მაფია წინააღმდეგობის ორგანიზებულ მოძრაობათ ჩამოყალიბდა.

ეს ჰიპოთეზა მისაღები იქნებოდა, მავრები კუნძულის პირველი დამპყრობლები რომ ყოფილიყვნენ. მაგრამ როცა ისინი აქ მოვიდნენ, სიცილია უკვე ათას წელზე მეტ ხანს იყო ოკუპირებული. კუნძულზე ევროპის ყველა ხალხის გამოჩენის ეს საბედისწერო გარდაუვალობა, ნაწილობრივ ეს ყოველივე მისი გეოგრაფიული მდგომარეობით აიხსნება. ხმელთაშუა ზღვის ორი დიდი აუზის შესაყართან თავისი არსებობით იგი ერთდროულად თიშავს და აერთიანებს ევროპას, აფრიკასა და აზიას. ამიტომაც ცდილობდა ხან ერთი, ხან მეორე მსხვილი სახელმწიფო, თავისი კონტროლის ქვეშ ჰყოლოდა ეს კუნძული. რადგან საქმე მათ უშიშროებასთან ტერიტორიის გაფართოების შესაძლებლობას ეხებოდა.

სიცილიელები ზოგჯერ საკმაოდ კარგად ეთვისებოდნენ ზოგიერთ დამყპრობლებს, მაგრამ ცნობილია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: მათ სრული ასიმილაცია არასოდეს განუცდიათ. ალბათ ამაში, დამნაშავენი თვით დამპყრობელნი არიან, რომლებიც მკვიდრ მოსახლეობას უყურებდნენ, როგორც კოლონიზებულ ხალხს. სიცილიელებმა ვერ შეძლეს ბოლომდე მოეცილებინათ უღელი ან შეექმნათ სიცილიელთა ერი, მაგრა მათ ის მაინც შეძლეს რომ დარჩენილიყვნენ სიცილიელებად. ეს კი ნამდვილი სასწაულის ტოლფასია. სიცილიური ხასიათიც სწორედ ასეთ სიმტკიცეს ემყარება მაფიის სულისკვეთების არსი. იგი მაფიის შექმნამდე მრავალი საუკუნის მანძილზე არსებობდა და სწორედ ამით აიხსნება ერთდროულად მისი თვითმყოფადობა, ორაზროვნება და სიმტკიცე.

ზოგი იქამდეც კი მიდის, რომ საერთოდ უარყოფს მის არსებობას. „ეს მითია, ლეგენდაა, — ამბობენ ისინი, — იგი ჟურნალისტების და სცენარისტების გამონაგონია". ასე ადასტურებენ მაფიის წევრები ვალაკის სიმართლეს, რომელმაც უცებ შეწყვიტა თხრობა თავის თავგადასავალზე „კოზა ნოსტრაში", შემდეგ კი მწარედ უთხრა ამერიკელ ჟურნალისტს პიტერ მაასს: „თუმცა, რა საჭიროა ყოველივე ამაზე ლაპარაკი! არავინ მოგისმენთ. ამას არავინ დაიჯერებს. გასაგებია! ასე თუ ისე, „კოზა ნოსტრა" — მეორე მთავრობაა. ეს მეტისმეტად გრანდიოზულია".

შეერთებული შტატების იუსტიციის მაშინდელი მინისტრი რობერტ კენედი, მის მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე, სწორედ მათ, ვისაც ეს არ სჯეროდა, მიმართავდა: — ბევრ ამერიკელს ისე წარმოუდგენია, რომ თითქოს ორგანიზებული დანაშაული მას არ ეხება. ცდებიან ორგანიზებული დანაშაულის პოლიტიკური და ეკონომიური ძალა ისე სწრაფად გაიზადა, რომ იგი ეხება ჩვენი უმრავლესობის ცხოვრებას.

მაფიის უზარმაზარი დოსიეს გულდასმით შესწავლის შემდეგ შეუძლებელია არ აღიარო რობერტ კენედის სიტყვების სიმართლე. იმისათვის, რომ დაგვარწმუნოს ამ მოსაზრებების უტყუარობაში, რობერტ კენედის მიაჩნია, რომ „კოზა ნოსტრას" ერთი წლის შემოსავალი „რამდენიმე მილიარდი დოლარია!" ეს თანხა სჭარბობს ისეთი ქვეყნების ეროვნულ შემოსავალს, როგორიცაა საფრანგეთი ან იტალია. ცნობილია, თუ რა გზებით შოულობენ ამ ფულს: ნარკოტიკების კონტრაბანდული ვაჭრობით, პროსტიტუციით, აზარტული თამაშებით, გამოძალვით, ანუ დანაშაულით. ადვილი მისახვედრია, თუ შემდეგ სად მიდის ეს ფული. მისი ნაწილი, უეჭველია, ხმარდება „კოზა ნოსტრას" საქმიანობის უზრუნველყოფას, მისი საერთო ხარჯების უზარმაზარი თანხა, რასაც იყენებ ქრთამებისათვის, ყველა იმათ მოსყიდვისა და გახრწნისათვის, ვინც სჭირდება მოცემულ ორგანიზაციას, აგრეთვე საკუთარი თავის დაცვის უზრუნველყოფისა და ჩადენილი დანაშაულის მიჩქმალვისათვის დანარჩენი ფული შედის საზღვარგარეთის ბანკებში და შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ, ამ „განსაწმენდელიდან" გამოსული „ნამუსგაწმენდილი" ფული მზად არის, ჩაერთოს კანონიერ საქმეთა ფართო სფეროში.

სახალხო გმირებს ოკუპანტები ყაჩაღებად ნათლავდნენ, ხოლო სიცილიელები, რომლითაც შთაგონებულნი იყვნენ სახალხო გმირები, ძალიან ჰგავდა იმ იდეალს, რაც საფუძვლად ედო ერთობებს. უწინარესად, მათ მიზანს შეადგენდა, დამპყრობთა, ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, კანონებისა და ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა. ამისათვის კი ყველა მეთოდიგამოსადეგად მიაჩნდათ, ოღონდაც ეფექტი დიდი ყოფილიყო. სახალხო გმირებისათვის ერთადერთ წესად იქცა ცნობილი გამოთქმა — „მიზანი ამართლებს საშუალებას", სახალხო გმირები, ისევე როგორც ერთობები, უკვე მაფიის სულისკვეთებით იყვნენ გამსჭვალულნი.

ასეთი ჰიპოთეზის გამო, მაფიის ისტორიული ფესვი ურიცხვია და მათი ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ უნდა აღინიშნოს ორი განსაკუთრებით ძლიერი და სიცოცხლის უნარიანი თვისება: სახალხო გმირობა და ერთობა, ისტორიამ შემოინახა იმ ბელადის სახელი, რომელმაც 1292 წელს სათავე დაუდო და თავადვე ხელმძღვანელობდა სახელგანთქმულ „სიცილიურ სერობებს" — ეს იყო ჟან დე პროჩიდა. სიცილიის სახალხო გმირების გრძელ სიაში, რომელიც სალვატორე ჯულიანომდე მოდის. პროჩიდა, ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე, შეგვიძლია სიაში პირველი დავაყენოთ.

ისტორიკოსები ახსენებენ „ბუატა პაოლის" ერთობას, რომელიც შექმნილია 1670 წელს პალერმოში. იგი აერთიანებს ათ აზნაურს, რომლებიც საკუთარ თავს „განათლებულ აზნაურებს" უწოდებდნენ. მათი ამოცანა საკუთარი კასტის ინტერესების დაცვა იყო. ეს ერთობა იცავდა ყველა იმ რიტუალს, რაც დამახასიათებელია თითოეული საიდუმლო ორგანიზაციისათვის. ეკლესია სან როკკოს მახლობლად უკვე პალერმოს საზღვრებს გარეთ შეიქმნა. ზაგურში, მონრეალში, კალტანისეტში, თუმცა ყველა ეს ერთობა სხვადასხვა მიზნით მოქმედებდა, მაგრამ ფუნქციონირებდა დაახლოებით ერთნაირად. უსაფრთხოების გასაგები მიზეზების გამო, ერთობა ათზე მეტი წევრისაგან არ შედგებოდა. მას თავკაცობდა ხელმძღვანელი — „ათმეთაური". ზოგჯერ ერთობა ორ ჯგუფად იყოფოდა და თითოეულს „მანო" ეწოდებოდა.

სიტყვა „მაფიის" პირველი კვალი გვხვდება 1862 წელს ჯუზეპე რიცოტოს პიესის სათაურში „ვიკარიის მაფიელები". იმ დროს პალერმოს ციხეს ვიკარია ეწოდებოდა, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად რამდენიმე წლის შემდეგ, 1869 წელს, ეს სიტყვა მოხვდა ტრაინის „სოციალური სიტყვების მცირე ლექსიკონში", სადაც იგი განმარტებული იყო შემდეგნაირად: სიმამაცე, ყოყოჩობა, გულზვიადობა. მაგრამ ლექსიკონში არაფერი იყო ნათქვამი მისი წარმოშობის თაობაზე. გავიდა 100 წელზე მეტი, ამ სიტყვის წარმოშობა კი კვლავ საიდუმლოებითაა მოცული და კამათს იწვევს. სპეციალისტები კვლავინდებურად აყენებენ რამდენიმე ჰიპოტეზას, რომელთა შორის ვერცერთი ვერ გამოირჩევა დამაჯერებლობით უმეტესად ლაპარაკობენ სიტყვის არაბულ წარმოშობაზე. როგორც ცნობილია, მავრებს სიცილია დაპყრობილი ჰქონდათ 827 წლიდან 1060 წლამდე და მათ მიერ შემოტანილმა ცივილიზაციამ ღრმა კვალი დატოვა კუნძულის დასავლეთ ნაწილში. ესე იგი სწორედ იმ ნაწილში, სადაც სიტყვა „მაფია" გამოჩნდა პირველად. ამ ჰიპოტეზას იცავს სიცილიელი ისტორიკოსი გაეტანო ფალცონე თავის წიგნში „მაფიის ისტოორია" და წერს, რომ შესაძლებელია იგი მომდინარეობდეს სიტყვა „მაფიიდან" რაც ნიშნავს დიდი რაოდენობით ადამიანების შეხვედრას, შეკრებას, ან იქნებ „მაფიასაიდან", რაც ნიშნავს ვინმეს მიერ რაიმეს დაფარვას, დაცვას და აქედან წარმოიშვა სიტყვა „მუაფახი", ესე იგი ხსნა ხელშეუხებლობისა, ყოველგვარი ულლისაგან განთავისუფლება, დაცვა, მფარველობა, ყოველგვარი ულლისაგან განთავისუფლება, დაცვა, მფარველობა. ფალტონე იმოწმებს მეორე სიცილიელ ისტორიკოსს ჟუზეპე პიტრეს, რომელიც თავის წიგნში „სიცილიელი ხალხის ზნეჩვეულებები, რწმენა და ცრურწმენანი" — მოგვითხრობს, რომ მან სიტყვა „მაფია" აღმოაჩინა პალერმოს ერთ-ერთ კვარტალში — ბორგოში, სადაც ეს სიტყვა ნიშნავს „სილამაზეს, სიდიადეს, სრულყოფილებას, სიმამაცესა და ქველობას".

სხვა ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ ეს სიტყვა უფრო მოგვიანებით, XIII საუკუნეში წარმოიშვა — „სიცილიურ სერობათა" დროს, რის შედეგადაც 1282 წელს აღდგომა ორშაბათ დღეს პალერმოს მკვიდრნი შეძახილებით „იტალიას სურს ფრანგების სიკვდილი" — აუჯანყდნენ ფრანგებს, რომლებსაც დაპყრობილი ჰქონდათ კუნძული. ამგვარი სხვა ჰიპოთეზის თანახმად, ეს სიტყვა შექმნილია XIV საუკუნეში ერთ-ერთი აჯანყებული სექტის ლოზუნგის პირველი ასოებისაგან: „მაძინი აუტორიძა ფურტე, ინჩენდი, აველანამენტი" (მაძინი იძლევა ძარცვა-გლეჯვის, ცეცხლის წაკიდებისა და მოწამვლის უფლებას), თავის მხრივ, ავილიო (1875 წელი) მერყეობს ლათინური წარმოშობის სიტყვა „ვაფერი, ვაფერო ზუსსა" (რაც „ცბიერს" ნიშნავს) და ფრანგული წარმოშობის მოძველებული სიტყვა „მეფელს" შორის, რომელიც ნაწარმოებია სიტყვა „მოფი"-დან (ბოროტების ღმერთი). ამ უკანასკნელ სიტყვას ლუაზლერი ხმარობს ტამპლიერების (ტაძრის კერპთა) მიმართ. რაც შეეხება მარტვილარო დი ვილარენს (1876), მას მიაჩნია, რომ ეს სიტყვა პიემონტელთა გამოთქმით, რამდენადმე ევივალენტია სიტყვა „კამორასი" (ბანდა, ხროვა).

რომელ ვარიანტსაც არ უნდა მივაკუთვნოთ უპირატესობა, სრულიად აშკარაა, რომ სიტყვა „მაფიას" თავდაპირველად და შემდეგ კარგა ხნის მანძილზე, არ ჰქონია ისეთი სათაკილო აზრი, როგორსაც იგი

გაგრძელება მე-12 გვ.

# როცა სხვას ორმოს უთხრიან...

იმ ჟურნალისტებს შორის, რომლებიც „ელიზი"-„ომეგას"-ს გახმაურებულ სასამართლო პროცესს აშუქებდნენ, ერთ-ერთი მეც გახლდით და, ბუნებრივია, ამ საკითხისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებსაც რეგულარულად ვეცნობოდი, რომელთა რიცხვიც საკმაოდ დიდი გახლდათ.

XX საუკუნის მიწურულს, ჩვენს ქვეყანაში პირველად მომხდარი ასეთი მძიმე კატეგორიის დანაშაული, რაც ერთი ფირმის („ელიზის"-ს) მიერ მეორე, კონკურენტი ფირმის („ომეგა"-ს) კრიმინალური მეთოდებით გზიდან ჩამოცილების მცდელობაში გამოიხატებოდა, ნამდვილად იმსახურებდა ყოველმხრივ წარმოჩენასა და ანალიზს, — ცხადია, მიუკერძოებელსა და ობიექტურს.

ჩვენს აბურდულ დროში ძნელია, ვინმე ჭეშმარიტ მიუკერძოებლობასა და ობიექტურობაში დაარწმუნო, რადგან მავანთათვის სიმართლე მხოლოდ ისაა, რაც მას პირადად აწყობს, მაგრამ ანგარებითა და ძმა-ბიჭობით ნაშობ სკეპტიციზმს თუ მოვიშორებთ, მაინც მოვახერხებთ თეთრისაგან შავის, ანუ უდანაშაულოდან დამნაშავის გარჩევას.

მერწმუნეთ, ზემოთნახსენები სკეპტიციზმის გარეშე, დიდი ინტერესით წავიკითხე გაზეთ „კვირის პალიტრა"-ში (№34,1998წ.) გამოქვეყნებული ექსკლუზიური სატელეფონო ინტერვიუ ფირმა „ელიზი"-ს პრეზიდენტ თამაზ ელიზბარაშვილთან, სათაურით — „ჩვენს მხილებას თავს თუ არ დაანებებ, დაგიჭერთ!"

ვინაიდან გაზეთის ეს ნომერი 24 აგვისტოს გამოვიდა, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ „ელიზელთა" ბანდის ნაკრებად ცნობილ განსასჯელებს 20 აგვისტოს გამოუტანა განაჩენი, ვიფიქრე, ახლა მაინც გავიგებ, ამ ბანდის მეთაურად გამოძიების მიერ შერაცხულ, ბრალდებულ თამაზ ელიზბარაშვილს რა ჰქონდა სათქმელი — „განაჩენის გამოტანის შემდეგ ავლაპარაკდები"-ო, რომ გვპირდებოდა.



ალმოჩნდა, რომ იგი კვლავ იმ ვერსიას იმეორებდა, რომლის გამოყენებაც უშედეგოდ სცადეს განსასჯელ „ელიზელთა" ადვოკატებმა სასამართლო პროცესზე — უზენაესმა სასამართლომ „კონტრაბანდის ამოღებად" კი არა, ბანდიტურ თავდასხმად დააკვალიფიცირა „ელიზელთა" მოქმედება ფირმა „ომეგას" წინააღმდეგ, ხოლო განაჩენში ბანდის ორგანიზატორად ფირმა „ელიზის" „ერთ-ერთი ხელმძღვანელი" მოიხსენია იმ „კოლმეურნეობის თავმჯდომარესავით", რომლის გვარიც ყველამ იცოდა და არავინ არ ასახელებდა.

სხვათაშორის, ამ ინტერვიუში თამაზ ელიზბარაშვილი იმასაც აცხადებს, რომ „არცერთი მსჯავრდებული არ არის ჩემი თანამშრომელი და არც ყოფილა"-ო. სასამართლო კოლეგიამ არ გაიზიარა განსასჯელების გელა ბატატუნაშვილისა და ზურაბ ცინცაძის (თ.ელიზბარაშვილის ნათესავების) განცხადება, რომ ისინი ფირმა „ელიზში" არ მუშაობდნენ, რადგან წინასწარ გამოძიებაში აჩვენეს, რომ იქ მუშაობდნენ, რაც მთავარია, მათ იქ ხელფასს უხდიდნენ, „ელიზის" ბუღალტერიიდან მათ სახელზე იცემოდა თანხები, გელა ბატატუნაშვილი ფირმა „ელიზის" დაცვის უფროსად მუშაობდა და სწორედ მის მიერ დაკომპლექტებული დაცვის სამსახური იცავდა ფირმის ოფისს, საწყობებსა და ტერიტორიას, ხოლო ზურაბ ცინცაძე ამოწმებდა სავაჭრო ჯიხურს...

რომელს დავუჯეროთ, საქართველოს უზენაეს სასამართლოს თუ თავდებში მყოფ „ელიზის" პრეზიდენტს, რომელსაც ორი ურთიერთგამომრიცხავი შინაარსის ჯანმრთელობის ცნობით, როცა უნდა სამთავრობო დაცვაში ეწყობა სამუშაოდ, ხოლო როცა სურს გამოძიებას და სასამართლოს არიდებს თავს?

ვისაც სასამართლოს განაჩენში ეჭვი ეპარება, მთავარ ბრალდებულს კი არ უნდა ელაპარკოს მარტო (ცუდი ამაში არაფერია თავისთავად), არამედ კეთილი უნდა ინებოს და საქმეშიც ჩაიხედოს, მტკიცებულებებსაც გაეცნოს და კომენტარი მაინც გაუკეთოს იმ ცილისწამებებს, შეურაცხმყოფლურ განცხადებებსა და სიცრუეს, რითაც უხვადაა გაჯერებული ეს „ექსკლუზიური" ინტერვიუ.

ბრალდებული თამაზ ელიზბარაშვილი იმიტომ კი არ დაიჭირეს, რომ ბიზნესის „გათეთრება" უნდოდა, არამედ იმიტომ, რომ ბიზნესიდან კონკურენტის უკანონო მეთოდებით ჩამოშორება სცადა, ახლა კი თავისივე ხელით სხვისთვის გათხრილ ორმოში თვითონ რომ ჩავარდა, სხვას უნდა რომ გადააბრალოს ამ ორმოს გათხრა. ფაქტები სწორედ ამას ლალადებენ, ხოლო ვისაც ფაქტები არ აინტერესებს, მასთან დავას აზრიც არა აქვს.

ერთადერთი, რაც ამ „ექსკლუზიურ" ინტერვიუში ეჭვს არ იწვევს, ის დასკვნაა, რითაც ეს ინტერვიუ მთავრდება: „სახელმწიფოს კვლავ არ შესწევს ძალა, შეუქმნას ბიზნესმენს ნორმალური ბიზნესის წარმოების საშუალება". ამ სიტყვების ავტორს მართლაც თუ აწუხებს ეს პრობლემა, მაშინ მისთვის სულ ერთი არ უნდა იყოს, როგორი ურთიერთობა ექნებათ ერთმანეთს შორის ქართულ ფირმებს — ცივილიზებული თუ კრიმინალური.

„ელიზი" — „ომეგა"-ს საქმე, რომელსაც ასეთი სახელწოდება იმიტომ მისცა გამოძიებამ, რომ „ომეგას" საწინააღმდეგოდ შექმნილი ბანდის მეთაურად „ელიზის" პრეზიდენტია დღესაც ბრალშერაცხული, ერთგვარი სასინჯი ქვაა საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოქმედი ჩვენი მასმედიისათვის და მხოლოდ ჟურნალისტთა კომპეტენტურობა-პატიოსნებას შეუძლია უკეთესი მერმისისათვის საჭირო გზების დასახვა, მტყუანმართლის ჭეშმარიტი გარჩევა.

**თამაზ ძველაძე**

მე-11 გვერდიდან

## შემოსავალი: რამდენიმე მილიარდი დოლარი!

## მიზანი ამართლებს საშუალებას!

დღეს შეიცავს. მხოლოდ გასული საუკუნის დამლევს დაიწყეს ამ სიტყვით განსაკუთრებით პოლიციის მოხსენებებში, „დამნაშავეთა ასოციაციის" აღნიშვნა. ამ მიზეზით, შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილი მხოლოდ გასული საუკუნის დამლევს დაიწყეს ამ სიტყვით განსაკუთრებით პოლიციის მოხსენებებში, „დამნაშავეთა ასოციაცის" აღნიშვნა. ამ მიზეზით, შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილი მაფია, რომელზედაც ლაპარაკობენ, სიცილიაში გარიბალდის მოსვლისა და ბურბონებზე სავოიას დინასტიის გამარჯვების ისტორიასთან ერთად გამოჩნდა. მაგრამ ვიდრე ჭქამდე მივალთ, სახელები დავარქვათ როგორც კეთილ, ასევე ბოროტ ძალებს, რომლებიც ესწრაფვიან მაფიის დაბადებას და თვალს ადევნებენ მის შემდეგ ნაბიჯებს.

**მინაწერი**

უხერხული კია, მაგრამ ჩვენ ხომ განსაკუთრებული და „თავისებური" ხალხი ვართ ქართველები და თავსაც ამით გავიმართლებ.

ჩვენს სალაპარაკო ლექსიკონში რახანია არსებობს სიტყვა — მარიფათი. მის ასახსნელად საბას ლექსიკონში ძებნით კი თავი არ შემიწუხებია. ან რად მჭირდებოდა, როცა ყველა ქართველი თავისი შესანიშნავი — მარიფათით მაფიაა. ყოველი მეორე ქართველი პრეზიდენტია. პრეზიდენტობის კანდიდატობას ვინც აღარ ნატრობს, იმიტომ, რომ უკვე რაიმე ფირმის პრეზიდენტი და ბიზნესმენი გახდა.

მე ასე ავხსნიდი: ყველა შიმშილობს და მაინც უმეტესობა დიეტაზეა. ხელფასები დაბალია, ბაზარი კი ძვირი — სადაც მაინც ყველაფერი იყიდება, და საღამო ხანს დახლები ხშირად ცარიელია. პენსიონერებს 11 ლარი ეძლევა, მარტო პურისთვის კი თვეში ორჯერ მეტი ეხარჯება. რას იტყვით? საიდანაც გინდათ იქიდან იყოს ბატონო წარმოშობილი სიტყვა მაფია. მარიფათიანი კი ნამდვილად ვიცი, რომ კარგად ესმით რაც არის — საქართველოში!

– ყველაზე გამოჩენილი მაფიოზების 10 კაციანი სიის საკუთარი შეხედულებისამებრ შედგენა კი ბევრს შეუძლია, ეს იმას ნიშნავს, რომ ერი ამ მხრივ გამთლიანებულია და „ბავშვმაც კი იცის ვინ არის კაკო!" ასათიანზე არ გეგონოთ.

**ქეთი ჩადუნელი**

## „ტოტო-ლოტოს" მოყვარულთა საყურადღებოდ!

კვირას, 30 აგვისტოს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42"-ს და თანმხლები თამაშის „სუპერ-7"-ის მე-18 ტირაჟის გათამაშება.

„ლოტო 6-42"-ს მოგებახვედრილი რიცხვებია:

**3. 11. 22. 33. 36. 37.**

3 რიცხვი — 1.70 ლარი
4 რიცხვი — 13.10 ლარი
5 რიცხვი — „ჯეკ-პოტი" 912 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟში.
6 რიცხვი ვერავინ გამოიცნო. „ჯეკ-პოტი" 51 860 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟში.

„სუპერ 7"-ის მომგებიანო ციფრებია **6399954**

შემდეგი ტირაჟი შედგება 6 სექტემბერს.

„ჯეკ-პოტი" **50.036 ლარი**

ითამაშეთ ლატარია „ტოტო-ლოტო"!

გისურვებთ წარმატებას!

*საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი*

*გამოიწერეთ გაზეთი*

## „საქართველო"

ხელმოწერა შეიძლება ქ.თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნეს" ხელმოწერის რაიონულ უბნებში შემდეგ მისამართებზე:

– მოსკოვის გამზირი 18, ტელ. 71-32-87
– გლდანის რაიონი, დუმბაძის 4 (ა) კორპუსი, ტელ. 62-75-32
– დ.გურამიშვილის გამზირი 30, ტელ. 60-80-22
– ივ.ჯავახიშვილის (კალინინის) ქ.№14 ტელ. 95-87-36
– ქეთევან წამებულის გამზ. 61, ტელ. 74-14-47
– აკ.წერეთლის გამზ. 73, ტელ. 34-75-51
– რ.თაბუკაშვილის ქ. №12
– ჭავჭავაძის გამზ. 46, ტელ. 22-64-58
– ცენტრალური ოფისი, კ.გამსახურდიას გამზ. 42, ტელ. 37-47-49, 93-43-97.

ორგანიზაციებს შეუძლიათ, მიიწვიონ „მაცნე"-ს წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად. ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა.

## სატირა

## ამდენი ცოდვის ჩამდენნი, აქამდე როგორ მოვედით?!

საუბედუროდ, ქართველებს
ჭირი გვჭირს მოურჩენელი,
არ გვიყვარს პატრიოტები
და ქვეყნის გადამრჩენელნი.
სამშობლოს სიყვარულისთვის
გორგასალს გული გაუპეს,
ილიას, ზვიადს, კოსტავას
მგლების ხაფანგი დაუგეს
სახელს დიდ მოურავისას
ქართველი როგორ ახსენებს?!
ცოლშვილიანად „ვაჩუქეთ"
ჩვენს მტრებს — თურქებს
და სპარსელებს.
ნუთუ, ვინც სამშობლოსთვის
ეცდება თავის დადებას
დაიმსახურებს ტყვიას ან
საქართველოდან გაგდებას?..
კარგსა და აუგს ქართველი
რაღაცნაირად ათავსებს,
ცოცხალს თუ სწირავს სამიწედ,
მერე საფლავში აფასებს.
მე ვამბობ როგორც მოკვდავი
და არა როგორც პოეტი,
ამდენი ცოდვის ჩამდენნი
აქამდე როგორ მოვედით?!

**ნიკოლოზ იოსებიძე**

## კროსვორდი



თარაზულად: 1. სოციალური წარმოშობის კრიმინალური საიდუმლო ორგანიზაცია. 4. მოწაფის სამუშაო ადგილი კლასში. 6. ქალის ფართო პალტო. 9. კრიალა ზედაპირი, რომელიც კარგად ირეკლავს გამოსახულებას. 10. უხეში, ხამი, მაგარი. 11. ერთგვარი ფრანგული წითელი ღვინო. 12. ბოჭკოვანი ტროპიკული მცენარე, თოკებისთვის გამოყენებული, ე.წ. მანილის ქერელი. 15. მიმართვა ფრანგი მამაკაცისადმი. 18. სასიმინდე. 21. ფორთოხალი. 22. ფეტვისებრი საკვები კულტურა. 23. ნახევარკუნძული ეგვიპტეში, სუეცის არხთან. 24. ვრცელი ბალახოვანი ველი. 26. წვრილი ფული ოცერთეულიანი ნომინალოლისა. 29. წიწაკის ცხარე სანელებელი, აფხაზური წარმოშობისა. 32. მავნე ფეხსახსრიანი მწერი. 35. სამხრეთამერიკული სირაქლემა. 36. სარგებლობა, გამორჩენა, ხეირი. 37. კაპიტალის პროცენტად მიღებული რეგულარული შემოსავალი. 38. თვალის ფერადი გარსი. 39. მეშვიდე არსამუშაო დღე. 40. რამეზე დამდგარი მზის შუქი.

შვეულად: 1. საგანგებო დავალება. 2. ზღაპრული ლამაზი გრძნეული ქალი. 3. ერთუჯრედიანი მიკროსკოპული ცხოველი. 4. ხარების გამრეკი ბიჭი. 5. გათვითცნობიერებული მოსალოდნელი საშიშროება. 7. ერთგვარი ბამბის ქსოვილი. 8. უდედმამო. 13. ძველებური ერთსატენიანი შაშხანა. 14. გარეული ვირი. 15. დაცლილი ვაზნა. 16. ოქროს ან ვერცხლის ძაფი. 17. პატარა ხშირბეწვიანი მტაცებელი ცხოველი. 18. საქონლის შეძენა მისი ღირებულების შემდგომი გადახდის დაპირებით. 19. ბუნდოვნად დანახული აჩრდილი. 20. არაბი ხელისუფალი ძველ საქართველოში. 27. საკრედიტო დაწესებულება. 28. წვრილი სამედიცინო მილი ღრუ ორგანოების საკვლევად. 30. დასაწვავი კუნძი. 31. წისქვილში ხორბლის სადენი ხვრელი. 32. რომის პაპის ხელისუფლების მართვის ორგანოები. 33. მეორე საუზმე ნაშუადღევს. 34. სიცოცხლის ხანგრძლივობის რომელიმე პერიოდი.

## ვახტანგ ჯანდელიანის ხსოვნას



ძმაო ვახტანგ! ჩვენო უსაყვარლესო მეგობარო, წელიწადია, რაც იმ საუფლოს გადახვედი და უნებურად დაგვტოვე ყველა. თუმცა, იქნებ ასე გსურდა კიდეც. შენ ხომ უსამართლობას, ქართველი კაცის გაჭირვებას და დაბეჩავებას ვერ იტანდი... გულმა ვერ გაუძლო სამაჩაბლო-აფხაზეთის ომებში გამობრძმედილ ვაჟკაცს.

მრავალი დამსახურება, მრავალი ჯილდო ჰქონდა მიღებული ჩვენს მეგობარს. რამდენი ადამიანი გადაურჩენია სიკვდილისაგან მას ბრძოლის ველზეც.

შენ ხომ ბუნების სილამაზე გიყვარდა ვახტანგ, საქართველო და სამი შვილი იყო შენი საფიცარი. უცხო ადამიანი ხომ შენთვის არ არსებობდა, ყველა მახლობლად მიგაჩნდა და ძმობას უწევდი. უშენოდ არა აქვს ფასი ჩვენს ერთად ყოფნას;

იმ დღესაც შევიკრიბეთ! როგორ გვინდოდა შემოსულიყავი — ომახიანი სვანური გამარჯობა გეთქვა 44 წლის ვაჟკაცს ჩვენთვის ჩვენო ვახტანგ — მოაღწევს კი შენამდე ეს მონატრება?!

ჩვენო ძმაო! თუმცა მესტიელი მრავალშვილიანი დედის შვილი იყავ, ღვიძლი ძმებიც არ გაკლდა, მაგრამ ჩვენც ხომ ძმებსავით დაგვწყვიტე გული.

ამოდის და ჩადის მზე... ისევ ინთებიან ვარსკვლავები... ვაი, რომ შორსა ხარ ძალიან, სად ჰყავს საქართველოს შვილი დასაკარგავი, შენნაირები კი ნამდვილად გვაკლია დღეს!

**შენი მეგობრები**

თანამედროვე მეთოდებით სათანადო სახელმძღვანელოებისა და აუდიო მასალის გამოყენებით კვალიფიციური სპეციალისტი ამზადებს ბავშვებსა და მოზრდილებს ფრანგულ ენაში ინდივიდუალური მიზნის გათვალისწინებით. ტელ: 64-92-18

ვასწავლი გიტარაზე დაკვრას და პოპულარულ სიმღერებს 34-09-45 გივი ბარბაქაძე

ვამზადებ გერმანულ ენაში ტ: 95-28-18 რუსიკო

ვამზადებ ინგლისურ ენაში აბიტურიენტებს. სკოლის მოსწავლეებს და ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს ნებისმიური პროგრამით შეღავათიან ფასებში. სწავლების მაღალი დონე გარანტირებულია. ვთარგმნი სხვადასხვა ინფორმაციას. ტელ: 30-76-13

იყიდება ბინა ქვემო ფონიჭალის 16 სართულიან ყაველაშვილის პროექტის სახლში მე-12-ე სართულზე, პირველ კორპუსში, ბინა 2 ოთახიანია, სუფთაა და არავის უცხოვრია. რკინის კარებით. ლოჯი ამოშენებულია. აქვს მეორე ღია აივანიც. ფასი — შეთანხმებით. 74-07-15 იკითხეთ ნანა, 70-24-11 იკითხეთ მარიკა.

სასწრაფოდ იყიდება აგარაკი სოფელ ქვემო მაჩხაანში, სიღნაღის რ-ნში. ორსართულიანი სახლი, რემონტით, ავეჯით, მარანით, კეთილმოწყობილი ეზოთი, მსხმოიარე ხეხილით, მუდმივი წყლით, საკუთარი კანალიზაციით, დიდი ტალავერით, ვენახით. ფასი შეთანხმებით, ტელ: 96-67-37, 877-48-67.

ვამზადებ ბავშვებს ფორტეპიანოში, 1-დან IV კლასამდე, ბინაზე მისვლით. ფასი 20 ლარი, ტელ: 79-90-17 ნინო.

**1. რუსეთ-ავსტრალიის კორპორაცია „პანიმექსის" თბილისის სააგენტო გიწვევთ ტურისტულ და ბიზნესტურებში ავსტრალიასა და ოკეანის ქვეყნებში. ტელ. 98-53-95**

**2. დეზერტირების ბაზრის პირველ სართულზე იყიდება პურ-ფუნთუშეულის საცხობი, 45 კვ. მ., თავისი ლიცენზიით, საჭირო დანადგარებით (მათ შორის სპეციალური გაზის ღუმელით). დაგვიკავშირდით ტელეფონზე 93-20-36 ან პეიჯერზე 900(70-60). ფასი შეთანხმებით**

მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444

გაზეთის დირექტორი: ელგუჯა ჩხაიძე

რედაქცია: გია თვალავაძე (რედაქტორის მოადგილე), ზაზა ალადაშვილი (კომერციული დირექტორი), კობა კაპანაძე (სამართლისა და რეგ. პოლიტიკის განყ. გამგე), თემურ კოზოლაშვილი (რეალიზაციის განყოფილების გამგე), კორესპონდენტები: კობა ბრეგვაძე, ქეთი ჩადუნელი, ქეთი გეჯაძე, ხათუნა ხატიაშვილი, ნათია ჭანტურია, მანანა ლობჯანიძე, ნანა ძველაია.

კორექტორები: ამალია გოგრიაშვილი, ამრიტა ჯანაშია